პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!
წელიწადი მეექვსე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები:) რედაქტორის 14—76
) მდივანის 10—58
ღამის მორიგეს 18—80

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 34;
ტელეფონი № 10—49
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის 90 კ., დანარჩენებისათვის—1 მან. და 20 კაპ., განცხადებები: ნონპარელის სტრიქონი—40 კაპ., ტექსტში—ორჯერ მეტი, სამგლოვიარო —10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება სწარმოებს შუადღის 4 საათამდე.
სტამბის ტელეფონი 18—80
ექსპედიციის 5—46.

დ ღ ი უ რ ი

- ვარშავაში მუშათა საერთაშორისო დღეს გაიმართა დემონსტრაცია.
- რაბინდრანატ ტაგორი აპირებს საბჭოთა კავშირში ჩამოსვლას.
- კანტონის მთავრობა ინგლისის მთავრობისაგან მოითხოვს ჯარების გაყვანას ჩინეთიდან.
- მომავალ სამეურნეო წელში ამიერ-კავკასიაში შემოიტანენ 12½ მილიონ ფუთ ხორბალს.
- საბჭოთა კავშირის მუშები განაგრძობენ დახმარების გაწევას ინგლისის გაფიცულებისადმი.

ხუთშაბათი, 9 სექტემბერი 1926 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 205 (1750)

„კომუნისტი"
გრძელდება ხელის მოწერა
სექტემბრისათვის
კანტორა—რუსთაველის პროსპ. № 34, ტელეფ. № 10—49

მიწის კოდექსის დამრღვევთა წინააღმდეგ

ამ უკანასკნელ ხანებში თითქმის ყოველი კუთხიდან გაისმის საჩივრები მიწის ყიდვა-გაყიდვის გახშირების შესახებ. აღსანიშნავია, რომ ამ უაღრესად მავნე მოვლენაზე განსაკუთრებით მიაქცევენ ხელისუფლების ყურადღებას არა იმდენად ჩვენი საადგილ-მამულო, და სასამართლოს ორგანოები, რამდენადაც თვითონ მშრომელი გლეხკაცობა.

თუ რატომ არის ეს ასე, ამაზე პასუხის გაცემა ადვილია. საქმე იმაშია, რომ მიწის ყიდვა-გაყიდვა ყველგან და ყოველთვის ლეგალურ ფორმაში ეხვევა, ის იმდენად მოხერხებულათ ეფარება ჩვენს მიწის კოდექსს, რომ ხელისუფლების ორგანოები, ხშირად მოკლებულნი არიან საშუალებას აღნიშნონ, რომ ამა თუ იმ კონკრეტ შემთხვევაში მართლაც ადგილი აქვს მიწის კოდექსის დარღვევას და სათანადო ზომები მიიღონ დამნაშავეთა პასუხისგებაში მისაცემათ.

არსებობს ორი მთავარი ლეგალური „საძრომელა", რომლებსაც ყველაზე უფრო ხშირად იყენებენ მიწის მყიდველ-გამყიდველები თავიანთ უკანონო მოქმედების გადასაფუჩეჩებლად. ესაა მიწის იჯარა და მიწის გაცვლა-გამოცვლა. იშვიათად თუ იქნება მიწის გაყიდვის ისეთი შემთხვევა, რომელიც რეგისტრაციაში გატარებული და სანოტარო კანტორისაგან ბეჭედ დასმული არ იყოს. მაგრამ მთავარი აქ ისაა, რომ ყველა ეს შემთხვევები ოფიციალურად გატარებულია იჯარის ან გაცვლა-გამოცვლის სახით.

არის ისეთი მაგალითები, როცა ადგილობრივ ხელისუფლების ზოგიერთი ულირსი წარმომადგენელი პირადი ანგარების ან სხვა რაიმე ქვენა მოსაზრებით შეგნებულათ ხელს უწყობს მიწის ყიდვა-გაყიდვას და ლეგალურ სახეს აძლევს მას, თუნდაც დარწმუნებულიც იყვეს, რომ აქ ადგილი აქვს მიწის კოდექსის უხეშ და მიუტევებელ დარღვევას. ვიმეორებთ ასეთი მაგალითები არის და მათ წინააღმდეგ ხელისუფლება დაუნდობელ ბრძოლას აწარმოებს, მაგრამ ბოროტება მარტო ამაში არ მდგომარეობს.

მთავარი აქ მიწის კოდექსის შინაარსის გაგებაა, ამ კოდექსის ბიუროკრატიულ დამახინჯებისა და „ჩინოვნიკურ" გატარებისაგან უზრუნველყოფაა. ჩვენ არა ერთი ისეთი შემთხვევები ვიცით, როცა სასამართლო ორგანოები და სანოტარო კანტორები მიწის კოდექსის სათანადოთ არცოდნის გამო ხელს უწყობენ მიწის ყიდვა-გაყიდვას და ზოგჯერ სახლის ნასყიდობასთან ერთად ამოწმებენ სამოსახლო მიწის ნასყიდობასაც. ამ ნიადაგზე მრავალ კურიოზებს აქვს ადგილი. ხშირად ხდება, როცა იმ მიზნით, რომ მიწას სამოსახლოს სახე მიეცეს, მყიდველი გამყიდველს წინასწარ აძლევს ფულს, აშენებინებს გასასყიდ მიწაზე რაიმე ქოხმახს და შემდეგ ყიდულობს ამ მიწას მისივე ფულით აშენებულ ქოხმახით, როგორც სამოსახლოს.

მაგრამ უმრავლესობა არც კი საჭიროებს მიწის ნასყიდობის დამოწმებას. ის კმაყოფილდება ნასყიდობის იჯარის სახით გატარებითაც, რადგან შინაურულად საქმე მოჭახრაკებულია და გული ხვეულეში აქვს.

ეს რაც შეეხება იჯარას. ხოლო ჩვენ ზევე ვთქვით, რომ მიწის კოდექსის დამრღვეველთათვის არის მეორე ლეგალური საძრომელაც. ესაა მიწის გაცვლა-გამოცვლა. გაცვლის სახით, ჩვენ ხშირად საქმე გვაქვს მიწის აშკარა ყიდვა-გაყიდვასთან. ეს უმეტეს შემთხვევაში ასე ხდება: გამყიდველის მიწა ყოველთვის გაცვლილებით ბევრათ უკეთესია, ვიდრე მყიდველის. მიუხედავად ამისა, ისინი თითქოს ერთმანეთს სრული თანხმობით უცვლიან მიწას. გამყიდველი ხელისუფლების და მეზობლების თვალის ასახვევათ ჩადის მყიდველის მიწაში, რამდენიმე ხნით სარგებლობს მით და შემდეგ მიწა თავისივე პატრონს უბრუნდება. ეს ხდება იქ, სადაც ხელისუფლება ერთგვარ სისასტიკის და სიფხიზლის იჩენს მიწის კოდექსის დამრღვევთა წინააღმდეგ.

სხვაგან კი, სადაც ეს ასე არაა, მიწის ყიდვა-გაყიდვა გაცვლა-გამოცვლის სახით აშკარათ და მოურიდებლად სწარმოებს. მიწის კოდექსში კი (მუხლი 118) გარკვევითაა ნათქვამი, რომ „მეურნეობის გაერთიანებისათვის განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს **მიწის ნაკვეთების გაცვლა-გამოცვლას მათი შედარებითი ღირებულების სწორი გამორკვევით**".

გარდა ამისა იმავე კოდექსის ძალით, მიწის გაცვლა-გამოცვლა უნდა ხდებოდეს მიწის მზომელის უშუალო მონაწილეობით. ასე მაგალითად, 147 მუხლში ნათქვამია: „მიწის მზომელს კატეგორიულად მოეთხოვება მიწების დაქუცმაცების თავიდან ასაცილებლად იხმაროს ყოველი ღონისძიება, რათა ხვედრი მიწა ამა თუ იმ პირს მიეცეს ერთ ნაჭრად, რისთვისაც ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული ნაკვეთების გაცვლა-გამოცვლა".

ამნაირად, კანონი გარკვევით ლაპარაკობს იმ ფორმებზე, რომლებშიაც უნდა ხდებოდეს მიწის გაცვლა-გამოცვლა. სინამდვილეში კი ჩვენ ხშირად ვხვდებით ისეთ მაგალითებს, როცა კოდექსის ამ მუხლებს ბრუნდეთ იყენებენ და ამრიგათ „იკანონებენ" მიწის ნასყიდობას.

ამიტომ ჩვენი საადგილო-მამულო და ადგილობრივი ორგანოების წინაშე სდგას პირველ ყოვლისა მიწის კოდექსის სათანადოთ შეთვისება-შესწავლის საკითხი. ესაა ძირითადი პირობა მიწის კოდექსის წარმატებით გატარებისათვის. მეორე, რაც განსაკუთრებით აღსანიშნავია ყიდვა-გაყიდვის ბოროტების აღმოსაფხვრელად, ესაა მიწის კოდექსის არა ჩინოვნიკური გატარება.

ბევრ შემთხვევაში ჩვენი ორგანოები კარგად გრძნობენ, რომ ადგილი აქვს მიწის ყიდვა-გაყიდვას, მაგრამ, რაკი ფორმალურად ყველაფერი რიგზეა, ბეჭედიც მზათა აქვთ მომხდარი შეთანხმების დასადასტურებლად.

ასეთ მდგომარეობას ერთხელ და სამუდამოთ უნდა მოეღოს ბოლო. არსად ისე მავნებელი არაა ბიუროკრატიზმი და „ჩინოვნიკური" მუშაობა, როგორც მიწათმოწყობის დარგში. აქ ჩვენ ამ სენს საბჭოთა მიწის კოდექსის ძირითად დებულებათა გაწბილებისაკენ მივყევართ. ამიტომ უგულებელყოფობას, დაუდევრობას, საქმისადმი ფსულო დამოკიდებულებას სასტიკი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს მიწათმოწყობის დარგში.

ხელისუფლების ორგანოები განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოეპყრან გლეხების ყოველგვარ საჩივარს და განცხადებას მიწის კოდექსის დარღვევის შესახებ. გამოცდილებით ვიცით, რომ ასეთი შემთხვევა მეტად ხშირია. მიწათმოწყობის სწორათ გატარებით დაინტერესებული მშრომელი გლეხობა, შეგნებულათ ებრძვის მიწის ყიდვა-გაყიდვას სოფლად.

ამასთან ერთად, არას შემთხვევაში არ უნდა დაუშვას თემალმასკომებმა და მაზრის საადგილ-მამულო ორგანოებმა ნაშენობასთან ერთად მიწის გაყიდვაც. სასამართლოს ორგანოები უნდა შეეცადონ, მიწის კოდექსის დარღვევისათვის პასუხისგებაში მიცემულთა საჯაროთ გასამართლებას. ამით ისინი ერთი მხრივ ხელს შეუწყობენ მიწის კოდექსის პოპულიარიზაციას ხალხში და მეორე მხრივ დიდმნიშვნელოვან აღმზრდელობითი მუშაობასაც ჩაატარებენ.

მიწის გაცვლა - გამოცვლა საბჭოთა ხელისუფლებამ დააკანონა მიწათმოწყობის გაადვილების და გლეხის მეურნეობისათვის ხელის შეწყობის მიზნით. მიწის იჯარა შემოღებულ იქნა სოფლის მეურნეობის გასაძლიერებლათ და მშრომელი გლეხკაცობის მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ. ჩვენ არ დაუშვებთ, რომ ეს შეღავათები სოფლის პარაზიტებმა და ბნელმა პირებმა თავის სასარგებლოთ გამოიყენოს, ჩვენ არ დაუშვებთ მიწის კოდექსის ძირითად დებულების წინააღმდეგ „ლეგალურ" იერიშების მიტანას. ტყუილა ნურავინ შეეცდება ამ გზით მიწის „შეძენას", ტყუილა თავს ნურავინ მოიტყუებს.

ბ-ნ პიუს აღსარება

თუმცა ტრედ-იუნიონების ეხლა გახსნილ კონგრესს ჩვენი გაზეთი საკმაოდ შეეხო, მაგრამ მაინც საჭიროდ მიგვაჩნია შევჩერდეთ გენერალურ საბჭოს თავმჯდომარის, პიუს სიტყვაზე, რომელიც მან წარმოსთქვა კონგრესის გახსნისთანავე: იმდენად დამახასიათებელია ეს სიტყვა ინგლისის პროფმოძრაობის მემარჯვენე ლიდერებისათვის.

შეეხო რა გაფიცვის საკითხს, პიუმ განაცხადა: „ჩვენს წინაშე იდგა არჩევანი ერთი მხრივ მოძრაობისათვის წესიერი მიმართულების მიცემისა და მეორე მხრივ მრეწველობის ქაოსისა და დანგრევის შორის". კაპიტალის მკაცრმა შეტევამ იმ ზომამდე გაზარდა ინგლისის მუშათა კლასის უკმაყოფილება, რომ თანდათან უფრო რეალური ხდებოდა გაშლილი კლასობრივი ბრძოლის, სამოქალაქო ომის დაწყების საფრთხე. გენსაბჭომ საყოველთაო გაფიცვა სწორედ იმიტომ გამოაცხადა, რომ ხელთ ეგდო მოძრაობის ხელმძღვანელობა და შემდეგ ლახვარი ჩაეცა მისთვის, ან, პიუს დიპლომატიური გამოთქმით, „მოძრაობისათვის წესიერი მიმართულება მიეცა", ე. ი. მისთვის ლიკვიდაცია ეყო და ამხედრებული მუშათა კლასი წამოეჩოქებინა კაპიტალისტების წინაშე. გენსაბჭო ამ გეგმას გულმოდგინედ ანხორციელებს. მან ჩაშალა გენერალური გაფიცვა სწორედ იმ მომენტში, როცა ის პოლიტიკურ, ძალა-უფლებისათვის ბრძოლად უნდა გადაქცეულიყო. ის ყოველ ზომას მიმართავს მემაღაროეთა გარიყვისა და დამარცხებისათვის.

პიუ შემდეგ უფრო ცინიკურად ამჟღავნებს რეფორმისტ ბელადების გამცემლობას. ის გენსაბჭოს დიდ დამსახურებად სთვლის, რომ გაფიცვა რევოლიუციონურ ბრძოლად არ გაიშალა. „არა პროფკავშირები, განაცხადა პიუმ, არამედ მთავრობა ცდილობდა, რომ ეკონომიური ბრძოლა პოლიტიკურ კონფლიქტად გადაქცეულიყო. მხოლოდ ჩვენი ორგანიზაციის წევრების თავდაჭერილობას, მოთმინებას და ნათელ გონიერებას უნდა უმადლოდეთ, რომ მთავრობის აგენტებმა ვერ შესძლეს გამოეწვიათ რევოლიუციონური ამბოხება და სამოქალაქო ომი". სრული ჭეშმარიტებაა. გენსაბჭოს დამსახურება ბურჟუაზიის წინაშე განუსაზღვრელია; თუ არ მისი მოღალატეობა. საკითხავია, იჯდომებოდა ეხლა ბოლდუინი მთავრობის სავარძელში თუ არა. მაგრამ როცა პიუ ასე უტიფრად გამოდის თავის გამცემლობის შესახებ შეკავშირებულ პროლეტარიატის წარმომადგენელთა ყრილობის წინაშე და ამით თავი მოაქვს კიდეც, ეს მართლა წარმოუდგენელი რამ არის და ერთხელ კიდევ მოწმობს, რომ სანამ ინგლისის მუშათა კლასი ასეთ ხელმძღვანელებს სამარცხვინო ბოძზე არ გააკრავს, მის გამარჯვებაზე სერიოზულად ლაპარაკი შეუძლებელია, და რომ დიდი მუშაობა და კიდევ ბევრი მწარე გაკვეთილებია საჭირო ინგლისის მუშათა მასის ნამდვილ კლასობრივ ნიადაგზე დაყენებისათვის, როცა პიუს და მისი მსგავსი „ბელადების" ასეთი გამოსვლები აღიკვეთება.

პიუ პოლიტიკურ - რევოლიუციონურ ბრძოლას უპირდაპირებს „დემოკრატიულ" მეთოდებს. „ეროვნული გაფიცვის ძვირფასი გაკვეთილი იყო ის, რომ მან დაამტკიცა დემოკრატიულ მეთოდების გამოყენების სისწორე"-ო, აი რა „სიბრძნეს" ამცნევს პიუ კონგრესს. სწორედ პირიქით! და განა ეს მჭერმეტყველურად არ დაადასტურა გაფიცვის მთელმა ისტორიამ. მართლაც, რაში გამოიხატა „დემოკრატიული" მეთოდები გენსაბჭოს მოქმედებაში? — ბურჟუაზიის კანონების და კონსტიტუციის წინაშე უსაზღვრო შიში, გაფიცვისათვის ყოველგვარ პოლიტიკურ შინაარსის გამოცლის და მისი ვიწრო ეკონომიურ ჩარჩოებში მოქცევის ცდაში. და ამახ დაღუპა საყოველთაო გაფიცვის საქმე. ამასთან, საგულისხმო აქ ის არის, რომ კონსერვატორების მთავრობამ მშვენივრად გამოიყენა მემარჯვენე ბელადების მოკრძალება კანონების წინაშე და კონსტიტუციის სახელით „ფარხმალი" დააყრევინა მათ. თვითონ კი ბოლდუინის მთავრობამ ფეხ-ქვეშ გასთელა კონსტიტუცია, კანონები და საგანგებო ზომებით ებრძვის გაფიცულთ. აშკარაა, რომ პიუს „დემოკრატიული" მეთოდები სრულიად ჩლუნგი იარაღი გამოდგა. მაგრამ გენსაბჭო შემდეგშიაც ამ გზით ურჩევს მუშათა კლასს სიარულს, რაც მას სრულ დამარცხებას უქადის, თუ უკანასკნელი მოღალატე მეთაურების ტყვეობიდან არ განთავისუფლდა და რევოლიუციონურ ბრძოლის მეთოდებით არ აღიჭურვა.

შემდეგ პიუ გადადის მემაღაროეთა გაფიცვაზე და თავს ესხმის მათ. მემაღაროეთა მეთაურებს იგი „ბრალს სდებს" იმაში, რომ ისინი სარგებლობენ „ჩვენი მოძრაობის გარეშე არსებული წყაროებით და გაფიცვის უფლება სურთ აქციონ რევოლიუციონურ აჯანყების საშუალებათ". უკანასკნელი „ბრალდება", სამწუხაროდ, არ არის მართალი, რამდენადაც საქმე მემაღაროეთა ლიდერებს ეხება: ისინი შორს არიან რევოლიუციონურ აჯანყების პოლიტიკისაგან. პიუს აქ უმთავრესად, ცხადია, კომუნისტები ჰყავს მხედველობაში.

აქ საკითხი ისმის: რა არის რომელიმე ქვეყნის (ამ შემთხვევაში ინგლისის) მუშათა კლასისათვის სათაკილო იმაში, თუ ის ისარგებლებს მისი „მოძრაობის გარეშე არსებული წყაროებით"? ეს ხომ საერთაშორისო პროლეტარულ სოლიდარობის გამოხატულებაა! პიუს, აშკარაა, მხედველობაში აქვს ის დახმარება, რომელსაც საბჭოთა კავშირის მუშათა კლასი უწევს გაფიცულ მემაღაროეთ. გენსაბჭო კი იმ თავითვე ამ დახმარების წინააღმდეგ ილაშქრებს, რომ მას რევოლიუციონერობა არ დასწამოს ბოლდუინის მთავრობამ და ამასთან ხელი შეუშალოს ინგლის-საბჭოთა მუშათა კლასის დაახლოვებას.

ფორმალურად გენსაბჭოს თითქო არაფერი აქვს ამ დაახლოვების საწინააღმდეგო, ის ამასთან თითქო მსოფლიო პროფმოძრაობის მთლიანობის მომხრეა, მაგრამ საქმით სულ სხვას ვხედავთ, სახელდობრ იმას, რომ გენსაბჭო ძირს უთხრის ერთიანი ფრონტის იდეას. ეს ყველაზე უფრო ნათლად გამოაშკარავდა გაფიცულთა დახმარების საკითხში და ინგლის-საბჭოთა მთლიანობის კომიტეტის ინგლისელ დელეგაციის პოზიციით, დელეგაციის, რომელიც გენსაბჭოს კარნახით, შეეცადა ხსენებული კომიტეტის არსებობისათვის აზრი გამოეცალა. პიუს ნართაული თქმა: „კონგრესს მტკიცედ სურს საერთაშორისო მთლიანობა, მაგრამ ეს უნდა იყოს ცოცხალი მთლიანობა აზრებისა და გრძნობების და არა უსიცოცხლო და ყალბი რეკონსტრუქცია ჩვენი საერთაშორისო ორგანიზაციის", ისე უნდა გავიგოთ, რომ თითქო საბჭოთა პროფკავშირები აფერხებდენ ნამდვილ მთლიანობის განხორციელებას. როგორც ვიცით, ამსტერდამისათვის მთლიანობა ნიშნავს საბჭოთა კავშირების უსიტყვო დაქვემდებარებას მისი იდეურ და ორგანიზაციულ პრინციპებისათვის; ამსტერდამის პოლიტიკას კი საფუძვლად უდევს თანამშრომლობა ბურჟუაზიასთან. ხოლო ჩვენთვის გაერთიანება შესაძლებელია მხოლოდ კლასობრივ ბრძოლის ნიადაგზე. და როცა პიუ ლაპარაკობს „აზრების და გრძნობების" ცოცხალ მთლიანობაზე, ცხადია, მას მხედველობაში აქვს ამსტერდამის „აზრები და გრძნობები". რა თქმა უნდა, ასე არ ილაპარაკებენ ჭეშმარიტი მთლიანობის მომხრენი.

პიუ არ კმაყოფილდება მემაღაროეთა წინააღმდეგ ზევით ხსენებული გალაშქრებით. ის პროვოკაციულ ხერხს მიმართავს და ცდილობს მემაღაროები ინგლისის პროლეტარიატის დანარჩენ რაზმებს დაუპირდაპიროს, როცა ამბობს: „თუ სწორია ის, რომ შესაძლებელია საჭირო გახდეს მთელი მოძრაობის გამოსვლა ერთი მისი ნაწილის დასაცავად, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ არ შეიძლება ამ მოძრაობის ერთი რომელიმე ნაწილის ინტერესების უფრო მაღლა დაყენება მთელი მოძრაობის ინტერესებზე". მაშასადამე, გამოდის, რომ მემაღაროები თითქო თავისი ვიწრო ინტერესებისათვის ზიანს აყენებენ ინგლისის მთელი მუშათა კლასის ინტერესებს! ეს პროვოკაცია პიუს იმიტომ დასჭირდა, რომ ამხილოს მემაღაროები ვითომდა ეგოისტურ ზრახვებში და მუშათა კლასის დანარჩენ ნაწილს გული აუცრუოს მათთვის სოლიდარობის გამოცხადებაზე, დახმარების აღმოჩენაზე, მორალურად გაამართლოს ის უმოქმედობა, რომელსაც რეფორმისტული პროფკავშირები იჩენენ. ნამდვილად ყველასათვის უდავო უნდა იყოს, რომ მემაღაროები თავისი ბრძოლით ემსახურებიან არა მარტო თავის, არამედ მთელი ინგლისის, კიდევ მეტი: მთელი მსოფლიოს მუშათა კლასის ინტერესებს.

პიუ მემაღაროეთა ხელფასის საკითხში პირდაპირ დგება მრეწველთა თვალსაზრისზე; ის აღიარებს ხელფასის დარგში ისეთი პოლიტიკის აუცილებლობას, რომელიც შეთანხმებული იქნებოდა ეროვნულ წარმოების მდგომარეობასთან. სხვა სიტყვებით რომ ვსთქვათ: ნახშირის მრეწველობა მძიმე მდგომარეობაში იმყოფება და ამიტომ აუცილებელია ხელფასის შემცირებაო. ამასვე ლაპარაკობენ მრეწველები.

ასეთია გენერალურ საბჭოს თავმჯდომარის გამოსვლა კონგრესის გახსნაზე. ასეთია გენსაბჭოს შეხედულება გაფიცვასა და პროფმოძრაობის საკითხებზე. ესაა ტომასების მოღალატეობის ერთხელ კიდევ დაცვა და მებრძოლ მემაღაროეთათვის ზურგში ზედმეტჯერ მახვილის ჩაცემა. ნუ თუ ტრედ-იუნიონების კონგრესი, ინგლისის მუშათა კლასი ასით მეთაურებს, ბურჟუაზიის ამ აგენტებს დიდხანს მოითმენს.

მ. ლ—ძე.

კოოპერაცია და მრეწველობა

სამომხმარებლო კოოპერაციისა და სახელმწიფო მრეწველობას შორის დიდი ხანია სწარმოებს დავა იმის შესახებ, თუ რა როლს უნდა ასრულებდეს კოოპერაცია სოციალისტურ მრეწველობის მიერ შექმნილ საგნების მომხმარებელთა შორის განაწილების საქმეში. ამ საკითხს უკანასკნელ ხანებში მწვავე ხასიათი მიეცა. დავა გადმოტანილ იქნა ამიერ-კავკასიის ფარგლებშიაც, რადგანაც აქაც ასრულებენ ერთგვარ ფუნქციებს მრეწველობის სხვადასხვა წარმომადგენლები. ყველაზე უფრო მწვავედ სდგას საკითხი საფეიქრო სინდიკატის და სამომხმარებლო კოოპერაციის ურთიერთ შორის დამოკიდებულების შესახებ ამიერ-კავკასიის ცალკე რესპუბლიკების ფარგლებში.

ამის უმთავრეს მიზეზათ უნდა ჩაითვალოს ის სავაჭრო და საფინანსო პოლიტიკა, რომელსაც აწარმოებს საფეიქრო სინდიკატი კოოპერატიულ ცენტრების მიმართ. მას საფუძვლად უდევს სინდიკატის მისწრაფება, პირველ საფეხურის კოოპერატივებთან უშუალო დამოკიდებულების დამყარების მიზნით, ცენტრების სავაჭრო ოპერაციების შესუსტებისაკენ, რაც თავის თავათ ცხადია, სულ შეაფერხებს სამომხმარებლო კოოპერაციის განვითარებას ჩვენში. ამგვარ პოლიტიკას არ შეიძლება არ მოჰყვეს შედეგათ ცენტრალური კოოპერატიული კავშირების დაშორება სოფლის კოოპერატივებისაგან, რომელთა ხელმძღვანელნი ძალა-უნებურათ შეეცდებიან გაასწორონ თავიანთი ვალდებულებანი საფეიქრო სინდიკატთან ცენტრების ფინანსიურ მდგომარეობის შესუსტების საშუალებით. არანორმალური მდგომარეობა იქმნება მით, რომ საფეიქრო მრეწველობის წარმომადგენლობას სრულიადაც არ აინტერესებს ცენტრალური კავშირების ფინანსიური მდგომარეობა, რაც აიხსნება მით, რომ მთელი რიგი სადაო საკითხებისა უმაღლეს ორგანოების მიერ დღემდე გადაუწყვეტელი იყო, მრეწველობის სავაჭრო აპარატი არა მარტო ჩვენში, არამედ სხვა რესპუბლიკებშიაც სცდილობდა ფართლის განაწილებას საკუთარი ძალების საშუალებით. კოოპერაციის სავაჭრო ოპერაციის რაოდენობის 50 პროცენტს უდრის საქმიანობა ფართლეულობის განაწილების დარგში. აქედან ცხადია, რამდენად მიუღებელი უნდა ყოფილიყო ჩვენი კოოპერაციის ინტერესებისათვის ის გეზი, რომელიც საფეიქრო სინდიკატს დღემდე აღებული ჰქონდა. იმ პოლიტიკას, რომელსაც აწარმოებდა კოოპერაციის წინააღმდეგ საფეიქრო სინდიკატის წარმომადგენლობა დღემდე,—შეუძლია კოოპერაციის ცენტრები დაღუპვის კარამდე მიიყვანოს. კოოპერატიულ ორგანიზაციების გაერთიანების გაუქმება, როგორც ვიცით, კოოპერატიულ მოძრაობის განადგურებას უდრის. სწორეთ ამიტომ კოოპერაციის წარმომადგენლები ვერ ურიგდებოდენ არსებულ მდგომარეობას და სასტიკათ იბრძოდენ მის გამოსასწორებლათ. სამწუხაროთ, მათი ცდა დღემდე უნაყოფო იყო, რადგანაც მრეწველობისა და კოოპერაციის ურთი-ერთ შორის დამოკიდებულების საკითხის შესახებ უმაღლეს ორგანოს მიერ გარკვეული აზრი არ ყოფილა გამოთქმული. დღეს ყველასათვის გასაგებია ის აზრი, რომელიც დირექტივის სახით წამოყენებულია შრომისა და თავდაცვის საბჭოს მიერ და რომელიც გარკვეულად გვიმტკიცებს სამომხმარებლო საგნების სამომხმარებლო კოოპერაციის საშუალებით განაწილების აუცილებლობას.

ამ აზრს, როგორც ვსთქვით, სავსებით ეწინააღმდეგება საფეიქრო სინდიკატის წარმომადგენლობის საქმიანობა ამიერ-კავკასიაში. მან ისეთ სამომხმარებლო რაიონებში გახსნა საწვრილმანო სავაჭროები, სადაც საქონლის განაწილება შესაძლებელი იყო და არის მუშკოოპების საშუალებით. ქ. ბათომში, მაგალითად, მისი თაოსნობით გაიხსნა სავაჭრო დუქანი, სადაც ნაწილდება საუკეთესო ფართალი, რომელიც უნდა გასაღებულიყო ბათომის მუშკოოპის საშუალებით. ამის გამო მუშკოოპს შეუმცირდა კრედიტი, რაც მას აუტანელ პირობებში აყენებს. ასეთივე მდგომარეობაა შექმნილი ქ. თბილისის მუშკოოპის გარშემოც.

კრედიტის შემცირება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კოოპერაცია საქონლით დატვირთულია. კრედიტის შემცირება არ არის დასაშვები როდესაც მუშკოოპის დუქნები უსაქონლობის გამო ფინანსიურ კრიზისს განიცდიან. შრომისა და თავდაცვის საბჭო თავის დადგენილებაში, სხვათა შორის, ამბობს: „გატარებულ იქნეს მომავალშიაც ხაზი სამომხმარებლო კოოპერატიული სისტემის მეტად დატვირთვისა სახელმწიფო მრეწველობის საქონლით, ამასთან ერთად კერძო ბაზარზე საქონლის გასაღება სახელმწიფო ორგანოების მიერ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მოხდეს კოოპერაციის წვლილის შემცირების საშუალებით".

ამ დადგენილების ცხოვრებაში გატარება არ მოხდება მანამ, სანამ საფეიქრო სინდიკატი თავს არ გაანებებს ცალკე საწვრილმანო სავაჭროების გახსნას იქ, სადაც საქონლის განაწილება შეუძლიათ კოოპერატიულ ორგანიზაციებს.

დღეს, როდესაც ხელისუფლება ყოველ ღონეს ხმარობს, რათა სამრეწველო საქონელი, ისე როგორც სასოფლო-სამეურნეო საგნები დაკლებულ ფასებში იყიდებოდეს, როდესაც კოოპერაციას ისედაც სუსტს ფინანსიურათ, საბჭოთა ხელისუფლების დავალებით ფასების დაკლების სფეროში ახალი გეზის გატარება უხდება ცხოვრებაში, როდესაც ის გამოცდილ მუშაკების უქონლობას განიცდის პერიფერიებში და, მაშასადამე, მას ახალი ორგანიზაციული ძალების შეუწყვეტელი ნაკადი ესაჭიროება,— აუცილებელია იმ გზის შეცვლა, რომელიც საფეიქრო სინდიკატს აღებული აქვს კოოპერაციის მიმართ.

ეს საკითხი კონკრეტულ ფორმებში ჩამოყალიბებული უკვე სდგას უმაღლეს ორგანოების წინაშე და უნდა ვიფიქროთ, რომ ის გადაწყდება იმ სახით, რა სახითაც ის გადაწყვეტილია შრომისა და თავდაცვის საბჭოს მიერ.

უამისოთ შეუძლებელია ფასების დაკლების საქმეში რაიმე სწორი პოლიტიკის წარმოება.

ა. ერქომაიშვილი

გერმანია მიიღეს ერთა ლიგის წევრად

ესპანეთი აღარ ესწრება ერთა ლიგის სესიის სხდომებს

დაიწყო მოლაპარაკება მემაღაროებსა და მაღაროს მეპატრონეთა შორის

პოლონეთ-რუმინეთის საიდუმლო ხელშეკრულების გამომჟღავნებამ სენსაცია გამოიწვია გერმანიაში

ერთა ლიგის სესიაზე

გერმანიის მიღება

ლონდონი, 8 სექტემბერი. **დღეს დილით ერთა ლიგის კრებამ ერთხმად მიიღო გარმანია ერთა ლიგის წევრად.** თავმჯდომარის განცხადებამ, რომ გერმანიის მიღებას ხმა მისცა ყველა 48 სახელმწიფომ, გამოიწვია მხურვალე ტაში. ხვალ დილისით ჟენევაში ჩამოვლენ გერმანიის დელეგატები ერთა ლიგაში.

პარიზი, 8 სექტემბერი. „ბერლინერ ტაგებლატ"-ში ბრიანმა განაცხადა, რომ ერთა ლიგაში გერმანიის შესვლამ უნდა გაადვილოს გერმანიისა და საფრანგეთს შორის—ერთი მხრივ და, მეორე მხრივ, გერმანიასა და პოლონეთს შორის არსებული სადაო საკითხების გადაჭრა.

ბრიანის გამოსვლა

ბერლინი, 7 სექტემბერი. ჟენევიდან მიღებული ცნობებით, **ერთა ლიგის საბჭოს საიდუმლო სხდომაზე 4 სექტემბერს ბრიანს წამოუყენებია მოულოდნელი მოთხოვნილება**, რომ ერთა ლიგის საბჭოში მუდმივ ადგილების განაწილების საკითხი შეუკავშირდეს არა მუდმივ ადგილების გადიდების საკითხს 6—9-მდე. ბრიანის წინადადება მიღებულ იქნა შვეციისა და იტალიის წარმომადგენლების ხმების წინააღმდეგ.

გერმანიის მემარჯვენე პრესა სასტიკ პროტესტს აცხადებს ასეთი პოლიტიკის გატარებისა, გერმანიისათვის მიცემულ დაპირებების შეუსრულებლობისა და საბჭოში პოლონეთისათვის მუდმივი ადგილის დათმობის საკითხის ერთა ლიგაში გერმანის შესვლის საკითხთან დაკავშირების წინააღმდეგ.

საბჭოს სხდომა

ლონდონი, 8 სექტემბერი. ერთა ლიგის საბჭოს მე-14 სხდომა გაიხსნა დღეს ჟენევაში, ესპანეთის წარმომადგენლების დაუსწრებლად.

ფიქრობენ, რომ ესპანეთის დელეგატები მოელიან ინსტრუქციებს მადრიდიდან, რაც აიხსნება ესპანეთისა და ლიგის ზოგიერთ სხვა წევრების მოთხოვნის გამო შექმნილ სპეციალურ კომისიის სურვილით, მათთვის ერთა ლიგის საბჭოში მუდმივი ადგილის დათმობის შესახებ.

ერთა ლიგა და დომინიონები

ბერლინი, 8 სექტემბერი. ჩემბერლენის რჩევით, ბრიტანეთის დომინიონებმა უკან წაიღეს თავისი მოთხოვნები ერთა ლიგის საბჭოში არა მუდმივი ადგილების მიღების შესახებ.

48 სახელმწიფო

ბერლინი, 7 სექტემბერი. **ერთა ლიგის სესიაზე ამჟამად მონაწილეობას იღებს 48 სახელმწიფო. სესიას არ ესწრებიან: არგენტინა, ბოლივია, კოსტარიკა, გონდურასი და პერუ. და აგრეთვე პირველად არ გამოცხადდენ ბრაზილიის და ესპანეთის წარმომადგენლები.**

ბულგარეთი და ერთა ლიგა

ლონდონი, 8 სექტემბერი. ერთა ლიგამ მიიღო გეგმა ბულგარეთისათვის სესხად 2.250.000 გირ. სტერლინგის მიცემის შესახებ ბულგარელ ლტოლვილთა მოსაწყობათ. ამ პროექტის მიღებას სთვლიან ლოკარნოს გავლენის გავრცელებათ ბალკანეთზე.

ბულგარეთის მოსაზღვრე სახელმწიფოების წარმომადგენლები არ მიიღებენ მონაწილეობას სესხის გამწესრიგებელ კომისიაში, მაგრამ ექნებათ უფლება ლიგის კომისარისათვის თავის მოსაზრებების წარდგენისა და ამ საკითხის განხილვის დროს საბჭოთა კრებებზე დასწრებისა.

მოლაპარაკება მემაღაროეთა და მაღაროს პატრონთა შორის

მემაღაროეთა ბრძოლა

ლონდონი, 8 სექტემბერი. **მემაღაროეთა სადელეგატო კონფერენციამ 557.000 ხმის უმეტესობით 225.000 წინააღმდეგ დაადგინა სრული უფლებით აღჭურვოს აღმასრულებელი კომიტეტი სანახშირო კონფლიქტის მოსაგვარებლად ნაციონალური მასშტაბით მოლაპარაკების წარმოებაში.** ჰერბერტ სმითის თავმჯდომარეობით გამართულ დილის სხდომაზე მოსმენილ იქნა მოხსენებები ყველა რაიონებიდან არსებული მდგომარეობის შესახებ, რის შემდეგაც სხდომა გადაიდო, რათა აღმასრულებელ კომიტეტს შესაძლებლობა მიეცეს მომზადოს და კონფერენციას განსახილველად წარუდგინოს თავისი შეხედულებები.

აღმასკომის სხდომაზე უმეტესობამ მოითხოვა ეთხოვოს კონფერენციას აღმასკომისათვის სრული თავისუფლების მიცემა შეთანხმებისათვის მოლაპარაკების დასაწყებათ. ეს გადაწყვეტილება შემდეგ ეცნობა სადელეგატო კონფერენციას. სხდომა გადაიდო, აგრეთვე, იმ მოსაზრებით, რათა სამხრეთ უელსისა და სხვა რაიონების წარმომადგენლებს შესაძლებლობა მიეცეთ ჯგუფობრივ კრებებზე განიხილონ თავისი პოზიციები.

ახლად შეკრებილმა კონფერენციამ, სათანადო განხილვის შემდეგ, მიიღო ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებები.

მაკდონალდის როლი

ლონდონი, 8 სექტემბერი. **გუშინ კაბინეტის სანახშირო კომისიას ჰქონდა თათბირი ბორნემუტიდან ლონდონში დაბრუნებულ მემაღაროეთა ლიდერებთან.** მინისტრებმა წინასწარ ინახულეს მაკდონალდი, რომელიც უკანასკნელ ამბების დროს გამოდიოდა შუამავლის როლში მემაღაროებსა და მთავრობას შორის და რომელმაც დაარწმუნა მაღაროს მეპატრონეები დაიწყონ მოლაპარაკება შეთანხმების გარშემო.

დათანხმდებიან თუ არა მაღაროს მეპატრონეები შეთანხმების საკითხის საერთო ნაციონალურ მასშტაბით განხილვაზე—ჯერ-ჯერობით გამოურკვეველია. ალბად ეს საკითხი გადაწყდება ამ კვირის ბოლოში რაიონულ მაღაროს მეპატრონეების კონფერენციაზე, რომელზედაც განიხილავენ საკითხს ცენტრალურ სანახშირო ასოციაციის, როგორც მოლაპარაკების მწარმოებელ ნაციონალურ ორგანოს, შენარჩუნებისა.

საზოგადო აზრი მთავრობის მხარეზეა, იმ მოსაზრებით, რომ ნაციონალური მასშტაბით შეთანხმება რაიონული ცვლილებების შეტანით ადგილობრივი პირობების დამიუხედავად, ხსნის გონიერ გზას დათმობისაკენ. არის იმედი, რომ სხვადასხვა გავლენები აიძულებენ მაღაროს მეპატრონეებს ხელი აიღონ ჯიუტობაზე. მინისტრების გუშინდელ თათბირს მემაღაროებთან, როგორც სჩანს მიზნად აქვს ყოველგვარ გაუგებრობათა თავიდან აცილება შესაძლებელ მოლაპარაკებათა ფარგლებში.

ევროპის ფოლადის ტრესტი

ბერლინი, 7 სექტემბერი. ვანდერველდემ ჟურნალისტებთან საუბრის დროს განაცხადა, რომ ბერლინში განახლდა მოლაპარაკება ევროპის ფოლადის ტრესტის დაარსების შესახებ. მოლაპარაკებაში მონაწილეობას იღებს აგრეთვე ინგლისის წარმომადგენლებიც. ვანდერველდემ აღნიშნა, რომ შესაძლებელია მოლაპარაკება დამთავრდეს სასურველი შედეგებით.

ბრძოლა ჩინეთში

ინტერვენციის მოთხოვნა

პეკინი, 7 სექტემბერი. ინგლისის რეაქციონური ორგანო „პეკინ-ენდ-ტიანძინ-ტაიმს", რომელიც პეკინში გამოდის ინგლისურ ენაზე—**კომენტარიებს უკეთებს ცენტრალურ ჩინეთის მდგომარეობას და მოითხოვს ჩინეთის შინაურ საქმეებში უცხოეთის სამხედრო ძალების ჩარევას.**

დასჯიან როგორც მეკობრეებს

ლონდონი, 7 სექტემბერი. გონკონგიდან მიღებული ცნობის თანახმად, გონკონგის ხელისუფლებამ გადასწყვიტა ჩინელ პიკეტებს, რომლებიც გონკონგის ბოიკოტის განხორციელებას თვალ ყურს ადევნებენ, ისე მოეპყრას, როგორც მეკობრეებს.

ინგლისის სამხედრო გემებმა მიიღეს ბრძანება უდარაჯონ კანტონის სანაოსნო გზებს და არ შესწყვიტონ ნაოსნობა.

კანტონში

ლონდონი, 7 სექტემბერი. რეიტერის სააგენტო იუწყება: კანტონში მომხდარი მღელვარების გამო მიღებულია ზომები გაფიცულთა საპატრულო გემების წინააღმდეგ, რომლებმაც სროლა დაუწყეს ყველას განურჩევლად და ჩაერიენ ინგლისისა და სხვა სახელმწიფოების ნაოსნობის საქმეებში.

ვუ-ჩანგი ალყაშემორტყმულია

ბერლინი, 8 სექტემბერი. ვუ-ჩანგი ალყაშემორტყმულია სამი მხრიდან კანტონის ჯარების მიერ. „ტაიმსის" ცნობით კანტონის ჯარების სარდალი სუნ-ჩუან-ფანი გაემგზავრა ჩინ-ჩა-ში გუანსი-ს პროვინციის წინაღმდეგ შეტევის მოსამზადებლად.

ლონდონი, 8 სექტემბერი. ლონდონის ადმინისტრატიულ წრეებში ჩინეთის მდგომარეობის შესახებ მიღებულ ცნობების თანახმად, ხანკოუში ჯერ-ჯერობით სიწყნარეა.

კანტონის ჯარები, როგორც სჩანს, სამი მხრით გარს ერტყმიან ვუ-ჩანგს, მაგრამ ქალაქებს ჯერ არ იკავებენ. ჩრდილოეთის ჯარებს ჯერ კიდევ უჭირავთ ფრონტი მდინარის გასწვრივ.

სიუი-იუ-სანის დაკავება

პეკინი, 7 სექტემბერი. ოფიციალური ცნობის მიხედვით, **შენ-სის პროვინციის ჯარებმა დაიკავეს ქ. სიუ-იუ-სანი;** ეს ქალაქი უკანასკნელი წერტილია პეკინკალაგან-სიუ-იუ-სანის რკინისგზის ხაზის. სახალხო არმია იხევს დასავლეთის მიმართულებით. როგორც ხმები დადის, **სახალხო არმია ემზადება შემოსატევათ შენ-სის პროვინციის მიმართულებით,** იმ მიზნით, რომ დაიჭიროს საზღვარი შენ-სის პროვინციისა და ხუ-ბეის შორის, სადაც მას შეეძლება კანტონის ქარხნებთან შეერთება.

ჩინეთის პროტესტი

პარიზი, 8 სექტ. გონგონგიდან მიღებული ცნობებით, **კანტონის მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრმა განუცხადა პროტესტი ინგლისის კონსულს ინგლისელთა საქციელის წინააღმდეგ,** და მოითხოვა ბრიტანეთის რაზმებისა და ნაოსნების გაყვანა და მდინარეებზე კონტროლის მოხსნა.

უ-პეი-ფუს დაჭრის უარყოფა

პეკინი, 7 სექტემბერი. რეიტერის სააგენტოს დაგვიანებული დეპეშები, 2—3 სექტემბერს ხანკოუდან მიღებული, უარს ჰყოფს იაპონიის სააგენტოს ცნობას უ-პეი-ფუს დაჭრის შესახებ.

რეაქციონერები ერთდებიან

პეკინი, 7 სექტემბერი. დაირენში იხსნება კონფერენცია საფრანგეთის კონსულებისა, საფრანგეთის ელჩის თანდასწრებით და რუსეთ-აზიის ბანკის მოღვაწეთა მონაწილეობით; რუსეთ-აზიის ბანკი იმყოფება თეთრი ემიგრანტების ხელში. პეკინის დიპლომატიური წრეები ფიქრობენ, რომ კონფერენცია განიხილავს საკითხს ზომების მიღების შესახებ აღმოსავლეთ ჩინეთის რკინისგზაზე შექმნილი მდგომარეობის გამო.

სეტონის წერილის გამო

პეკინი, 7 სექტემბერი. ადგილობრივი დიპლომატიური წრეები ინგლისის ელჩის მაკ-ლეის მუკდენში გამგზავრებას დიდ მნიშვნელობას აძლევენ. ფიქრობენ, რომ მისი გამგზავრება დაკავშირებული უნდა იყოს ჩან-ძო-ლინის მრჩევლის გენერალ სეტონის წერილთან; **ამ წერილით სეტონი მოუწოდებდა, რომ მუკდენის სატრაპისთვის აქტიური დახმარება აღმოეჩინათ.**

ფიქრობენ აგრეთვე, რომ მაკ-ლეი განიხილავს საკითხს ინგლისელებისა და ჩან-ძო-ლინის მიერ უ-პეი-ფუსადმი დახმარების გაწევის შესახებ.

„დეილი ტელეგრაფი" იმუქრება

ლონდონი, 7 სექტემბერი. ჩინიანს უკანასკნელმა და მდინარე იან-ცზუ-კიანგზე მომხდარმა ინცინდენტმა ინგლისის პოლიტიკურ წრეებში დიდი შიშიანობა გამოიწვია.

„დეილი ტელეგრაფის" დიპლომატიური კორესპონდენტი აცხადებს: „აქ ფიქრობენ, რომ უკვე დადგა დრო, რაც განათლებული სახელმწიფოები უნდა გამოვიდენ შეთანხმებულად. თუ ეს არ მოხერხდა, **ინგლისის მთავრობას არ გაუჭირდება მონახოს ისეთი მოკავშირე, რომლის ინტერესები ეთანხმებიან ინგლისისას".**

ამერიკის სამხედრო გემი

ნიუ-იორკი, 7 სექტემბერი. 3 სექტემბერს ამერიკის შეერთებულ შტატების კონსულმა ხანკოუში განაცხადა, რომ ამერიკის მსუბუქ სამხედრო გემს, რომელიც მოვიდა ხანკოუში, დაუშინეს ტყვიები, ალბათ კანტონის ჯარებმა: გემს სროლაზე არ გაუცია პასუხი.

ინგლისის სამხედრო გემები უ-პეი-ფუს მხარეზეა

პეკინი, 7 სექტემბერი. იაპონიის წყაროებიდან იუწყებიან, რომ კანტონის ჯარების წინააღმდეგ ბრძოლებში მდინარე იან-ცზუ-კიანგზე, ხანკოუს ზევით, მონაწილეობას იღებენ ინგლისის სამხედრო გემები უ-პეი-ფუს მხარეზე.

სამხედრო წესები პეკინში

პეკინი, 7 სექტემბერი. ჩან-ძო-ლინის განკარგულებით პეკინში გამოცხადებულია სამხედრო წესები, რაც რეაქციონერებს გაუადვილებს ბრძოლას კომუნისტებთან და გომინდანთან. ქალაქში ხელისუფლება გადავიდა ჩან-ძო-ლინის მიერ დაყენებულ გენერლების—ლი-შოუ-ჩინის და პან-ჩის ხელში. უ-პეი-ფუს მომხრე ვან-ხუან-ჩინი ფაქტიურად გადაყენებულია. ჩჟან-დზუნ-ჩანი გაემგზავრა მუკდენში ჩან-ძო-ლინთან სათათბიროდ.

ტაგორი საბჭოთა კავშირში მოდის

სტოკჰოლმი, 7 სექტემბერი. რაბინდრანატ ტაგორმა, რომელიც ამჟამად სტოკჰოლმში იმყოფება საბჭოთა კავშირის რწმუნებულთან პროსეევთან საუბრის დროს განაცხადა, **რომ ის ფიქრობს საბჭოთა კავშირის ნახვას. რაბინდრანატ ტაგორმა დასწერა შემდეგი მოკლე მისალმება საბჭოთა კავშირის მიმართ: მე გავიცანი რუსეთი და მისი ლიტერატურის შესწავლის შემდეგ ქედს ვიხრი მის წინაშე. ჩემი გული ეხმაურება ამ ლიტერატურის მოწოდებას ჰუმანიურობისადმი.**

მუშათა კლასის ახალი კადრების აღზრდა

(„პრავდა"-ს მოწინავე წერილი)

მუშათა კლასის ზრდამ და განმტკიცებამ, მისი აქტიურობის გაძლიერებამ, პროფკავშირებისა და სხვა პროლეტარული ორგანიზაციების მუშაობის გაცხოველებამ, პოლიტიკური მომწიფების მაღალმა დონემ, კერძოდ ჩვენი მუშების ინტერნაციონალურმა აღზრდამ, მოკლედ, ჩვენმა მიღწევებმა მუშური დემოკრატიისა და მუშათა კლასის აღზრდის დარგში, არ უნდა შეასუსტოს ჩვენი ყურადღება ერთ იმ მეტად მნიშვნელოვან ამოცანისადმი, რომელიც მუშათა კლასს ეხება. ჩვენ მხედველობაში გვაქვს მუშათა ჩამორჩენილი მასების აღზრდის პრობლემა კერძოდ, და განსაკუთრებით იმ მუშათა კლასის ახალი კადრების აღზრდის პრობლემა, რომელიც ჩაბმულია მრეწველობაში ჩვენი სამეურნეო აღორძინების უკანასკნელი წლების განმავლობაში. ამ ამოცანის მნიშვნელოვანობა და სერიოზულობა ჩვენთვის ნათელი გახდება, თუ მოვიგონებთ, რომ ერთ მსხვილ მრეწველობაში მუშათა კლასის რიცხვი უკანასკნელ წელიწად-ნახევრის განმავლობაში გაიზარდა 500.000 კაცით. უეჭველია, რომ ამ ნახევარ მილიონ მუშებს შორის არის იმ ძველი მუშების ნაწილიც, რომლებიც ჩამოშორდენ მრეწველობას სამოქალაქო ომის მძიმე ხანაში, ჩვენი მრეწველობის დაქვეითების პერიოდში და ეხლა კვლავ დაუბრუნდენ ქალაქს. მაგრამ უეჭველია აგრეთვე ისიც, რომ მრეწველობაში ახლად ჩაბმული მასების უმრავლესობა შედგენილია მრეწველობისათვის სრულიად ახალი ელემენტებისაგან, რომლებიც, კერძოდ, სოფლიდან ჩამოვიდენ. ამ ნედლ, პოლიტიკურად გაუწვრთნელ, ნაკლებ კულტურულ, უსწავლელ, ტეხნიკურ გამოცდილებას მოკლებულ, სოფელთან და წვრილ-ბურჟუაზიასთან მჭიდროდ დაკავშირებულ ახალ მუშების მასას მოაქვს ქალაქში წვრილ წარმოების პირობებთან დაკავშირებული დრო-მოჭმული შეხედულებანი, უდისციპლინობა, კლასიური შეუგნებლობა, შრომის კოლექტიური ორგანიზაციის გამოცდილების უქონლობა და სხ. ისინი თავიანთ თავს უცქერიან, როგორც დროებით სტუმრებს მუშათა ძირითადი მასებს შორის, მათი თვალები მიპყრობილია ისევ უკან—წვრილ მეურნეობისაკენ, და არა სოციალიზმის აღმშენებლობის ამოცანებისაკენ.

ჩვენი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ აქტიური ბრძოლა ვაწარმოოთ ახალი მუშების კლასიურად აღზრდისათვის. ჩვენ არ შეიძლება მოვეპყრათ მათ, როგორც „მხოლოდ სოფლელებს". ჩვენ არ ვიმყოფებით ამქრული იდეოლოგიის ტყვეობაში და ამიტომ ჩვენ კარგად გვაქვს შეგნებული ჩვენი მოვალეობანი მათ მიმართ. ჩვენ ვალდებული ვართ ხელმეორედ აღვზარდოთ ისინი. ვინაიდან, თუ ჩვენში არაა მუშურ-არისტოკრატიული მძულვარების გრძნობა, ჩვენ იმავე დროს არ შეგვიძლია ვიყოთ მაჩანჩალები, არ შეგვიძლია მივდიოთ მათ ჩამორჩენილ წვრილ-ბურჟუაზიულ იდეოლოგიას, გავყვეთ მათ დრო-მოჭმულ შეხედულებებს.

საბჭოთა კავშირის პროლეტარიატის ძირითად კადრებს კლასიურ ბრძოლის მეტად დიდი გამოცდილება აქვთ. ისინი ებრძოდენ მეფის წყობილებას, მარცხდებოდენ ამ ბრძოლაში, მაგრამ თვითონაც იმარჯვებდენ დაბოლოს, ჩამოაგდეს იგი; ებრძოდენ კერენსკის, გაიარეს სამოქალაქო ომის უმძიმესი წლები, იბრძოდენ ფრონტებზე, ითმენდენ ყოველგვარ გაჭირვებას და მიაღწიეს გამარჯვებას.

ამ კადრებმა საკუთარი გამოცდილებით იციან, რომ მუშათა კლასის განთავისუფლების საქმე, კაპიტალისტური წესწყობილების დანგრევა ხელისუფლების დასაპყრობად და მის განსამტკიცებლად, მეურნეობის აღორძინება და სოციალიზმის აღმშენებლობა შესაძლოა მხოლოდ იმ ახალ და ახალ დაბრკოლებათა გადალახვით, რომლებიც სულ უფრო და უფრო ფართო, გრანდიოზული მასშტაბით სდგებიან მათ წინაშე.

ამ კადრებს არ ეშინიათ თავიანთი ბრძოლის სიძნელისა. მათ იციან, რომ ამ ქვეყნად არ არის ისეთი რევოლიუციონური მუშაობა, რომელიც დაკავშირებული არ იყოს სიძნელეებსა, დაბრკოლებებსა, შეცდომებსა და მარცხთან. მათ იციან, რომ ძალიან ხშირად თავბრუდამხვევ გამარჯვებებს თან სდევს დამარცხება, მაგრამ მათ იციან აგრეთვე, რომ დამარცხებული ჯარი კარგად სწავლობს. მათ იციან, რომ სიძნელეთაგან გამომდინარეობენ ახალი მიღწევანი და ახალი წარმატებანი. მათ აღზარდეს თავიანთი თავი ნამდვილ პროლეტარულ გამძლე მებრძოლებად.

სწორედ ეს გამობრძმედილობა არ აქვთ ახალ კადრებს, რომლებიც სოფლებიდან ჩამოვიდენ და ჩვენთან მოდიან. ამაშია დამარხული საფრთხე. თუ ღრმა აღმზრდელობითი მუშაობა არ იქნა წარმოებული, მაშინ ეს ნედლი, აღუზრდელი მუშათა ფენები შეიძლება გახდეს იმ წვრილ-ბურჟუაზიულ რევოლიუციონიზმის სოციალურ საფუძვლად, რომელიც, ლენინის თქმით, „მრისხანე და ზვიადია სიტყვით, საქმით კი დაქსაქსული, გზა-აბნეული და უთაური". („საყმაწვილო სენი").

ჩვენი ძნელი და საპასუხისმგებლო ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ სწორედ ეს თვისებები აღმოვფხვრათ ახალ მუშათა ფსიქოლოგიასა და იდეოლოგიაში, აღვზარდოთ პროლეტარული მებრძოლებისა და სოციალისტურ საზოგადოების აღმშენებელთა რკინის რაზმები, რომლებსაც პანიკა არ მოიცავს დაბრკოლებათა დროს და თავბრუ არ დაესხმის წარმატებათა მიღწევის დროს.

აი, რატომ უნდა ავამოქმედოთ მთელის ძალით ის აპარატი, რომელიც პარტიას აკავშირებს მუშათა კლასის ფართო მასებთან. აი, რატომ მიმდინარე ყოველდღიურ მუშაობის დროს ამ აპარატის მუშაობას უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება და ეხლავე ცალკე იქნას გამოყოფილი მუშათა კლასის ახალი ფენების აღზრდისა და გამობრძმედის ამოცანები. უმთავრეს როლს აქ თამაშობენ პროფესიონალური ორგანიზაციები, რომელნიც, როგორც სამართლიანად სთქვა პარტიის მეათე ყრილობამ, „კომუნიზმის სკოლაა".

ასეთივე როლს თამაშობენ საბჭოები, მათი განყოფილებები და სხვადასხვა ნებაყოფლობითი საზოგადოებანი (საშეფო ორგანიზაციები, ავიაქიმი, „ძირს წერა-კითხვის უცოდინრობა!").

ახალგაზრდა მუშების მიმართ, უეჭველია, უპირველეს როლს თამაშობს და მომავალშიაც ითამაშებს კომკავშირი. დაბოლოს, უდიდესი მნიშვნელობა აქვს პარტიას, როგორც მუშათა კლასის ავანგარდის ორგანიზაციას, რომელიც განსაზღვრავს ჩვენი ბრძოლის ძირითად ხაზს.

ჩვენ ვალდებული ვართ შევასრულოთ ჩვენი როლი პროლეტარიატის ახალი ფენების მიმართ. ჩვენ ისინი უნდა გავაცნოთ როგორც ჩვენი ქვეყნის, ისე სხვა ქვეყნების პროლეტარული ბრძოლის მთელ გამოცდილებას. ჩვენ მათ ღრმად უნდა შევაგნებინოთ ის განსხვავება, რომელიც არსებობს ბრძოლის პირობებში პროლეტარიატის მიერ ხელისუფლების დაპყრობამდე და დაპყრობის შემდეგ. ჩვენ უნდა დავეხმაროთ მათ, რომ შეითვისონ იმ პირობათა თავისებურობა, რომელშიაც სწარმოებს ჩვენი ბრძოლა. ჩვენ უნდა დავეხმაროთ მათ, რომ შეიგნონ ჩვენი აღმშენებლობის ბუნება. მოკლედ რომ ვსთქვათ, ჩვენ უნდა გამოვაფხიზლოთ მათში კლასიური შეგნება და ის უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობა, რომელიც ეკისრება მუშათა კლასს საზოგადოდ და საბჭოთა კავშირის მუშათა კლასს კერძოდ.

თავისთავად ცხადია, რომ ეს მუშაობა მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩატარდება წარმატებით, თუ იგი დაკავშირებული იქნება შრომის და მუშათა არსებობის კონკრეტიულ პირობებთან და იმ კონკრეტიულ ამოცანებთან, რომლებიც სდგანან ამა თუ იმ წარმოებაში მუშების წინაშე. პროპაგანდა, „საზოგადოდ", რომელიც არ იქნება დაკავშირებული ყოველ კერძო მომენტში პარტიის კონკრეტულ დირექტივების ჩატარებასთან, უნაყოფო იქნება.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი განვითარების ამ პერიოდში აღმზრდელობითი მუშაობის უდიდესი როლი უნდა ითამაშოს მტკიცე მომჭირნეობის რეჟიმის გატარებამ. მომჭირნეობის რეჟიმი, რომელიც მჭიდროდ უნდა იქნას დაკავშირებული მუშათა შრომისა და ყოფა-ცხოვრების ყველა კონკრეტულ პირობებთან, ამასთანავე უნდა ატარებდეს უდიდეს ისტორიულ მნიშვნელობის ბეჭედს. თუ იგი გასაგები იქნება სრულიად ჩამორჩენილი მუშისთვის, მას ექნება უდიდესი აღმზრდელობითი მნიშვნელობა.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ მეტად დიდ აღმზრდელობით ამოცანას წარმატებით შევასრულებთ. ამაში ჩვენ პირველ რიგში დაგვეხმარებიან ჩვენი პროლეტარიატის ძირითადი ფენები, რომლებიც ახლად მოსული მუშების ირგვლივ იმყოფებიან და რომლებსაც პრაქტიკულად, ყოველდღიურ მუშაობაში უნდა აჩვენონ მუშებს მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა იმოქმედოს ნამდვილმა პროლეტარიატმა ამა თუ იმ პირობებში.

გადმოცემულია ტელეგრაფით.
მოსკოვი, 8 სექტემბერი.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისის პროფკავშირთა ყრილობა გენერალურ საბჭოს პროგრამის თანახმად, განიხილავს: ტრედიუნიონების წესდებას, კულტურულ-განმანათლებელ და საორგანიზაციო საკითხებს. მემაღაროეთა გაფიცვა დღის წესრიგში შეტანილი არაა.



„პირში მოსულსა სიტყვასა განა სულ ყველას თქმა უნდა?“...

ტრედ-იუნიონების კონგრესი

გასართობი ინციდენტი

ლონდონი, 7 სექტემბერი. „დეილი მეილიმ“ და სხვა გაზეთებმა გაავრცელეს ხმები, რომ იაროცკიმ, რომელიც გასულ წელს თარჯიმანათ იყო საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს დელეგაციასთან სკარბოროს კონგრესზე—მოახერხა ხიკსის აკრძალვის წინააღმდეგ ინგლისში შესვლა და ემზადება ტრედ-იონიონთა კონგრესზე გამოსასვლელად. პოლიციამ მოახდინა სასტუმროებში დაბინავებულ პირთა სიების გადასინჯვა. მოხდა ახირებული ინციდენტი: პოლიციამ ვითომ იაროცკი დაატუსაღა—ნამდვილად კი დაიჭირეს გაზეთ „დეილი ჰერალდის“ კორესპონდენტი ბროდსკი.

რეზოლიუციების მიღება

ბორნემუტი, 7 სექტემბერი. ტრედ-იუნიონების კონგრესმა განუხილველად მიიღო გენერალური საბჭოს ანგარიშის ოთხი მუხლი. საერთოდ კონგრესის ატმოსფერას სრული უსიცოცხლობა ახასიათებს. პერსონალურ ხმის მიცემას ადგილი ჰქონდა მხოლოდ ერთხელ, სახელდობრ იმ რეზოლიუციის კენჭის ყრის დროს, რომელიც ეხებოდა მამაკაცებისა და დედაკაცების გათანასწორებას დახმარების მიღების საკითხში. **ეს რეზოლიუცია კონგრესმა უარყო.**

მღელვარება ესპანეთში

ლონდონი, 8 სექტემბერი. თანახმად „დეილი მეილის“ დეპეშისა, პრიმა-დე-რივერას განუცხადებია, რომ ესპანეთში რევოლიუცია კი არ მომხდარა, არამედ იყო ხელისუფლებისათვის დაუმორჩილებლობა, რაც ჩაქრობილ იქნა საზოგადო მშვიდობიანობის დაურღვევლად. გაზეთის მადრიდელი კორესპონდენტი გადმოგვცემს, რომ დანებდენ არტილერისტთა უკანასკნელი ჯგუფებიც.

სამხედრო უწესოების ლიკვიდაცია

პარიზი, 8 სექტემბერი. მადრიდიდან მიღებული ცნობებით, პრიმა-დე-რივერამ განაცხადა, რომ სამხედრო კონფლიქტი მოგვარებულია და საქმე გადაეცა სამხედრო ტრიბუნალს.

პარიზი, 8 სექტემბერი. „ჟურნალ“-ის მიერ მადრიდიდან მიღებული ცნობებით, პრიმო-დე-რივერას უარი უთქვამს გენერალ სირვენტას მიღებაზე, რომელსაც ბრალდება ამბოხებისათვის **დახმარების გაწევა. დათხოვნილია 1800 არტილერისტ-ოფიცრები.**

ფიქრობენ, რომ გამოშვებულ იქნება საერთო ამნისტია, რომლისდამიუხედავად ამბოხებაში მონაწილენი მაინც სასტიკად იქნებიან დასჯილნი.

ესპანეთში აღდგენილია წესრიგი

პარიზი, 7 სექტემბერი. ჰავასის სააგენტო გადმოგვცემს მადრიდიდან მიღებულ შემდეგ ოფიციალურ ცნობას: „აჯანყება პრიმა-დე-რივერას წინააღმდეგ სრულიად ჩაქრობილია 6 სექტემბრის საღამოსათვის. აჯანყებულთა ყველა ორგანიზაციებმა, მათ რიცხვში სამხედრო აკადემიამაც გამოაცხადეს მორჩილება. მეამბოხე ოფიცრები გადაეცემიან სამხედრო სასამართლოს. ჯარები მთავრობის ერთგულნი არიან“.

დავა პორტფელებისათვის

ბერლინი, 7 სექტემბერი. მრეწველთა მიმართვამ სოციალ-დემოკრატებისადმი, რომ ისინი მთავრობაში შევიდნენ, ნაციონალისტების მხრივ დიდი წინააღმდეგობა გამოიწვია. ნაციონალისტები აღნიშნავენ, რომ სოციალ-დემოკრატების მონაწილეობა მთავრობაში დასაშვებია მხოლოდ ზოგიერთ შემთხვევაში, ხოლო მათთან ერთად ეკონომიური პოლიტიკის გატარება ყოვლად შეუძლებელია. ნაციონალისტების ეს მოსაზრება არ პოულობს გამოხმაურებას, იმიტომ, რომ გერმანიის მრეწველობის ხელმძღვანელი წრეები, უწევენ რა ანგარიშს ეკონომიური კრიზისის გართულების შესაძლებლობას და მრეწველობის შემდგომი ნაციონალიზაციის აუცილებლობას, სცდილობენ სოციალ-დემოკრატებისაგან მთავრობაში მონაწილეობის არსებობის მიღებას და უარყოფითად ეკიდებიან ბურჟუაზიული პარტიების ბლოკის აღდგენის იდეას.

გერმანიისა და საფრანგეთის მძიმე მრეწველობის დაახლოვება მოითხოვს, აგრეთვე, ნაციონალისტების დაშორებას პოლიტიკურ ავანსცენიდან.

საიდუმლო ხელშეკრულების გარშემო

ბერლინი. ამერიკის გაზეთ „ნიუ-იორ-ამერიკენში“ გამოქვეყნებულმა ტექსტმა პოლონეთ-რუმინიის საიდუმლო ხელშეკრულების შესახებ გერმანიის პოლიტიკურ წრეებში დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

გაზეთ „ტეგლიხე რუნდშაუ“ ხელშეკრულების შინაარს სთვლის სრულიად მოულოდნელად.

მძიმე მრეწველობის ორგანო „დოიტშე ალგემაინე ცაიტუნგი“ პოლონეთ-რუმინიას შორის დადებულ სამხედრო ხელშეკრულობაში ხედავს „სისხლიან ხუმრობას“ და იძლევა კითხვას—შეესაბამება თუ არა ასეთი ხელშეკრულება ერთა ლიგის სურვილს?

ახალგაზრდათა დღე ვარშავაში

ვარშავა, 7 სექტემბერი. **საერთაშორისო ახალგაზრდობის დღის აღსანიშნავად მუშებმა მოაწყვეს დემონსტრაცია.** დემონსტრაციას თავს დაესხა ცხენოსანი პოლიციის ორი ესკადრონი. არის ბევრი დაჭრილი და დატყვევებული.

გენერალ გაიდის საქმე

პრაღა, 8 სექტემბერი. ჩეხო-სლოვაკიის დეპეშათა სააგენტო გადმოგვცემს, რომ ოფიციოზ „პრაგერ ტაგებლატის“ რედაქტორთან საუბარში პრეზიდენტ მასარიკს გენერალურ შტაბის უფროსის თანამდებობიდან დათხოვნილ გენერალ გაიდის საქმეზე განუცხადებია, რომ ამ საქმის გამოძიება ჯერ არ დასრულებულა.

„ახლა უკვე აშკარაა, განაცხადა მასარიკმა, რომ ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს არა თვით გაიდთან, არამედ მის დამცველთან (ფაშისტური წრეები). ამ საკითხის ახლო მომავალში გადაწყვეტა იქნება მკაცრი გაკვეთილი ამ ელემენტებისათვის“.

ფაშისტებს, მასარიკის სიტყვით, თავის თავად არავითარი მნიშვნელობა არა აქვთ.

დასასრულ მასარიკმა განაცხადა, რომ პრეზიდენტის მომავალ არჩევნების საკითხი პირადათ მას როდი აწუხებს; ის ბედნიერათ ჩასთვლის თავს, როდესაც შესაძლებლობა მიეცემა ემსახუროს რესპუბლიკას და დემოკრატიას, როგორც დამოუკიდებელი პუბლიცისტი.

ამერიკის ნავთი

ამერიკა ნავთის მომარაგებაში

ნიუ-იორკი, 8 სექტემბ. ნავთის წყაროების დაშრობასთან მებრძოლმა კომისიამ, რომლის წევრებიც არიან ვაჭრობის, საზღვაო სამხედრო და შინაგან საქმეთა მინისტრები გამოაქვეყნა მოხსენება, რომელშიც წინადადებას აძლევს ამერიკის ნავთის კერძო მრეწველებს შეიძინონ ახალი სამრეწველოები მექსიკასა და სამხრეთ-ამერიკაში, რაც შესაძლებლობას მისცემს ამერიკის შეერთებულ შტატებს გაადიდოს თავისი ნავთის მარაგი კომერციულ და სამხედრო მიზნებისათვის.

ხანძარი კინოში

ლონდონი, 7 სექტემბერი. ირლანდიის ერთი სოფლის ხის შენობაში, რომელშიაც მოთავსებული იყო კინემატოგრაფი, ცეცხლი გაჩნდა.

შენობა გაეხვია ცეცხლის ალში. დამფრთხალი მაყურებელი საზოგადოება მიაწყდა ფანჯრებს, მაგრამ ფანჯრები აღმოჩნდა რკინის ხლართებით დაჭედილი. შემდეგ ხალხი მიაწყდა ერთად-ერთ გამოსავალ კარებს; ბევრი ფეხქვეშ გაითელა და წაქცეულმა ხალხმა გამოსავალი კარები ახორგა. მკვდარია 47 კაცი დიდი და პატარა, დაჭრილია 11. დამწვარი სახლის ნანგრევებიდან ჯერ-ჯერობით გამოიტანეს 30 გვამი.

უკანასკნელი ცნობები

ცნობები მოლაპარაკების შესახებ.

ამიერ-კავკასიის საგაფიცვო კომიტეტმა დაადგინა სისტემატიურათ გადიგზავნოს ინდოევროპიულ სატელეგრაფო ხაზზე დაწერილებითი ცნობები ფოსტა-ტელეგრაფის კავშირის ცენტრალურ კომიტეტის და კენინგამის შორის დაწყებულ მოლაპარაკების მიმდინარეობის შესახებ.

ა.-კ. ფოსტა-ტელეგრაფის საოლქო გამგეობის პლენუმის მოწოდება.

ამიერ-კავკასიის საგაფიცვო კომიტეტმა საჭიროთ სცნო მოსკოვიდან მიღებულ ცნობებთან ერთად გადაგზავნოს ადგილებზე ამიერ-კავკასიის ფოსტა-ტელეგრაფის კავშირის საოლქო გამგეობის პლენუმის მოწოდება. პლენუმის მოწოდებაში ნათქვამია, რომ ისინი მზათ არიან დაეხმარონ გაფიცულებს მათ განკარგულებაში არსებული თანხებით.

ერევნის „ინდო“-ს მუშაკთა განცხადება.

გუშინ ამიერ-კავკასიის გაფიცვის კომიტეტში მიღებულია დეპეშა, სადაც ნათქვამია, რომ ერევნის „ინდო“-ს მუშაკთა საერთო კრება იწონებს ცენტრალური კომიტეტის მიერ უკანასკნელ თათბირზე „ინდო“-ს ადმინისტრაციისადმი წარდგენილ მოთხოვნილებებს.

დახმარება გაფიცულებს.

თანახმად ცეკას წინადადებისა, „ინდო“-ს თანამშრომლებს დაურიგდათ ერთდროული დახმარება ამიერ-კავკასიის საგაფიცვო კომიტეტის მიერ დაწესებული რაოდენობის მიხედვით.

შტატში მყოფ თანამშრომლებს დახმარება დაურიგდათ 1-ლ სექტემბრამდე, ხოლო სარემონტო მუშებს კი—4 სექტემბრამდე.

დროებით მომუშავე გლეხებისათვის ხელფასის ანაზღაურება

იმის გამო, რომ „ინდო“-ს ადმინისტრაცია დროებით დაქირავებულ მუშებს გაფიცვის გამო არ უნაზღაურებს სამუშაო ხელფასს, ამიერ-კავკასიის საგაფიცვო კომიტეტმა გლეხების ინტერესების დაცვის მიზნით აცნობა ადგილობრივ აღმასკომებს მიიღონ ზომები, რათა „ინდო“-ს ადმინისტრაციამ გაუსწოროს ანგარიშები დროებით დაქირავებულ გლეხებს.

კანტონის ჯარებისთვის ფულს აგროვებენ

შანხაი, 7 სექტემბ. გომინდანის ორგანიზაციებმა შანხაიში დაიწყეს კამპანია ფულის შესაგროვებლად კანტონის ჯარების ჩრდილოეთ ექსპედიციისთვის.

გერმანიის მიღება ერთა ლიგაში

ბერლინი, 8 სექტემბ. 8 სექტემბერს ერთა ლიგის საბჭოს პლენარულმა სხდომამ ერთხმად დაადგინა მიიღოს გერმანია ერთა ლიგაში.

კანტონის მთავრობის პროტესტი

ლონდონი, 7 სექტემბ. აქ მიღებულია ცნობები, რომ კანტონის მთავრობის საგარეო მინისტრმა ევგენი ჩენ-მა ინგლისის წარმომადგენელს კანტონში განუცხადა პროტესტი კანტონის ნავთსადგურში ინგლისის ჯარების გადმოსხმის წინააღმდეგ და აგრეთვე გონკონგის ხელისუფლების მიერ კანტონის ნაოსნობაზე კონტროლის დაწესების წინააღმდეგ.

ოქროს ახალი მადანი

ლენინგრადი, 8 სექტემბერი. პროფესორმა გრიგორიევმა შორეულ აღმოსავლეთში აღმოაჩინა ოქროს, ქვა-ნახშირის და რკინის ახალი მარაგი.

ამხ. ვასილიევის გვამის პოვნა

ლენინგრადი, 8 სექტემბერი. დღეს, ხანგრძლივი ძებნის შემდეგ იპოვეს კრონშტადტის პოლიტგანყოფილების უფროსის, ამხ. ვასილიევის გვამი, რომელიც „ბურევესტნიკის“ ავარიის დროს დაიღუპა.

ბერლინის პრესა გერმანიის ერთა ლიგაში შესვლის შესახებ

ბერლინი, 8 სექტემბერი. ბერლინის პრესა გამოეხმაურა ერთა ლიგის დადგენილებას გერმანიის მიღების შესახებ. კონსერვატიული პრესა ამ ფაქტს სკეპტიკურად აფასებს. მთავრობის კოალიციის ეს სოციალისტური პრესა გერმანიის ერთა ლიგაში მიღებას ახალი ხანისდასაწყისად ხთვლის. ბერლინის პრესა მოითხოვს ერთა ლიგის საბჭოში ადგილის დათმობას ჩინეთისათვის.

ესპანეთი მაროკოში რჩება

ბერლინი, 8 სექტემბერი. ესპანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ ესპანეთი მაროკოდან გასვლას არ აპირებს. ტანჟერის საკითხი მოგვარდება ერთა ლიგის სესიის დამთავრებისთანავე.

ერთა ლიგა „მოღვაწეობს“

ბერლინი, 8 სექტემბერი. ერთა ლიგის საბჭოს პლენუმმა გადასწყვიტა რეინის ოლქიდან საფრანგეთის ჯარების ევაკუაციის საკითხი გადიტანოს საბჭოს დეკემბრის სესიაზე.

პლენუმმა დაამტკიცა ბულგარეთისთვის 2.350.000 გირ. სტერლინგის სესხის მიცემა ლტოლვილთა მოსაწყობად და მიიღო წინადადება საბჭოში არამუდმივი ადგილების რიცხვის გადიდების შესახებ.

საფრანგეთ-საბჭოთა ურთიერთობა

მოსკოვი, 8 სექტემბერი. დღეს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარის მოადგილე ლიტვინოვი ინახულა საფრანგეთის ელჩმა ერბეტ-მა მოსკოვში ჩამოსულ მმართველობის უფროსის თანდასწრებით (გამოტოვებულია) საფრანგეთის ფინანსთა სამინისტროსთან. ალფრანი არის საფრანგეთის დელეგაციის წევრი საფრანგეთ-საბჭოთა კონფერენციაზე პარიზში.

სანახშირო კონფლიქტი

ლონდონი, 7 სექტემბ. მაღაროების მეპატრონეთა კავშირის აღმასკომმა ერთხმად უარჰყო მემაღაროებთან საერთო შეთანხმება. მიუხედავად ამისა აღმასკომმა დაადგინა შეეკითხოს ყველა რაიონების მაღაროების მეპატრონეებს საერთო შეთანხმებაზე მოლაპარაკების დაწყების შესახებ. შედეგები გამოირკვევა 18 სექტემბერს. ფიქრობენ, რომ მთავრობა ალბად, დაუცდის მაღაროების მეპატრონეების საბოლოო პასუხს. მაღაროების მეპატრონეები სცდილობენ მოიგონ დრო, რადგან იმედი აქვთ მემაღაროეთა კავშირის დაშლის.

მომჭირნეობა

პარიზი, 8 სექტემბერი. მინისტრთა საბჭომ ეკონომიურ პროგრამის გარჩევის დროს, განიხილა საზოგადოებრივ სამუშაოთ, სავაჭრო ფლოტის და განთავისუფლებულ რაიონების სამინისტროების ხარჯების შემცირების საკითხი.

საყოველთაო გაფიცვას მოითხოვენ

შანხაი, 7 სექტემბერი. იაპონელ ქარხნების ადგილობრივ საგაფიცვო კომიტეტების წარმომადგენელთა კრებამ გამოიტანა დადგენილება საყოველთაო გაფიცვის გამოცხადების შესახებ. გაფიცვები ამავე დროს ჩინელთა ფაბრიკებსაც მოედო. გაფიცულია ჩინეთის ელსადგურის 4.000 მუშა, რომლებმაც ეკონომიური მოთხოვნილება წამოაყენეს.

გერმანიის მიღება ერთა ლიგაში

ბერლინი, 8 სექტემბერი. ერთა ლიგის გენერალურმა მდივანმა დეპეშით აცნობა შტრეზემანს, რომ გერმანია მიღებულია ერთა ლიგაში და მას მიკუთვნებული აქვს საბჭოში მუდმივი ადგილი. გერმანიის დელეგაცია ლიგის სესიაზე გაეშურება დღეს.

ამბოხება სპარსეთის ქურთისტანში

თეირანი, 8 სექტემბერი. ქურთების ამბოხება, რომელსაც მეთაურობს ყოფილ შაჰის ბიძა სალარ-ედ-ნავალი, ფართოვდება. სერდეშტი კვლავ ქურთებმა დაიჭირეს. სპარსეთის ჯარებმა დიდი ზარალი ნახეს. ადგილობრივ ფეოდალებთან ერთად აჯანყებულთა სოფელში ინგლის-ინდოეთის ოფიცრები სდგანან.

ახალი ფაზისი

ლონდონი, 7 სექტემბერი. რეიტერის სააგენტოს ცნობით სანახშირო მრეწველობის კონფლიქტი ახალ ფაზისში გადავიდა. სამთამადნო მუშების ფედერაციის წარმომადგენლები, რომლებიც დაესწრენ პროფკავშირთა კონგრესს ბორნემუტში, საჩქაროდ გაემგზავრენ ლონდონში 7 სექტემბერს საღამოთი. ამტკიცებენ, რომ ისინი სასწრაფოდ გაიწვია მთავრობამ.

მიწის ქერქში არსებულ ელექტრონის გამოყენება.

ლენინგრადი, 8 სექტემბერი. ლენინგრადის პროფესორმა რონონძა გააკეთა ახალი ტიპის ტრანსფორმატორი, რომელიც საშუალებას იძლევა ჰაერში ხელოვნურად გამოწვეულ ელვიდან მიღებულ იქნეს დიდი ძალის ელექტრო-დენი. ამ ტრანსფორმაციის საშუალებით შესაძლებელია მიწის ქერქში არსებული ელექტრონის გამოყენებაც. ცდები დამაკმაყოფილებლად ჩატარდა.

მემაღაროეთა ახალი ჯგუფი

მოსკოვი, 8 სექტემბ. დღეს მოსკოვში ჩამოვიდენ მემაღაროელები დევის, ბერნს და ვილიამს. ყველა ისინი კომუნისტები არიან.

სევასტოპოლის კონტრ-რევოლიუციონერთა საქმე

სევასტოპოლი, 8 სექტემბ. საბჭოთა კავშირის უზენაეს სასამართლოს სამხედრო კოლეგიაში დაიწყო სევასტოპოლის კონტრ-რევოლიუციის მონაწილეთა საქმე.

ერთა ლიგის სესიის ბიურო

ბერლინი, 7 სექტემბ. 7 სექტემბერს ერთა ლიგამ აირჩია სესიის ბიურო, რომელშიც შედის ექვსი თავმჯდომარის მოადგილე და აქვსი კომისიის თავმჯდომარე. არჩეულთა შორის არიან ჩემბერლენი, ბრიანი და სხვები. ერთა ლიგის წესდების შესაცვლელად არჩეულ კომისიის თავმჯდომარეთ გავიდა შვეიცარიის წარმომადგენელი.

ჩან-ძო-ლინის მიერ მითვისებულ ფლოტის შემადგენლობა

მოსკოვი, 8 სექტემბერი. ჩან-ძო-ლინის მიერ მითვისებულ ფლოტის შესახებ საკავშირო ტელეგრაფის სააგენტოს თანამშრომელს გზათა სახ. კომისარიატში შემდეგი აცნობეს: მდინარე სუნგარის ფლოტის შემადგენლობაში შედის 11 გემი და 30 ბარჟა. ფლოტი სავსებით წესიერ მდგომარეობაში იყო, ჩვეულებრივად მუშაობდა ხარბინის მიმართულებით ამურამდე. უკანასკნელი წლის განმავლობაში მიღებულ იქნა 30 მილიონი ფუთი სხვადასხვა საქონელი. გარდა აღმოსავლეთ რკინის გზის ფლოტისა მდინარე სინგურაზე მუშაობს ჩინეთის ზოგიერთი ფირმების საექსპორტო კომპანიის ფლოტი. მაგრამ აღმოსავლეთ რკინის გზის ფლოტი შეადგენს 40 პროცენტს მთელი სუნგარის ფლოტისას.

სკოლის საქმის შესახებ განაცხადეს: გზაზე მუშაობს პირველი და მეორე საფეხურის რამდენიმე ათეული სკოლა, აგრეთვე პოლიტეხნიკური ინსტიტუტი და სხვა.

საბჭოთა ადმინისტრაცია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს სასკოლო საქმის განვითარებას და ამ მიზნისთვის მნიშვნელოვან თანხებს ხარჯავს. 1926 წ. გადადებული იყო 1.600.000 მან. და აქედან ჩინური სკოლების ახაშენებლად დაიხარჯა 400.000 მან. და მათ შესანახად კი 500.000 მან. ადმინისტრაცია განსაკუთრებული მზრუნველობით ეკიდებოდა ჩინურ სკოლას, რომელიც თანდათან ვითარდებოდა საბჭოთა ადმინისტრაციის მუშაობის დაწყებიდან. უკანასკნელ ხანებში აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე გახსნილია თავშესაფარები, საბავშვო კოლონიები, სამკითხველოები და სხ. კულტურულ-განმანათლებელი დაწესებულებები. უხეში მითვისება უეჭველია, გამოიწვევს დიდი კულტურული მუშაობის ჩაშლას.

აჯანყების განახლება მაროკოში

პარიზი, 8 სექტემბერი. აჯანყდენ მაროკოს ესპანური ზონის ზოგიერთი ტომები. დაწვრილებითი ცნობები ჯერ არის მიღებული.

ინგლისის პროფკავშირების კონგრესი

ბორნემუტი, 7 სექტემბერი. ის მოდუნებული ატმოსფერა, რომელიც შეიქმნა კონგრესზე გენერალურ საბჭოს თავმჯდომარე პიუს სიტყვის შემდეგ, 7 სექტემბერს გაფანტულ იქნა პროფკავშირთა უმცირესობის ფრაქციის აქტიური გამოსვლებით, რომელიც, კომუნისტების ჩათვლით, შესდგება სულ 15 დელეგატისაგან. უმცირესობის ფრაქცია გამოვიდა გენერალურ საბჭოს ანგარიშის იმ ნაწილის დაუნდობელი კრიტიკით, რომელიც შეეხება საორგანიზაციო პრობლემას. ორატორები, რომლებიც აკრიტიკებდენ ანგარიშს, ხაზს უსვამდენ იმას, რომ გენერალური საბჭო ყოველნაირად სცდილობდა მორიდებოდა საორგანიზაციო პრობლემის არსებითად გადაჭრას, და თავის პასუხში მიუთითებდა მარტო იმ დაბრკოლებებზე, რომელნიც წამოიჭრენ „ცეხოვშჩინიდან“ წარმოებითი პრინციპზე გადასვლის გზაზე.

შეკერილ ტანსაცმელების მუშათა კავშირის წარმომადგენელმა **ელსბერიმ** სასტიკად გააკრიტიკა გენერალური საბჭო იმაში, რომ პარალელურ პროფკავშირების გაერთიანების მიზნით მან არ გამოიყენა პროფკავშირების რჩევა და არ გადადგა ნაბიჯი პროფკავშირების ამ რჩევის განსავითარებლათ მაშინ, როდესაც მათი როლი საყოველთაო გაფიცვაში შეიქნა საუკეთესო დამამტკიცებელი მათი ღირებულებისა და ტრედიუნიონთა კონგრესში შესვლის აუცილებლობისა.

უმცირესობათა წარმომადგენლებმა გააკრიტიკეს გენსაბჭოს შენიშვნა იმის შესახებ, რომ „პროფკავშირთა საბჭოების მონაწილეობა უმცირესობათა მოძრაობაში შეუთავსებელია ტრედიუნიონთა კონგრესისა და გენერალურ საბჭოს პოლიტიკასთან, და რომ ამიტომ საბჭოს არ შეუძლია მოიწონოს უმცირესობათა მოძრაობაში მონაწილეობა“.

სამთამადნო მუშათა ფედერაციის წარმომადგენელმა **სორნერმა** დასვა საკითხი: რატომ არაფერი არაა გაკეთებული საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების დასაარსებლად, რომელთა შექმნა დაადგინა ტრედიუნიონთა სკარბოროს შარშანდელმა კონგრესმა. მოხსენების ეს ნაწილი მიღებულ იქნა 2.710.000 ხმის უმეტესობით 738.000 წინააღმდეგ. მიუხედავათ ამისა, ეს კენჭის ყრა მეტად დამახასიათებელია, რადგან ტრედიუნიონთა კონგრესის პრაქტიკაში ეს იყო პირველი, პირდაპირი კენჭის ყრა იმ წინადადებისა, რომელიც წარმოდგენილი იყო უმცირესობათა მოძრაობის მიერ. კენჭის ყრის შედეგები მოწმობენ, აგრეთვე, რომ ცნობები აგვისტოს ბოლოში გამართულ უმცირესობის კონფერენციის მონაწილეთა რიცხვის შესახებ არ არის გაზვიადებული, როგორც ამის დამტკიცებას სცდილობდენ პროფმოძრაობის მემარჯვენე ფრთის წარმომადგენლები.

უმცირესობის წარმომადგენლები დაბეჯითებით მოითხოვდენ, აგრეთვე, იმას, რომ ანგარიშის ნაწილი, რომელიც შეეხება ამსტერდამის ინტერნაციონალის არსებობის 25 წლისთავს, შეტანილ იქნეს მოწოდებაში პროფმოძრაობის საერთაშორისო მთლიანობისაკენ.

ცხარე კამათი გამოიწვია მუნიციპალურ და სხვა მუშათა კავშირის რეზოლიუციის განხილვამ „მთლიანი დიდი კავშირის“ შესახებ, და, აგრეთვე ხის დამმუშავებელთა კავშირის შესწორებამ საწარმოო საფუძველზე პროფმოძრაობის რეორგანიზაციის შესახებ.

ბევინი და მემარჯვენე ფრთის სხვა წარმომადგენლები იძლევიან წინადადებას გადაიდოს ამ საკითხის გადაწყვეტა. კუკი, რომლის გამოსვლასაც კონგრესი შეხვდა მხურვალე ტაშით, თავის სიტყვაში იცავდა პროფმოძრაობის ორგანიზაციის საწარმოო პრინციპს. მან მიუთითა შტრეიკბრეხერობის მაგალითზე მაღაროების ტეხნიკურ მუშაკთა მხრივ, რომლებიც არ იყვნენ სამთამადნო მუშათა ფედერაციის წევრები. „ჩვენ, განაცხადა მან, „ცეხურ“ პროფკავშირების უფრო გვეშინია, ვიდრე მწარმოებლებისა“.

ხის დამმუშავებელთა შესწორება მიღებულ იქნა 2.172.000 ხმით 1.480.000 ხმის წინააღმდეგ. შემდეგ უყარეს კენჭი შესწორებას, როგორც ძირითად რეზოლიუციას და ის მიღებულ იქნა 2.164.000 ხმის უმეტესობით 1.658.000 ხმის წინააღმდეგ.

ამრიგად, ტრედიუნიონების კონგრესმა პირველად მოიწონა პროფკავშირების გაერთიანების წარმოებითი პრინციპი, და გადადგა ამ მხრივ ნაბიჯი წინ, შედარებით სკარბოროს კონგრესთან, რომელმაც უკუაგდო ანალოგიური რეზოლიუცია. ბენ-ტერნერმა გენერალური საბჭოს სახელით შეიტანა საგანგებო რწმუნებულების კანონის გამოყენების წინააღმდეგ საპროტესტო რეზოლიუცია, რომელიც არღვევს ქვეყნის ტრადიციებს და ემუქრება ინგლისის ხალხის მიერ დიდის სიძნელით მოპოვებულ თავისუფლებას.

შეკერილ ტანსაცმელების მუშათა კავშირის წარმომადგენელმა **ელსბერიმ** განაცხადა პროტესტი რეზოლიუციის ასეთი ფორმულიროვკის წინააღმდეგ და უწოდა მას მეტად რბილი და ბავშური. „ინგლისის ტრადიციები, სთქვა მან, არ წარმოადგენენ თავისუფლების ტრადიციებს, რამდენადაც ეს აქტიურ მუშებს შეეხება“. ელსბერი მკაცრად აკრიტიკებდა ტერნერის პაციფისტურ არგუმენტაციას და აღნიშნავდა, რომ ფაშისტები ენერგიულ მზადებაში არიან. **ის მოითხოვდა თავდაცვის მუშათა კორპუსის შექმნას.** ელსბერის ამ წინადადებას კონგრესი დიდის აღფრთოვანებით შეეგება.

საგანმანათლებლო მუშაობის შესახებ გენერალურ საბჭოს მოხსენების მე-6 ნაწილის გარშემო ხანგრძლივი კამათის შემდეგ, გენერალური საბჭოს წინადადება, მოეწყოთ ისტონში მუშათა უნივერსიტეტის დაარსების მიზნით პროფკავშირებში ფულის შეგროვება, კონგრესმა უარჰყო 2.471.000 ხმით 1.481.000 ხმის წინააღმდეგ.

ბორნემუტი, 7 სექტემბერი. ინგლისის პროფკავშირების მე-58 კონგრესს დაესწრო 697 დელეგატი, რომლებიც წარმოადგენენ პროფკავშირთა 4365404 წევრს;-ეს რიცხვი 14.432-ით მეტია, ვიდრე სკარბოროს შარშანდელ კონგრესის დროს იყო. გენერალურ საბჭოს მიერ გაერთიანებულ პროფკავშირების რიცხვი უდრის 208-ს.

გადმოგვცემენ, რომ იმ სიტყვის ტექსტი, რომელიც უნდა წარმოეთქვა ტომსკის ბორნემუტში, იბეჭდება და დაურიგდება დელეგატებს.

ფარინგტონი, რომელიც შედიოდა ამერიკის შრომის ფედერაციის დელეგაციის შემადგენლობაში, არ ჩამოსულა კონგრესზე.

როგორც გადმოგვცემენ, მის მიერ კაპიტალისტურ წარმოებაში სამსახურში შესვლის გამომჟღავნების შემდეგ, მას ჩამოერთვა რწმუნებები. მეორე ამერიკელმა დელეგატმა **ხეტჩესონმა** 7 სექტემბრის სხდომაზე კონგრესს მიმართა მოკლე მისალმებით, რომელშიც შემდეგნაირად განსაზღვრა ამერიკის შრომის ფედერაციის ხაზი: **„ჩვენ შეგნებული გვაქვს, რომ კაპიტალისტები უნდა არსებობდენ. ჩვენ მათდამი არ ვიქნებით მტრულად განწყობილი იმ შემთხვევაში, თუ ისინი არ გაუწევენ წინააღმდეგობას მშრომელთა მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ მიმართულ ჩვენს ღონისძიებებს“.**

ბორნემუტი, 8 სექტემბერი. პროფკავშირთა კონგრესის სხდომაზე 8 სექტემბერს განხილულ იქნა საკითხი გენერალურ საბჭოს რწმუნებათა გაფართოების შესახებ. ამ საკითხზე წარდგენილ 9 რეზოლიუციიდან განხილულ იქნა მხოლოდ ნოქართა კავშირის მიერ შეტანილი ერთი საერთო რეზოლიუცია და აგრეთვე ავეჯეულობის ქარხნების მუშათა კავშირის შესწორება. შესწორების მთავარი მუხლები ასეთია: მიენიჭოს უფლება გენერალურ საბჭოს გამოაცხადოს ნაწილობრივი, თანდათანობითი ან საერთო გაფიცვა; შეუთანხმდეს საჭიროების დროს ბითუმად შემსყიდველ კოოპერატიულ ამხანაგობებს სურსათის მისაწოდებლად. ნოქრების კავშირის რეზოლიუცია შინაარსის მხრით ეთანხმებოდა ავეჯეულობის მუშათა კავშირის შესწორებას, მაგრამ წინადადებას იძლეოდენ საკითხი განეხილათ შემდეგ, იმის ნაცვლად რომ დაუყოვნებლივ აღეჭურვათ გენერალური საბჭო აღნიშნული რწმუნებებით. ყრილობის უმცირესობის მოძრაობის ფრაქციამ და აგრეთვე მემაღაროების კავშირის დელეგაციამ მხარი დაუჭირეს შესწორებას და განაცხადეს, რომ საყოველთაო გაფიცვამ გამოაშკარავა გენერალურ საბჭოს რწმუნებათა გაფართოების აუცილებლობა. ბევინმა, კლაინსმა და კრემმა მკაცრად გაილაშქრეს რეზოლიუციის და შესწორების წინააღმდეგ. ისინი მოითხოვდენ, რომ საკითხი მთლიანად გადაედოთ პროფკავშირთა აღმასკომების კონფერენციის დამთავრებამდი და კონფერენციისთვის გადაეცათ გენერალურ საბჭოს მოხსენება საყოველთაო გაფიცვაზე.

ბოლოს შესწორება უარყოფილ იქნა 3.202.000 ხმით 848.000 წინააღმდეგ. ნოქართა კავშირის რეზოლიუცია უარყოფილია 2.573.000 ხმით 1.706.000 წინააღმდეგ.

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

საწარმოო - საფინანსო გეგმა

მოსკოვი, 8 სექტემბერი. ნავთის ტრესტების 1926—27 წ. საწარმოო-საფინანსო გეგმები წარდგენილია სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოში.

უმაღლესი საბჭო ამ გეგმებს განხილვის შემდეგ გადასცემს საგეგმო კომისიას, ხოლო ეს უკანასკნელი შრომისა და თავდაცვის საბჭოს.

შინაგანი ბაზარი

მოსკოვი, 8 სექტემბერი. საკავშირო სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ განიხილა შინაგანი ბაზრის ნავთით დაკმაყოფილების გეგმა და აგრეთვე ნავთის ექსპორტის საკითხი.

ახალ საოპერაციო წლის დაწყებისას ნავთის მრეწველობას ექნება 1.400.000 ტონა მზა ნავთის პროდუქტების მარაგი. ახალი ნავთის ამოღება კი მოგვცემს 4.900.000 ტონას.

ახალი ზეთის ქარხანა

მოსკოვი, 8 სექტემბერი. სტალინგრადის ნავთის საწყობებში ხანძრის გაჩენის შემდეგ, ზეთის წარმოება სტალინგრადის ზეთის ქარხანაში დროებით შეწყდა.

ნავთის სინდიკატმა გადასწყვიტა დაუყოვნებლივ შეუდგეს ზეთის დამუშავებას ლენინგრადში „კრასნი ნეფტიანიკ“-ის საწყობთან მოწყობილ ქარხანაში.

გაფიცვა „ინდოზე“

მოსკოვი, 8 სექტემბერი. 7 სექტემბერს შესდგა საერთო თათბირი ქსელის მუშაკთა ცეკას პრეზიდიუმის და ინდო—ევროპიულ ტელიგრაფის საზოგადოების წარმომადგენლებისა, „ინდო“-ს წარმოებებში შექმნილი კონფლიქტის მოსაგვარებლად.

„ინდო“-ს მთავარ რწმუნებულს მოსკოვში **კენინგამს** ეცნობა ქსელის მუშაკთა ცეკას პრეზიდიუმის წინადადებანი, რომელთა მიხედვით შესაძლებელია გაფიცვის შეწყვეტა და ახალი კოლექტიური ხელშეკრულების დადება, 2 წლის ვადით 1926 წლის ოქტომბრიდან. კენინგამმა თავის პასუხში თავი შეიკავა ქსელის მუშაკთა კავშირის ცეკას პრეზიდიუმის წინადადებების შეთავსებაზე და მოითხოვა ხელშეკრულების ვადის გაგრძელება 3 წლამდე.

საფეიქრო მრეწველობაში

მოსკოვი, 8 სექტემბ. **გაიხსნა საფეიქრო მრეწველობის მეორე ენერგეტიული კონფერენცია.** კონფერენციის პირველ დღეს მოსმენილ იქნა ანგარიში საფეიქრო მრეწველობის სათბობი განყოფ. მუდმივ ბიუროს მუშეობის შესახებ და ინჟენერ ობრაზკოვის მოხსენება საფეიქრო მრეწველობის სათბობის ბალანსის შესახებ. საკავშირო საფეიქრო მრეწველობის სათბობის ბალანსი ამ ხუთი წლის გასწვრივ გამოთვლილია შემდეგი სახით: ელექტრო-ენერგიის მისაღებათ უნდა შემცირებულ იქნას შეშის და ნავთის ხმარება და გაიზარდოს მოხმარება ტორფის და ქვა-ნახშირისა. საფეიქრო მრეწველობისთვის შეშის თვითდამზადება ხუთი წლის განმავლობაში ერთნახევარჯერ გაიზრდება და საფეიქრო მრეწველობის ცალკე დარგების შეშაზე მოთხოვნილებას დააკმაყოფილებს 34-დან 72 %-დე. ტორფის ამოღების გადიდება სავსებით უზრუნველჰყოფს წლიურ მოთხოვნილებას.

დელეგაცია გერმანიიდან

ლენინგრადი, 8 სექტემბ. გემ „პრუსიათი“ შტეტინიდან ჩამოვიდა გერმანიის თავისუფალ მოაზრეთა კავშირის დელეგაცია 21 კაცის შემადგენლობით. ჩამოსულთა შორის 9 სოციალ-დემოკრატია, 6 კომუნისტი, 1 დამოუკიდებელი სოციალისტი და 5 უპარტიო.

ფეხბურთი

ა. კ. ფეხბურთელთა მატჩი მოსკოვის გუნდებთან

მოსკოვი, 8 სექტემბერი. მოსკოვის პროფკავშირთა საბჭოს სტადიონზე გაიმართა მატჩი ამიერ-კავკასიის ფეხბურთელებსა და მოსკოვის პროფსაბჭოს შენაკრებ გუნდს შორის. თამაშში მოსკოველებმა აშკარა უპირატესობა გამოიჩინეს. მატჩი დასრულდა 6:2 მოსკოველების სასარგებლოთ.

მეორე დღის გაიმართა მატჩი ამიერ-კავკასიის ფეხბურთელებსა და რუსკაბელის კომანდას შორის. აქაც ამიერ-კავკასიელები დამარცხდნენ. თამაში დასრულდა 4:0 რუსკაბელის სასარგებლოთ.

მუშური სოლიდარობა

მოსკოვი, 8 სექტემბერი. საკავშირო პროფსაბჭოს გამოწვევამ, სამუშაო ხელფასიდან 1%-ს გადარიცხვის შესახებ, დიდი გამოხმაურება ჰპოვა საბჭოთა კავშირის მუშათა მასაში. **საკავშირო პროფსაბჭო ყოველ დღე ღებულობს პროფკავშირთა ორგანიზაციებიდან, მუშათა და მოსამსახურეთა საერთო კრების, ყრილობების და კონფერენციების გამოგზავნილ ათეულ დეპეშებს, სადაც სურვილს გამოსთქვამენ საკავშირო პროფსაბჭოს წინადადების ცხოვრებაში გასატარებლათ.** 7 სექტემბერს მიღებულ იქნა ასეთი შინაარსის დეპეშები: ტამბოვიდან, ასტრახანიდან, ტულიდან, ნოვოჩერკასსკიდან, გომელიდან, სმოლენსკიდან და სხ.

კემო-კვების კავშირის ცეკას პლენუმმა დადგენილება გამოიტანა მიესალმოს გაფიცულ მემაღაროელებს და საკავშირო პროფსაბჭოს გადაწყვეტილებათა თანახმად დააწესოს ერთ პროცენტიანი ანარიცხი გაფიცვის წარმატებით დამთავრებამდე. ამასთან ერთად პლენუმმა დაადგინა კავშირის ცეკას თანხიდან, ინგლისის მემაღაროებისადმი ერთდროული დახმარების სახით გადასდოს 10.000 მანეთი.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

აზერბეიჯანი

ახალი არხის გაყვანა

ბაქო, 8 სექტემბ. ტერტერის რაიონში 14.000 დესეტინა მიწის მოსარწყავად სწარმოებს ახალი არხის გაყვანა ძველი „ლევანარხის“ მაგივრად. სწარმოებს აგრეთვე მუშაობა წყლის დასაგროვებელი აუზისა და საგუბარის მოსაწყობად ენერგიის მიღების მიზნით. მუშაობა გაგრძელდება 3 წლის განმავლობაში. ყველა ამ სამუშაოების ღირებულება განსაზღვრულია ერთი მილიონი მანეთით.

წითელი მასწავლებლები

ბაქო, 8 სექტემბ. აზერბეიჯანის უმაღლეს სასწავლებლის პედაგოგიური ფაკულტეტი 1-ლი ოქტომბრისათვის გამოუშვებს 50 წითელ პედაგოგს.

მეტეორი

ბაქო, 8 სექტემბ. **6 სექტემბერს 7 საათზე ქალაქის სამხრეთ დასავლეთ ნაწილში ცაზე გაიქროლა არაჩვეულებრივად გაშუქებულმა მეტეორმა**, რომელიც კარგათ მოჩანდა შეუიარაღებელი თვალითაც. მეტეორი უკან სტოვებდა მოლურჯო ფერის კუდს, რომელიც ჩქარა ქრებოდა.

სანიტარული ღონისძიებანი

ბაქო, 8 სექტემბერი. ბაგმარში, განჯის მაზრაში, ეწყობა ამბულატორია, რენტგენის კაბინეტი და ფსიქიატრიული საავადმყოფო 30 საწოლით.

სომხეთი

საბინაო აღმშენებლობა

ერევანი, 8 სექტემბ. საბჭოთა სომხეთის კომუნალური მეურნეობის მთავარმა სამმართველომ შეადგინა და წარადგინა დასამტკიცებლად 1926—27 წლის საბინაო აღმშენებლობის ხარჯთ-აღრიცხვა. შედგენილი ხარჯთ-აღრიცხვის მიხედვით გათვალისწინებულია 6.300.000 მანეთის გადადება 3.000 ოთახის ასაგებათ ერევანში და 2.100.000 მანეთი 1.000 ოთახის ასაშენებლად ლენინაკანში.

ერევნის კონსერვატორია

ერევანი, 8 სექტემბ. მომავალ წელში სახელმწიფო კონსერვატორიაში იხსნება შემდეგი კლასები: აღმოსავლეთ მუსიკის, სოპერო, მუსიკალური ტექსტოლოგიის და მუსიკალური ინსტრუმენტების შემსწავლელი კლასი. სიმფონიური ორკესტრის გაძლიერების მიზნით მოწვეული არიან ახალი მასწავლებლები: ფედოროვი, ასტაპოვი და მანგასარიანი. ორკესტრს უხელმძღვანელებს კომპოზიტორი სპენდიაროვი და ახლად მოწვეული კონსერვატორიის დირექტორი—ტერ გევონდიანი.

პოეტ ისაკიანის გამომგზავრება

ერევანი, 8 სექტემბ. ერევანში მიიღეს დეპეშა პოეტ ისაკიანის გამომგზავრების შესახებ. ისაკიანი უკანასკნელი 6 წლის განმავლობაში სცხოვრობდა ვენეციაში.

პარტიული ცხოვრება

საფრანგეთის კომპარტიის ცეკაში

პარიზი,7 სექტემბერი. ამხ. სემარის მოხსენების გარშემო გამართულ კამათის შემდეგ, საფრანგეთის კომპარტიის ცეკამ საჭიროდ სცნო განხილულ იქნეს მის მიერ საკავშირო კომპარტიის შინაპარტიული მდგომარეობა. ცეკამ აღნიშნა ამასთანავე, რომ ეს საკითხი საფრანგეთის კომპარტიაში უფრო სხვა სიბრტყეზე ძევს ვიდრე ინგლისის კომპარტიაში, სადაც მწვავე მნიშვნელობა აქვს ინგლის-რუსეთის მთლიანობის კომიტეტის საკითხს, ან გერმანიის კომპარტიაში, სადაც პირველ ადგილზე სდგას საკითხი ფრაქციების დაარსების შესახებ.

საკავშირო კომპარტიის არსებულ უთანხმოებათა განხილვამ, აღნიშნულ ცეკას დადგენილებაში, არ უნდა მოახდინოს გავლენა პარტიის ყოველდღიურ საქმიანობაზე. ცეკამ საჭიროდ სცნო უფრო რთული ცნობების მიღება მოსკოვიდან და დაადასტურა თავისი წინანდელი დადგენილება კომპარტიის რიგების მთლიანობისა და ცეკასა და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის ივლისის გაერთიანებულ პლენუმის მიერ მიღებულ დისციპლინარულ ღონისძიებათა შესახებ.

ცეკა ფიქრობს, რომ ზინოვიევის წინააღმდეგ მიღებული ზომების გამო, საჭიროა კომინტერნის აღმასკომის უახლოეს სხდომაზე დაისვას საკითხი მის კომინტერნში თავმჯდომარეობის შესახებ.

თბილისის მაზრის თემკომების მდივნების და თემაღმასკომების თავჯდომარეების თათბირი

მეორე სხდომა

თათბირის მეორე სხდომა შესდგა გუშინ, დილის 10 საათზე. კამათის დამთავრების შემდეგ ამხ. ბოკერიას მოხსენების გარშემო, თათბირმა მოისმინა ამხ. იმნაიშვილის მოხსენება.

საგარეჯოს თემკომი

საგარეჯოს თემკომი აერთიანებს [illegible] კომუჯრედს, რომელთა შორის ერთი რკინისგზისაა. სულ ყველა უჯრედებში 56 წევრი და კანდიდატი ირიცხება. ყველა უჯრედებზე მიმაგრებულნი არიან თემკომის წევრები. ხშირად ეწყობოდა ღია კრებები ადგილებზე, რომლებსაც უპარტიო გლეხობის საგრძნობი ნაწილი ესწრება. თემში არსებობს აგრეთვე კომკავშირის უჯრედები, რომლებსაც ხელმძღვანელობას უწევს თემის ა. ლ. კომკავშირის კომიტეტი. პარტიისა და კომკავშირის თემკომებს შორის მჭიდრო ურთიერთობა არსებობს, ხშირად იმართება გაერთიანებული კრებები და სხვა. ა. ლ. კომკავშირის თემკომში არჩეულია წარმომადგენლად პარტ. თემკომის პასუხისმგებელი მდივანი. კომკავშირის უჯრედებზე მიმაგრებულნი არიან პარტიული ამხანაგები. რამოდენიმე ხნის წინ ჩატარებულ იქნა პარტიისა და კომკავშირის უჯრედების ბიუროების წევრებისა და პასუხისმგებელ მდივნების თათბირი. სწარმოებს ქალთა შორის მუშაობაც. დაარსებულია სადელეგატო კრებები სამ ადგილას. უნდა აღინიშნოს, რომ ქალთა შორის მუშაობა, ერთი პუნქტის გარდა, დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს; დელეგატი ქალები არჩეულნი არ არიან, მაგრამ ორ კვირაში ერთხელ სოფლად თავს იყრიან სოფლის დიასახლისი ქალები და მათში სწარმოებს საერთო მუშაობა.

უპარტიოთა შორის მუშაობას თემკომი სათანადო ყურადღებას აქცევს. უპარტიო ამხანაგები ჩაბმულნი არიან სხვადასხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებში. საზოგადოებრივ ორგანიზაციების მუშაობაში მონაწილეობს აგრეთვე ღარიბები და საშუალო გლეხობაც. თემში არ არის დიდი კულაკების რაოდენობა, სამაგიეროთ საგრძნობია მოჯამაგირეთა რიცხვი, რომლებიც დროგამოშვებით მიდიან სამუშაოთ სხვადასხვა ადგილებზე. მათ შორის მუშაობა მიუხედავათ იმისა, რომ საკმაოდ ძნელია, მაინც დამაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს. მათ ხელმძღვანელობს ადგილობრივ მოჯამაგირეთა კომიტეტი, რომელსაც განთავისუფლებული მდივანი ყავს.

საგარეჯოს თემი საკმაოდ დაწინაურებულია კულტურულად. აქ არსებობს ცხრაწლიედი, თეატრი და სხვა. სასწავლებლებში 1.700-მდე მოწაფეა. ლტოლვა სწავლისაკენ ძალიან დიდია. მაგრამ ყველა მსურველთა მიღება არ ხერხდება, რადგან სასკოლო შენობები არ არის საკმარისი. წელს თემში მოსავალი მცირე იქნება, რადგან ვენახები დაზარალებულია 90 პროცენტით, ხოლო ყანები 70—80 პროც.

გადავიდა რა შემდეგ შინა-პარტიულ მუშაობის დახასიათებაზე მომხსენებელმა აღნიშნა უჯრედების ბიუროების სისუსტე და ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ მათ მუშაობის გამოსასწორებლად მიღებულია სათანადო ზომები.

დასასრულ მან ვრცლად დაახასიათა თემის აღმასკომის და სხვა საბჭოთა საზოგადოებრივ ორგანიზაციებისა და კოოპერაციის მუშაობა.

მოხსენების გარშემო კამათში მონაწილეობა მიიღო ამხანაგების მთელმა რიგმა.

თიანეთის თემკომი

(ამხ. კუკულდავას მოხსენება)

თიანეთის ორგანიზაციაში ირიცხება 32 წევრი და კანდიდატი. თემში სულ სამი უჯრედია. ამ რამოდენიმე ხნის უკან დაარსებული იქნა ერთი საკანდიდატო ჯგუფი, რადგან ამხანაგები დაცილებული იყვნენ უჯრედს და მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას ვერ იღებდენ.

უკანასკნელ ხანებამდის უჯრედების მუშაობა სუსტი იყო, მაგრამ მიღებულ ზომების შედეგათ მდგომარეობა თანდათან უმჯობესდება. უჯრედის წევრთა დასწრება კრებებზე სისტემატიურ ხასიათს იღებს, საწევრო გადასახადი თავის დროზე შემოდის და სხვა.

ბიუროები არსებობს მხოლოდ ორ უჯრედში. უნდა აღინიშნოს რომ წევრთა და კანდიდატთა საერთო და პოლიტგანვითარების დონე ძალიან დაბალია, რაც ხელს უშლის მუშაობას. თემკომი ხელმძღვანელობს კომკავშირის ორგანიზაციას, რომელიც არსებობს თემში.

შემდეგ მომხსენებელი გადავიდა საბჭოების მუშაობის დახასიათებაზე და აღნიშნა ის გარემოება, რომ მათი მუშაობა საგრძნობლად გაუმჯობესდა მას შემდეგ, რაც თიანეთის რაიონი მიწერილ იქნა თბილისის მაზრაზე. რაიონში სულ შვიდი სასოფლო საბჭოა. სარაიონო აღმასკომი შესაფერის ხელმძღვანელობას უწევს მათ და აგრეთვე, მეთაურობს აღმშენებლობით საქმიანობას სოფლებში. უკანასკნელი ხნის განმავლობაში სოფლებში ბევრი რამ არის გაკეთებული. შეკეთებულია სკოლის შენობები, შეკეთებულია სასოფლო გზები, დამთავრდა თბილის-თიანეთის გზა-ტკეცილის შეკეთება და სხვა. გასული წლის განმავლობაში, გარდა ამისა, აგებულ იქნა ელექტრ - სადგური და სახერხი ქარხანა. აღმშენებლობითი მუშაობის გაღრმავებამ ხელი შეუწყო პარტიისა და ხელისუფლების ავტორიტეტის ზრდას გლეხობაში. გაიზარდა მათ შორის ლტოლვა პარტიის რიგებისაკენ. უკანასკნელი ოთხი თვის განმავლობაში, მაგალითად, პარტიაში 27 ახალი კანდიდატი იქნა მიღებული, რომელთა შორის ოთხი მასწავლებელია. წინად კი, როგორც ვიცით, მასწავლებლები გაურბოდენ მუშაობას და ახლოსაც არ გვეკარებოდენ.

დაახასიათა რა კოოპერაციის მუშაობა რაიონში, ორატორმა აღნიშნა, რომ პარტიული ხელმძღვანელობა იქ ამჟამად უზრუნველყოფილია. კოოპერაციის გამგეობაში შეყვანილნი არიან პარტიული ამხანაგები. კოოპერატივი ამჟამად კარგათ მუშაობს, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ის სავსებით ვერ სწვდება მთელ რაიონს, რადგან თიანეთის რაიონი ძლიერ დიდია. მცირეა კოოპერატივში წევრთა რიცხვიც. მთელ რაიონში 250 წევრი ირიცხება. თემში არის საკრედიტო ამხანაგობა, რომელსაც აქვს ტრაქტორი.

ქალთა შორის მუშაობა სუსტად სწარმოებს, რაც რაიონის საერთო კულტურულ ჩამორჩენილობით აიხსნება.

კომკავშირში 105 წევრი და კანდიდატია. უჯრედები სოფლად ჩამოყალიბებულია და მათ სათანადო ხელმძღვანელობას უწევენ მიმაგრებული პარტიული ამხანაგები.

დასასრულ მომხსენებელმა დაახასიათა პიონერ-ორგანიზაციის, პროფკავშირების მდგომარეობა და საკლუბო მუშაობა და აღნიშნა, რომ თიანეთის რაიონი, როგორც ჩამორჩენილი, მეტ ყურადღებას საჭიროებს.

ამხანაგ კუკულდავას მოხსენებით დამთავრდა დილის სხდომა.

მესამე სხდომა

თიანეთის კომუჯრედი

(ამხ. შუშანაშვილის თანამოხსენება)

თიანეთის კომუჯრედში პარტიის 9 წევრი და 9 კანდიდატი ირიცხება. მათ შორის ერთი ქალია. უკანასკნელ ხანებში მიღებულია კიდევ 16 კანდიდატი: მათ შორის 12 მამაკაცი და 4 ქალი. უჯრედის ყველა წევრები ქართველები არიან.

უჯრედი ხშირად აწყობდა ღია კრებებს, რომლებსაც უპარტიო გლეხობა ხშირად ესწრებოდა. სულ სამი თვის განმავლობაში 250 კაცი დაესწრო. სხდომებზე უმთავრესად ადგილობრივი ხასიათის საკითხები ირჩეოდა.

უჯრედზე თემკომის მიერ მიმაგრებულია ამხანაგი, მაგრამ ის ვერ უწევს მას სათანადო ხელმძღვანელობას. კომკავშირის უჯრედთან კავშირი დამაკმაყოფილებელია. ხანგამოშვებით იმართება კომკავშირის და კომუჯრედის გაერთიანებული კრებები. დისციპლინა უჯრედში კარგია.

უჯრედის ნაკლი ის არის, რომ წევრების და კანდიდატების, როგორც საერთო ისე პოლიტგანვითარების დონე ძალიან დაბლა სდგას.

წალკის თემკომი

(ამხ. სარიკეხვიევის მოხსენება)

წალკის რაიონი ძალიან დიდია. აქ 17 ათასი სული ცხოვრობს და 45 დასახლებული პუნქტია. აღსანიშნავია ეროვნული სიჭრელეც: რაიონში ოთხი ეროვნებაა. პარტორგანიზაცია არ არის მაინცა და მაინც მრავალრიცხოვანი. პარტიის წევრთა და კანდიდატთა რიცხვი 65-ია. მათ შორის წევრია 31, ხოლო კანდიდატი 34. ოთხი თვის წინ წევრთა და კანდიდატთა შეფარდება სხვა გვარი იყო: კანდიდატების რიცხვი გაცილებით სჭარბობდა. თემკომმა მიიღო ზომები, გადაიყვანა წევრებად აქტიური კანდიდატები და ამრიგათ არანორმალური მდგომარეობა გამოსწორებულ იქნა. ლტოლვა პარტიისაკენ დიდია, ასე რომ ახლო მომავალში კვლავ არის მოსალოდნელი წევრთა და კანდიდატთა შეფარდების დარღვევა. წევრთა საერთო განვითარების დონე დაბალია. ორგანიზაციაში წერაკითხვის უცოდინარი 11 კაცია, მცირე მცოდნე—36. კიდევ უფრო ცუდათაა საქმე პოლიტგანვითარების მხრივ. საჭიროა ზომების მიღება ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად. პოლიტგანმანათლებელ მუშაობის წარმოება შესაძლებელია მხოლოდ ზამთარში, მაგრამ პარტწევრებს და კანდიდატებს უნდა დავავალოთ პარტდისციპლინის ძალით სალიკვიდაციო სკოლებში სიარული.

თემში არსებობს კომუჯრედის ორგანიზაცია, რომელშიც 290 წევრი ირიცხება. მათ შორის 277 მამაკაცი და 13 ქალია. თემში კომკავშირის 22 უჯრედია. აღსანიშნავია, ის მდგომარეობა, რომ ქალების პროცენტი კომკავშირში უფრო მცირეა, ვიდრე პარტორგანიზაციაში. პიონერთა ორგანიზაცია თემში მრავალრიცხოვანია. 18 კოლექტივში 698 პიონერი ირიცხება. ხელმძღვანელი ძალების ნაკლებობის გამო პიონერ კოლექტივების მუშაობა ვერ არის დამაკმაყოფილებელი, ზოგან ჩვენ იძულებული ვიყავით დაგვეშალა კოლექტივები, რადგან ხელმძღვანელობა ვერ გაუწიეთ.

ქალთა შორის მუშაობა სუსტია. თემში 6 პუნქტში არსებობს სადელეგატო კრებები. დელეგატ ქალთა რიცხვი 60-მდე აღწევს. მუშაობის სისუსტე იმით აიხსნება, რომ ქალთა განყოფილების ხელმძღვანელი ამხანაგი ავად იყო. ამჟამად მიღებულია ზომები ამ მუშაობის გამოსასწორებლად.

შემდეგ ორატორმა დაახასიათა პროფმუშაობის მდგომარეობა და გადავიდა უჯრედების შინა-მუშაობის დახასიათებაზე.

უჯრედების სხდომები ზაფხულობით სისტემატიურად იწყობოდა ორ კვირაში ერთხელ. კრებები უმთავრესად ღია იყო და უპარტიო გლეხობა მას საკმაოდ ესწრებოდა. უჯრედების ავტორიტეტი უპარტიოთა შორის სათანადო სიმაღლეზეა. კარგი განწყობილება არსებობს ინტელიგენციასთან, კერძოთ მასწავლებლობასთან, რომელიც ჩვენთან ერთად მუშაობს.

გადავიდა რა სასოფლო საბჭოების მუშაობის დახასიათებაზე ორატორმა აღნიშნა, რომ ისეთ დიდ რაიონში, როგორიც არის წალკის რაიონი 7 სასოფლო საბჭო არ არის საკმარისი. წინად ათი იყო. საჭიროა საბჭოების რიცხვის გადიდება.

დასასრულ მომხსენებელმა დაახასიათა საზოგადოებრივ ორგანიზაციების და კოოპერაციის მუშაობა და განაცხადა, რომ რაიონი მიმდინარე წელს ძლიერ დაზარალდა: ხაჭოლის ჭირმა დახოცა 4.000 სული საქონელი. სეტყვამ გაანადგურა ნათესები 2.000 დესეტინა მიწაზე.

ამრიგად მიმდინარე წელს მოსავალი არ არის მოსალოდნელი და თემი დახმარებას საჭიროებს. ამხ. სარიკეხვიევის მოხსენებით დამთავრდა 7 სექტემბრის საღამოს სხდომა.

გუშინ დილის სხდომაზე მოსმენილი იქნა ამხ. ვაშაშვილის მოხსენება სასოფლო-სამეურნეო გა-

ყოფილ სოციალისტ-ფედერალისტთა სალიკვიდაციო კონფერენციის დეკლარაცია

(სიღნაღის მაზრა)

ამას წინად შესდგა ყოფილ სოციალისტ-ფედერალისტთა კონფერენცია, რომელმაც მიიღო შემდეგი დეკლარაცია:

საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტია, თავის იდეოლოგიით ეწინააღმდეგებოდა რევოლიუციონურ მარქსიზმს და ებრძოდა მის წინააღ. ბრძოლას, მაგრამ აუცილებლობამ თავისი გაიტანა და ცხოვრებამ დაგვანახვა, რომ რევოლიუციონურ მარქსიზმის იდეები უფრო სწორი და მიზან შეწონილი აღმოჩნდა, რაც მოითხოვს ჩვენი პარტიის საფუძვლების გადასინჯვას.

თავიდანვე წვრილბურჟუაზიულ ელემენტებზე დამყარებული ჩვენი პარტია მუდამ რყევის და გაუბედავობის იჩენდა პარტიის ძირითად საკითხებში:

მიწის სოციალიზაცია, წარმოების ნაციონალიზაცია, კერძო მეურნეობის კოლექტიურ მეურნეობით შეცვლა და სხვა. სხვათა შორის აცხადებდა და მის განხორციელებისათვის გადამწყვეტ ნაბიჯების გადადგმაზე არ ფიქრობდა.

1917 წლის თებერვლის რევოლიუციამ პარტიას შესაძლებლობა მისცა განეხორციელებინა არა მარტო პროგრამა მინიმუმი, არამედ ეფიქრა პროგრამა მაქსიმუმის განხორციელებაზედაც კი, მაგრამ პარტიამ ეს ვერ მოახერხა.

ოქტომბრის რევოლიუციამ უფრო მეტათ დააბნია ჩვენი პარტია: მიწის სოციალიზაცია, ეროვნული წარმოების ნაციონალიზაცია და სხვა საკითხები, რომელსაც გაბედულად განახორციელებდა კომუნისტური პარტია დააეწყვდა, და მხარში ამოუდგომის ნაცვლად, დაიწყო მენშევიკებთან და სხვა პარტიებთან ერთად, ოქტომბრის რევოლიუციის წინააღმდეგ ბრძოლა.

ამრიგათ, რაც დრო გადიოდა უფრო მარჯვნივ იხრებოდა პარტია და შინაურ ბურჟუაზიულ ელემენტების ზეგავლენით მიექანებოდა ღრმა უფსკრულისაკენ. ამ გარემოებამ თვით პარტიის რიგებში არა ერთხელ გამოიწვია წინააღმდეგობანი და რღვევა.

პარტიას ჯერ კიდევ 1919 წელში ჩამოშორდა რევოლიუციონურად განწყობილი ნაწილი „მეშვრალთა“ ჯგუფის სახით, რომელიც სოციალისტურ რევოლიუციის მხარეზე იყო.

1921 წელს საქართველოს გასაბჭოების პირველ დღიდანვე პარტიას კიდევ ჩამოშორდა საგრძნობი ნაწილი, რომელიც მემარცხენე სოც. ფედერალისტთა სახით პირველიდანვე თანაგრძნობით შეხვდა კომუნისტური პარტიის პროგრამას და ტაქტიკას და მალე კომპარტიის რიგებში ჩაება საერთო მიზნის სოციალიზმის და კომუნიზმის დასამყარებლად ბრძოლისათვის.

პარტიის ზოგიერთი ელემენტები მენშევიკებთან ერთად კვლავ განაგრძობდა საბჭოთა წყობილებაზე ცილისწამებას და მოღალატურ სამზადისში მონაწილეობას ღებულობდენ.

პარტიის ხელმძღვანელობით განაგრძობდა და განაგრძობს ხალხის საკეთილდღეოთ მუშაობას. დიდი მიღწევები სამეურნეო, აღმშენებლობით, კულტურულ თუ სოციალ-ეკონომიურ დარგებში აშკარად ღაღადებს, რომ კომპარტია დაუბრკოლებლივ მიდის სოციალიზმის საბოლოო გამარჯვებისაკენ.

ასეთი აღმშენებლობითი და შემოქმედებითი ხანაში ყოველივე გულწრფელი რევოლიუციონერისთვის ამ საქმის გარეშე დგომა რევოლიუციის ღალატათ უნდა ჩაითვალოს. ამისათვის მოუწოდებთ ყველა ყოფილ ამხანაგებს, დაანებონ თავი პარტიულ უნიანობას და ამოუდგნენ კომუნისტურ პარტიას გვერდში ჩვენი ერის და საერთოდ მთელი ქვეყნის მშრომელთა მასების საკეთილდღეოთ.

საინიციატივო ბიუროს წევრნი: ნიკ. დარბაშვილი, თედო ბეგიაშვილი, ილო მჭედლიშვილი, ფილიპე ჭედლაშვილი, თომა კველიაშვილი, ალექსანდრე ხალაიძე.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

ნავთსადგურში

ფოთი, 8 სექტემბერი. აგვისტოს განმავლობაში ფოთის ნავთსადგურში შემოვიდა 43 გემი და საკაბოტაჟო ცურვის ხომალდი, რომელთაც მოიტანეს 6,514 ტონა სხვადასხვა ტვირთი. წავიდა 46 გემი, რომელთაც წაიღეს 2,739 ტონა. მგზავრი ჩამოვიდა 3,196 და წავიდა 2,470.

მატორიანი ტრამვაი

ფოთი, 8 სექტემბერი. გემების შესაკეთებელ ქარხანაში შეუდგნენ ქალაქის ცხენის რკინის გზის რონოდების გადაკეთებას მატორიან ტრამვაის რონოდებათ.

წყალდიდობის წინააღმდეგ

ოზურგეთი, 8 სექტემბერი. ამჟამად მდინარე ბჟუჟის ნაპირების გასამაგრებლად სამუშაოზე შრომის ბეგარის სახით გაყვანილია 100 კვალიფიციური და არაკვალიფიციური მუშა. ჯერჯერობით ამაგრებენ ნაპირს 62 საჟენის მანძილზე იმ ადგილებში, სადაც უფრო მოსალოდნელი იყო საშიშროება წყალდიდობის შემთხვევაში. მუშაობას ხელმძღვანელობდნენ სათანადო ტეხნიკოსები და ის დამთავრდება 20 სექტემბერს.

მდინარის სათავეში ქვის ჯებირის აგებას შეუდგებიან სექტემბრის ბოლოს.

სამკურნალო დახმარება

ოზურგეთი, 8 სექტემბერი. მაზრაში მუშაობს 15 სამკურნალო პუნქტი, 9 საფერშლო, 3 წითელი ჯვრის, 1 სამალარიო სადგური, 3 ლაბორატორია, 1 თვალის სამკურნალო კაბინეტი და 3 საავადმყოფო 45 საწოლით.

ამ სამკურნალო პუნქტების შესავსებათ საჭიროა კიდევ 11 ექიმი, 11 ბებია-ქალი და 2 ფერშალი. თავს იჩენს მედიკამენტებისა და ხელსაწყოების ნაკლებობა.

ავადმყოფებში ყველაზე გავრცელებულია: მალარია, ვენერიული ავადმყოფობა და ტუბერკულოზი.

დაავადებების საწინააღმდეგო ბრძოლა სწარმოებს მოსახლეობისათვის ლექციების დარიგებით, ნეოსალვარსანის უფასო შეშხაპუნებით და სტაციონარული მკურნალობით.

გლეხკომების არჩევნები

ოზურგეთი, 8 სექტემბერი. გურიის ყველა ადგილებში დაიწყო კამპანია გლეხთა ერთ ერთ დამხმარე დაბალი საფეხურის აპარატის წევრთა გადარჩევისათვის. დიდ აქტივობას იჩენენ ქალები. არჩევნების წინასწარი კამპანია სწარმოებს იმ ხაზით, რომ გლეხებს აცნობდენ ურთიერთ დამხმარე კომიტეტის მიზნებს და ამოცანებს.

არჩევნები დამთავრდება რამოდენიმე თვის დასასრულს.

მგელი

გორი, 8 სექტემბერი. სოფელ წითელქალაქში 6 სექტემბერს ცოფიანი მგელი დაერია ნახირს.

დაგლეჯილია რამოდენიმე მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი.

კურსების დახურვა

გორი, 8 სექტემბერი. დაიხურა თემსაბჭოების მდივნების გადასამზადებელი კურსები. კურსები დაასრულა 20 მსმენელმა.

მოსახლეობის აღწერა

ოზურგეთი, 8 სექტემბერი. სამაზრო ცენტრის მიერ გამოთხოვილი გლეხთა მეურნეობების სიები მიღებულია და სისტემაში მოჰყავთ. აღმასკომთან არსებული მიწადმოწყობის განყოფილება ამ ჟამად სასწრაფოდ ამზადებს მაზრის საორიენტაციო ხუთვერსიან მასშტაბის ქარტებს, რომლებიც აღმწერლებს დაურიგდებათ.

აღწერის წინ

ლიუქსემბურგი, 8 სექტემბერი. სწარმოებს მოსამზადებელი მუშაობა მოსახლეობის საყოველთაო აღწერისათვის. შედგენილია შტატი აღწერის ჩასატარებლად 150 კაცის რაოდენობით. აღწერა დაიწყება დეკემბერში.

აჭარისტანი

წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია

ბათუმი, 8 სექტემბერი. აჭარისტანის საზოგ. „ძირს წერა-კითხვის უცოდინარობა“! შეუდგა მაზრებში ახალი პუნქტების მოწყობას. მიმდინარე წელში მაზრებში სულ იქნება წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის 120 პუნქტი.

ახალი სანავთსადგურო საწყობი

ბათუმი, 8 სექტემბერი. საბჭოთა სავაჭრო ფლოტი ამ მოკლე ხანში დამთავრებს ახალ სანავთსადგურო საწყობის აგებას საზოგადოება „ტრანსპორტისათვის“. საწყობის ტევადობა უდრის 60.000 ფუთს.

კასრების ქარხნის გაფართოება

ბათუმი, 8 სექტემბერი. აჭარის სატყეო განყოფილებამ 30.000 მან. გადასდო კასრების ქარხნის გასაფართოებლად. ქარხანამ მიიღო დიდი შეკვეთები.

ახალი სკოლები

ბათუმი, 8 სექტემბერი. განათლების სახ. კომისარიატი მიმდინარე წელში მაზრებში გახსნის მეორე საფეხურის სამ სკოლას.

აფხაზეთი

პრემიები

სოხუმი, 8 სექტემბერი. სოხუმის აღმასკომმა მოაწყო კონკურსი საუკეთესო გლეხურ მეურნეობებზე პრემიების დასარიგებლად სასოფლო-სამეურნეო გადასახადის სპეციალურათ გამოყოფილ ფონდიდან. კონკურსში მონაწილეობას იღებდა 25 მეურნეობა. მათ პრემიების სახით მიეცათ სასოფლო-სამეურნეო იარაღები. პრემიები დარიგდება საგლეხო კრებებზე.

ქალაქის კეთილმოწყობა

სოხუმი, 8 სექტემბერი. მთავრდება მუშაობა სოხუმის კომუნალურ შენობათა კეთილმოსაწყობად და შესაკეთებლად. თავდება ხიდების აგება, ქუჩების მოკირწყვლა და სხვა.

წერილები

50 წელი

საგარეჯოს მოწინავე გლეხობამ გადასწყვიტა თავის მცხოვან თეატრს გადაუხადოს 50 წლის არსებობის იუბილე. ვინ არ იცის საქართველოში რა დიდი მნიშვნელობა აქვს პროვინციის თეატრის ნახევარ საუკუნიან არსებობას.

დღეს საგარეჯოს თეატრმა უკვე განვლო თვითმპყრობელობის ნარ-ეკლიანი გზა და იგი ნორჩ მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს წარუდგა ჩამოყალიბებული, მთლიანი სახით, სადაც უნდა აყვავდეს ახალი, პროლეტარულ-რევოლიუციონური ხელოვნება.

ბევრს კარგათ ესმის, თუ როგორი მნიშვნელობა აქვს საგარეჯოს თეატრის დიდი ღვაწლის შესაფერისად აღნიშვნას.

იმედია ღირსეულს „მოღვაწეს“, ღირსეულს იუბილიარს — საგარეჯოს თეატრს, საბჭოთა ხელისუფლების სათანადო ორგანოები და კულტურული ძალები შესაფერ დახმარებას გაუწევენ იუბილეის ჩატარებაში.



საგარეჯოს თეატრის ახლანდელი შენობა

ჩვენი თეატრი იყო მთელი თავის არსებობის მანძილზე კულტურის მატარებელი გლეხთა და მშრომელ ხალხთა შორის.

ალ. ბედიაშვილი.

საერთო ძალით

(სოფ. ვედიკარი, სიღნაღის მაზრა)

სოფ. ვედიკარში არსებობს ა. ლ. კომკავშირის უჯრედი, რომელიც 24 წევრს აერთიანებს. წევრთა შორის უმრავლესობა მოწაფეები; მშრომელი გლეხის შვილები.

უჯრედის წევრთა შორის მტკიცე ამხანაგური დისციპლინაა და შეთანხმებული მუშაობა.

ამას წინად უჯრედის წევრებმა დაადგინეს კოლექტიური ძალით დაემუშავებიათ მიწა. დადგენილება ჩქარა სისრულეში იქნა მოყვანილი და ახლა წევრთა საერთო ძალით და შეთანხმებული მუშაობით დამუშავებულიც არის.

გარდა ამისა კომკავშირლები ხშირად ერთი მეორესაც ეხმარებიან ინდივიდუალურ მეურნეობაში და აგრეთვე ქვრივ-ობლების ყანებსაც ამუშავებენ უსასყიდლოთ.

კრებები სისტემატიურად და თავის დროზე ხდება. სწარმოებს აგრეთვე მეცადინეობაც. უჯრედის მუშაობის გაცხოველებას ხელს უწყობს თემკომი, რომელიც კარგათ ხელმძღვანელობს მას.

ასე მუშაობს ჩვენი უჯრედი და საერთო ძალით საერთო საქმეს აკეთებს.

ი. დ—ია.

ომი საზანოში.

(წერილი შორაპნის მაზრიდან).

28 აგვისტოს ზედა საზანოში წარმოდგენა მიდიოდა. ამაზე უკეთესი კაცმა რაღა უნდა ისურვოს? საეკლესიო უქმე დღე, მარიობას, გლეხები ეკლესიის ნაცვლად წარმოდგენაზე ატარებენ.

მაგრამ ზოგიერთებისათვის ყველაფერი სულ ერთია. რაკი მარიობაა, მას მარიობულათ უნდა შეხვდე, გინდ ეკლესიაში იუქმე ეს დღე და გინდ სახ. სახლში. მთავარია აქ ვაჟკაცობის გამოჩენა, ლოთარიელობა, რომ თემში ფასი დაედოს, რომ ახალგაზრდა ქალები შენი მარჯვენის წელზე მოხვევას ნატრობდენ.

ასე მოხდა ამ დღესაც. საზანოელი „ტარიელები“ წარმოდგენის დაწყებისთანავე შეუდგენ საქმეს. სცენაზე ერთი ამბავი იყო, მაგრამ დარბაზსაც არ ეძინა. ისეთი ჩოჩქოლი და აურ-ზაურით მიდიოდა წარმოდგენა, რომ სცენაზე მოთამაშეების მოძრაობა მოსჩანდა მხოლოდ, როგორც კინოში,—არც ხმა ისმოდა მოთამაშეებისა და არც სიმღერა.

როგორც იყო, ამ აურ-ზაურში წარმოდგენა დასრულდა. ის იყო ხალხი იშლებოდა, რომ შეიქნა ქალებისა და ბავშვების გულშემზარავი წივილ-კივილი... რა გამოირკვა? თურმე ზედა საზანოელები მოსდებიან ერთ ქვედა საზანოელს. გაუგდიათ ფეხქვეშ და კალოსავით გადაი-გადმოდიან ზედ ფეხებით. ამასობაში ქვედა საზანოველს თავის კუთხის ხალხი მოეშველა.

ზედა საზანოველები ეხლა ამათ დაერივნენ. შეიქნა ნამდვილი ხელჩართული ბრძოლა. სიმწრით ნაშოვნ ბლუზა-შარვლებს სულ ფხრიწინ-ფხრიწინი გაჰქონდათ. ვინ იცის, რამოხი პირანგი და მისი ამხანაგი დაიხა ამ დღეს საზანოში. გვერდებს და ფერდებს ვიღა სჩიოდა. ჭამოთელებულ გვერდებს და ფერდობებს შელოცვა მეწვრილმანესაგან შეძენა არ უნდა, გაივლის კვირა, ათი ორი და ტკივილები ან საფლავში მიგაცილებს, ან, თუ მსუბუქია, ავად თუ კარგად, გაგივლის...

კიდევ არაფერი, რომ ზედა და ქვედა საზანოს უთანხმოება ამ ჩხუბით ამოწურულიყო. უბედურება ისაა, რომ ეს ორი კუთხე სამკვდრო-სასიცოცხლოთ გადაეკიდა ერთმანეთს. ერთიც ვაჟკაცობას იჩემებს და მეორეც. ასე გეგონებათ, საზანოს თემში იმპერიალისტური ომია გამართულიო. მერე რა ტყუილ-უბრალოთ იფუჭებენ თავს ეს ალმასივით მოწყვეტილი ვაჟკაცები? ის ენერგია და დრო, რომელსაც ერთმანეთთან შუღლს ანდომებენ, საზოგადო საქმეს რომ მოახმარონ, საზანოს ბედს ძაღლი არ დაჰყეფს.

მაგრამ, ხომ მოგეხსენებათ, ჩვეულება სჯულზე უმტკიცესიაო. სჯული კარგა ხანია გადააგდეს საზანოვლებმა, მამაპაპური ლოთარიელობა და ინდაურული ბამბულაობა კი ჯერ კიდევ მაგრათ ზის აქ.

დამსწრე.

პასუხად „ნიკო“-ს.

(გურია)

გაზ. „კომუნისტი“-ს 8 აგვისტოს ნომერში მოთავსებული იყო წერილი, სოფ. ქვედა აკეთიდან (გურია) „ნიკო“-ს ფსევდონიმით. აქ ავტორი ბრალს სდებს სადუქნე კომისიას უმოქმედობაში.

საქმე შემდეგშია: თანახმად კოოპერატივის წევრთა მორიგ კრების დადგენილებისა მიმდინარე წლის იანვარში სადუქნე კომისიამ მიმართა მევალეებს, რომ აენაზღაურებიათ კოოპერატივისათვის მათი ვალი, ხოლო, რადგან მევალეებმა არ დაფარეს ვალი, ერთი კვირის შემდეგ სადუქნე კომისიამ შეიტანა საჩივარი მათ წინააღმდეგ ნაგომრის უბნის სახალხო სასამართლოში და მას შემდეგ უცდით სასამართლოს განკარგულებას.

ეს საქმეები რაღაც მიზეზებით ჯერ კიდევ არ არის სასამართლოს მიერ განხილული, რაშიაც არავითარი დანაშაული არ მიუძღვის სადუქნე კომისიას, ამიტომ, ამხ. „ნიკო“-ს მიერ მოყვანილი წერილი, რომ მიმართული იყოს სადუქნე კომისიის ნაცვლად ნაგომრის უბნის სახალხო სასამართლოსადმი, უფრო მიზან შეწონილი იქნებოდა.

კომისიის თავმჯდომარე:—ლ. ქურიძე.

წერილებიდან

სოფ. ხოვლე (გორ. მაზრა).

მოკრივე ტატო. ტატო ზაქარაშვილი სახელგანთქმული მოკრივეა ჩვენს სოფელში. ამას წინათ ის ტყუილ-უბრალოდ შეუვარდა კომკავშირელებს კლუბში, სადაც წარმოდგენა უნდა წასულიყო, და სცენაზე ყველაფერი მილეწ-მოლეწა. ფარდა ჩამოგლიჯა, კლუბის გამგეს სცემა და გაიქცა. ნუ თუ ადგილობრივ ხელისუფლებას არ შეუძლია ალაგმოს მოკრივე ტატო?

კომკავშირელი.

კაკაბეთი (სიღნაღის მაზრა).

ქურდები მომრავლდენ. ამ ბოლო ხანს ქურდებს თავი გაუყიდათ. იპარავენ სიმინდს, თივას და ყოველივე წვრილმანს, რასაც კი ხელს წამოავლებენ. დროა ადგილობრივ ხელისუფლებამ გადამჭრელი ზომები მიიღოს ქურდების წინააღმდეგ, სანამ ისინი წვრილმანებიდან „მსხვილმანებზე“ გადავიდოდნენ.

გლეხისშვილი.

ექსპედიცია მყინვარზე

საქ. გეოგრაფიული საზოგადოების ექსპედიცია ყაზბეგიდან შემდეგს იტყობინება:

„5 სექტემბერს ექსპედიცია გავიდა სტეფანწმინდიდან და სოფელ გერგეთზე გავლით, დაბანაკდა თრუველეთის საზღვრებზე 3100 მეტრის სიმაღლეზე.

6 სექტემბერს გერგეთის მყინვარზე გავლით დაუახლოვდა წოწის ძირს და დაბანაკდა მყინვარის მარცხენა მორენაზე 4.000 მეტრის სიმაღლეზე. აქედან 7 სექტემბერს დილის 6 საათზე ექსპედიციამ **იაგორ კაზალიკაშვილის** და **გახა წიკლაურის** წინამძღოლობით დაიწყო ასვლა. გაიარა მრავალი ნაპრალებით მოფენილი გერგეთის მყინვარი ფირნის ველამდე, განვლო ფირნის ველი და 12 საათზე შეუდგა წოწზე ასვლას. ექსპედიციის მოგზაურობას ძალიან აფერხებდა ახალი თოვლი, რომლის სიღრმე აღემატებოდა ერთ არშინს. მიუხედავათ ამისა, იმდენად მძლავრი იყო ლტოლვა მწვერვალისადმი ექსპედიციის წევრებს შორის, რომ ექსპედიციამ მიაღწია უნაგირამდე 5005 მეტრის სიმაღლეზე 4 საათზე. მიუხედავათ იმისა, რომ მწვერვალამდე რჩებოდა 33 მეტრი, წინსვლა შეუძლებელი იყო დროის უქონლობის გამო და ექსპედიცია იძულებული გახდა დაბრუნებულიყო, რომ დაღამებამდე ჰოესწრო სახიფათო . გზების გავლა. სწრაფი სიარულით ექსპედიცია დაბრუნდა ბინაზე მხოლოდ ღამის 9 საათზე. დღეს, 8 სექტემბერს, ამინდი კვლავ ჩინებულია. ექსპედიცია გადაინაცვლებს ბინას წოწთან უფრო ახლო და 9 სექტემბერს მეორეთ შეეცდება მწვერვალზე ასვლას.

ექსპედიციის ხელმძღვანელი—

ჯაფარიძე“.

საანგარიშო აპარატის გაჯანსაღება

საბჭოთა კავშირის სინამდვილე და მისი ეკონომიური პირობები, როცა ვაჭრობა-მრეწველობის განვითარება უმთავრესად სახელმწიფოს ხელმძღვანელობის ქვეშ მიმდინარეობს, ბუჰგალტერიას და საანგარიშო აპარატს მეტად დიდ მოვალეობას აკისრებს. ამიტომ ანგარიშიანობა და საანგარიშო საქმე სრულებით არ წარმოადგენს ისეთ საგანს, რომლის სამოქმედო ფარგლები შეიძლება ერთხელ და სამუდამოთ ჩამოყალიბებული იქნას. მისი განვითარების გზები ცვალებადი და მრავალფეროვანია. საბუღალტრო ლიტერატურამ, რა თქმა უნდა, ალღო აართვა საბჭოთა წყობილების თავისებურობით შექმნილ გარემოებას. რუსულ ენაზე მრავალი შრომები დაიწერა სპეციალური საკითხების შესახებ.

მხოლოდ საჭიროა საანგარიშო დარგის მომუშავეთა შორის მისი პოპულარიზაცია სპეციალური ჟურნალების გამოცემით, პრესაში წერილების მოთავსებით, თათბირებზე მოხსენებების გაკეთებით და სხვა. როგორც საექიმო, საინჟინრო და სხვა საქმეში დიდი ხანია დადგა ვიწრო სპეციალიზაციის ხანა, ისევე დროა საანგარიშო დარგში მომუშავეთა გადარჩევა მათი სპეციალობის მიხედვით. ჩვენ გვესაჭიროება არა „ყველაფრის“ მცოდნე და ენციკლოპედისტი ბუჰგალტერი“, არამედ სპეციალურად ამა თუ იმ დარგში მომზადებული და აღჭურვილი სათანადო თეორეტიული და პრაქტიკული მომზადებით. ამ მხრივ ჩვენში ჯერ-ჯერობით დამაკმაყოფილებლად მდგომარეობა არაა. ხშირად რომელიმე უდიდეს დაწესებულებაში საანგარიშო საქმის მოწყობა და შემდეგ მისი ხელმძღვანელობა ენდობა საბუჰგალტრო დარგის უბრალო მომუშავეს, რომელსაც არავითარი სტაჟი და მომზადება არა აქვს. ამიტომ, ცხადია, ასეთ დაწესებულებაში ვერ იქნება რაციონალურად დაყენებული ანგარიშწარმოება, რაც მის მოქმედებას შეაფერხებს და ნორმალურ განვითარებას ხელს შეუშლის. საანგარიშო საქმის დაყენება, ან მისი რეორგანიზაცია—იმდენად საძნელო საქმეს წარმოადგენს, რომ თბილისის ყოფ. თვითმართველობამ, როცა ადგილობრივად სათანადო სპეციალისტი ვერ მონახა, რუსეთიდან ცნობილი პროფესორი ე. სივერსი მოიწვია, რომელმაც თვითმართველობის რეორგანიზაციისათვის რამდენიმე თვის მუშაობის გასამრჯელოდ 5.000 მან. მიიღო. აღნიშნული მაგალითი საქმის სიძნელის და სირთულის დასამტკიცებლად მოვიყვანეთ, რადგან დროა საანგარიშო საქმის რაციონალურად მოწყობა და დაყენება უბრალო მუშაობათ არ ითვლებოდეს, რომელიც შესაძლებელია მინდობილ იქნას საანგარიშო დარგის ჩვეულებრივ მომუშავეზე.

აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს საანგარიშო საქმეში ცოდნის გაღრმავება, კვალიფიკაციის ამაღლება და განსაზღვრულ დარგების სპეციალობა (საწარმოო-სამრეწველო, სავაჭრო, საბანკო და სხ.), რომელთაგან თვითეულის დარგის მუშაობა თავის მხრით შეიძლება დაყოფილ იქნას მრავალ სპეციალობად—როგორც მაგალითად, ორგანიზატორობა, ბალანსის ანალიზი-განხილვა, რევიზიონისტობა და სხვა.

პროფ. რუდანოვსკიმ თავისი დიდ-ტომიანი 800 გვ. შრომა მარტო ერთ საკითხს—ბალანსის ანალიზს მოანდომა, რაც იმას ამტკიცებს, რომ საქმე ანგარიშწარმოების შესწავლის შესახებ და მის დებულებათა პრაქტიკულად გამოყენება დიდი ხანია აღარ სდგას ისე უბრალოდ, როგორც ზოგიერთები ფიქრობენ. ამ მხრივ რუსეთში სათანადო ნაბიჯები, შეიძლება ითქვას პრაქტიკულიც. გადადგმულია და საანგარიშო საქმეში მუშაობა ვითარდება ვიწრო სპეციალიზაციის მიმართულებით.

აქედან აშკარაა, ამ დარგში დიდი მუშაობაა საჭირო, რომ სათანადო პასუხი გაეცეს ცხოვრების და პრაქტიკული მოქმედების მრავალგვარ საჭირბოროტო მოთხოვნილებებს. ამისათვის საჭიროა ღონისძიებათა მთელი რიგი და საზოგადოებრივი აზრის შექმნა, რომ საანგარიშო დარგში მომუშავენი თავის საამდროვო დანიშნულების სიმაღლეზე იდგენ.

ამ მხრივ დიდი საქმის გაკეთება შეუძლია,თუ სათანადო დახმარება და ხელის შეწყობა დაუხვდა, საანგარიშო დარგში მომუშავეთა გაერთიანებას („როუ“-ს), რადგან თვითეული მომუშავე თავის საკუთარ ძალებით ვერ შესძლებს გამოიყვანოს კვალიფიკაციის ამაღლების საქმეში იმ ჩიხიდან, რომელშიაც ის მომწყვდეულია. საქმეს არას უშველის ამა თუ იმ მოანგარიშისათვის დიდი ჯამაგირის დანიშვნა. ამით ჩვენი საანგარიშო აპარატი ვერ გაუმჯობესდება. ხშირად გაზეთებში მოთავსებული განცხადებებით ეძებენ: „გამოცდილ ბუხჰალტრებს“, დიდი ჯამაგირის დაპირებით, მაგრამ ხსენებულ განცხადებებში არაფერია კონკრეტიულად იმის შესახებ, თუ როგორი გამოცდილებაა საჭირო და რა ცოდნას თხოულობენ იმ ბუხჰალტერისაგან, რომელსაც იწვევენ რომელიმე დიდი დაწესებულება-წარმოებისათვის.

დროა ასეთი მდგომარეობა ნორმალურ მოვლენად აღარ ითვლებოდეს.

გრ. გიგინეიშვილი.

მანქანები

საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისია შეუდგა საქართველოსათვის საჭირო სხვადასხვა შესაძენ სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების რაოდენობის გამოკვლევას. გამოკვლევა დამყარებულია თვითეულ მაზრის მოთხოვნილებებზე. სექტემბრის განმავლობაში საგეგმო კომისია დაასრულებს უწყების შედგენას სასოფლო-სამეურნეო მანქანებზე. წინასწარი ცნობით, მომავალ წელში განზრახულია რამდენიმე ტრაქტორისა და რთული სამეურნეო იარაღების შეძენა. მანქანები შესყიდული იქნება ა.-კ. სასოფლო-სამეურნეო იარაღების საწყობში და დარიგდება სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობებზე, რომლებიც მას გაანაწილებენ გლეხებს შორის.

მანქანებს შეიძენს საქართველოს უმაღლესი ეკონომიური საბჭო.

სახკომსაბჭოში

საიჯარო გადასახადები

სახალხო კომისართა საბჭომ დაამტკიცა თბილისის აღმასკომის მიერ წარმოდგენილი დებულების პროექტი დაწესებულებათა მიერ დაკავებული შენობების საიჯარო გადასახადის სატარიფო განაკვეთის გადიდების შესახებ.

სახკომსაბჭომ ამასთანავე საჭიროდ სცნო ეცნობოს სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებებს, რომ ზემოაღნიშნული საიჯარო განაკვეთის მიხედვით, საჭირო საბინაო საიჯარო გადასახადის თანხები შეიტანონ თავიანთ 1926—27 წლის ხარჯთ-აღრიცხვაში.

სატრაქტორო ფონდი

ამიერ-კავკასიის მოსახლეობისათვის ტრაქტორების შეკეთებაში, ტრაქტორისტებისა, მანტიორებისა და შემკეთებელ ოსტატების კადრის შექმნაში დახმარების აღმოჩენის და, საერთოდ, ამიერ-კავკასიაში სატრაქტორო საქმის განვითარების მიზნით, ამიერ-კავკასიის სახელმწიფო საგეგმო კომისიამ მიზანშეწონილად სცნო ამიერ-კავკასიის უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან სპეციალური ფონდის დაარსება.

ფონდის ძირითად წყაროს წარმოადგენს დანარიცხი ტრაქტორების ღირებულებაზე.

საფონდო თანხას რესპუბლიკებს შორის გაანაწილებს ა.-კ. სახ. მეურნ. უმაღლესი საბჭო, რესპუბლიკების მიერ შეძენილ ტრაქტორების საერთო რაოდენობისდამიხედვით.

რესპუბლიკებზე გადაცემული თანხა უნდა მოხმარდეს მოსახლეობისათვის ტეხნიკური დახმარების აღმოჩენის საქმეს იმ გეგმის მიხედვით, რომელსაც გამომუშავებს მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატი და დაამტკიცებს რესპუბლიკური სახ. საგეგმო კომისია.

თანხები სატრაქტორო ფონდიდან შეიძლება უშუალოდ გადაეცეს, აგრეთვე, ტრაქტორების მქონე მსხვილ ორგანიზაციებს რესპუბლიკაში.

ბრძოლა მომჭირნეობისათვის

მესტიელი კაკო

(ზემო სვანეთი).

ეს მოკლე მოთხრობა ჩვენი დროის კაკო ყაჩაღს, მესტიის ფოსტა-ტელეგრაფის გამგე კაკო დავითულიანს შეეხება.

სად ფოსტის მოხელე და სად ყაჩაღი, განცვიფრებით იკითხავთ თქვენ. მაგრამ გასაკვირი აქ რაა? სვანეთის უღრანი ტყეები, ციცაბო კლდეები და გიჟმეი მდინარეები უარესსაც დამართებს კაცს. მოგეხსენებათ, ფული ქალაქისაა, მაგრამ მას უებარი ანდამატის თვისება აქვს. განსაკუთრებით, თუ კაცი მსუბუქი ხელისა ხარ და შენს კიდურებს ვერ პატრონობ, ფულს ადვილად შეუძლია თქვენდა უნებურათ თქვენი ხელი მიიზიდოს.

ასე მოუვიდა კაკოსაც. აგერ ფოსტის განყოფილების სალარო, აგერ გიჟმეი მდინარე ენგური, იქვე სვანეთის სალი კლდეები. აქ ხომ ბოროტებამდე ერთი ნაბიჯია.

კაკო დავითულიანმაც გადასდგა ეს საბედისწერო ნაბიჯი და, რაკი ერთხელ გადაალაჯა, მერე იორღა ცხენივით დაეშვა ძირს ბოროტმოქმედებისაკენ. ისე დღეს არ გაუშვებდა, რომ სალაროსათვის კბილი არ გაეკრა. ალღოც და ალღოც კაკომ ჩერვონცები სახლისაკენ. ნათქვამია, ზღვა კოვზით დაილევაო. მესტიის ფოსტის სალარო რა იყო, რომ მისი სალარო დაულეველი ყოფილიყო.

და კაკოც მხოლოდ მაშინ გამოფხიზლდა, როცა სალაროში თაგვებმა ფეხბურთის თამაშობა დაიწყეს. ადგა საანგარიშო „სჩოტი“ აიღო, გაჰკრა-გამოჰკრა ხელი და დანაკლისი 2.200 მანეთი აღმოაჩინა.

მაგრამ ნუ შესწუხდებით. ნურც კაკო შეგებრალებათ. მას საამისო არაფერი სჭირს. ენგური მღვრიეა და ყაჩაღებიც რამდენიც გინდა. ადგა გულქვა კაკო დავითულიანი, არ დაუმახსოვრა სალაროს ამდენი პატივისცემა, დაჰკრა თავში ურო, დალეწა-დაამტვრია და ენგურში გადაუძახა. თანაც მილიციის სამმართველოში მივარდა: „არიქა, მიშველეთ, ყაჩაღები დამეცნენ, ფული გაიტაცესო“. აქეთ ეცენ, იქით ეცენ, ყაჩაღები ვერსად აღმოაჩინეს. მართალია მესტიის ტყეში ქორი ვერ დაიმალება, მაგრამ რაც არ იყო, რა უნდა ეპოვათ?

ბოლოს, როგორც იქნა, ყაჩაღი აღმოაჩინეს. ის გახლდათ კაკო დავითულიანი, მესტიელი კაკო ყაჩაღი. ასე დაიღუპა თავი უბრალო გაუფრთხილებლობით ფოსტის უმანკო მოხელემ. გატეხილ სალაროსთან ერთად მან გიჟმე ენგურს გაატანა თავისი სინდისის უკანასკნელი ნარჩენი.

გ. ახირებული.

შეცდომა უნდა გამოსწორდეს

რამოდენიმე წელია, რაც ბათომში მოქმედებს მუშათა კოოპერატივი, ამ უკანასკნელმა თავისი მოქმედებით უკვე მიიზიდა მომხმარებელთა ყურადღება, იგი თანდათანობით იპყრობს ბაზარს და ზოგიერთ საგნებზე გამოდის ფასების მკარნახებლადაც. ამჟამად მას გახსნილი აქვს ქალაქში რამოდენიმე განყოფილება. მუშკოოპს ამ უკანასკნელ ხანებში ემჩნევა ფართლეულობის ნაკლებობა, იგი ფიქრობდა ამ დაბრკოლების გადალახვას ადგილობრივ საფეიქრო სინდიკატის საშუალებით, მაგრამ ეს არ მოხერხდა. ადგილობრ. საფეიქრო სინდიკატის განყოფილებამ, იმის მაგივრად, რომ მიეწოდებინა მუშკოოპისათვის ფართალი, თვითონვე გახსნა წვრილი სავაჭრო, და ცხადია სინდიკატის საქონელი უფრო ადვილად და სისტემატიურადაც მიიღებს საქონლის საჭირო რაოდენობას და ბათომის მუშკოოპს კი, როგორც ეხლა, ისე მომავალშიც დარჩება თაროები ცარიელი. თუ დიდხანს ასე გაგრძელდა მუშკოოპს მოუხდება ზოგიერთ მაღაზიების მიკეტვაც კი. სინდიკატის ასეთ მოქმედებას არ შეიძლება არ მიექცეს ჯეროვანი ყურადღება.

მომხმარებლების რეჟიმის დაცვის მაგივრად სინდიკატი მუშკოოპის გვერდით ხსნის ახალ სავაჭროებს და იწევს ზედმეტ ხარჯებს. სინდიკატის ეს მოქმედება ყოვლად უსაფუძვლოა მისი ვალია მუშკოოპის საშუალებით მიაწოდოს მომხმარებელს ფართალი და არა თვით მოკიდოს ხელი წვრილ ვაჭრობას.

ვანი.

პრესა მომჭირნეობის შესახებ

საბინაო აღმშენებლობა და მომჭირნეობა

საკავშირო კომპარტიის ცეკას და ცენტ. საკ. კომისიის გაერთიანებულ პლენუმმა, როგორც ვიცით, საბინაო აღმშენებლობას განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია. ამიტომ, ინტერესს მოკლებული არაა ვიცოდეთ, რა მდგომარეობაშია ამჟამად საბინაო აღმშენებლობა საბჭოთა კავშირში? ამის შესახებ მეტად საგულისხმო ცნობები მოჰყავს გაზეთ „კოოპერატივნაია ჟიზნ“-ს. ის სწერს:

„არა ერთხელ აღგვინიშნავს, რომ საბინაო კრიზისი წინ ეღობება მთელი ჩვენი მეურნეობის განვითარებას. მიუხედავათ ამისა, არსად ისე არ ივიწყებენ მომჭირნეობის რეჟიმის გატარებას, როგორც საბინაო აღმშენებლობის საქმეში... ირკვევა, რომ უკრაინაში, მაგალითად „ხოზიაისტვი“-ს ტრესტს აშენებულ სახლებში თითო კვადრ. საჟენი საცხოვრებელი დაუჯდა 670 მან., მეორე ტრესტს, რომელიც იქვე აშენებს სახლებს, ერთი კვადრ. საჟენი საც. არე დაუჯდა—1.264 მან. კოოპერატივ „წითელ ოქტომბერს“ (ხარკოვი) ერთი კვად. საჟ. უჯდება 637 მან., კოოპერატივ „აღორძინება“-ს (სლავიანსკი)—1.064 მან. ეს არაა გამონაკლისი შემთხვევები...

ბევრ საბინაო-სააღმშენებლო კოოპერატივების ზედნადები ხარჯები მეტად დიდი აქვთ, მშენებლობა სწარმოებს ინდივიდუალურ გეგმის მიხედვით, რის გამოც ადგილი აქვს შენობების მრავალფეროვანობას“.

ცხადია, რომ იმავე ტკივილებს, რომელზედაც მოგვითხრობს „კოოპერატივნაია გაზეტა“, ადგილი აქვს ჩვენს სინამდვილეშიაც. საბინაო აღმშენებლობა საქართველოში სათანადო ტემპით ჯერ მიმდინარეობს, ეს გარემოება ნაწილობრივ სწორედ იმას მიეწერება, რომ ამ დარგში ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი რამ გვაკლია მომჭირნეობის რეჟიმის გატარებისა და აღმშენებლობის სარფიან ნიადაგზე დაყენებისათვის.

ერთი ძირითადი პირობა, რომელიც უნდა დავიცვათ საბინაო აღმშენებლობაში და, რომელზედაც მიგვითითებს ცეკას პლენუმის რეზოლუციაც, მდგომარეობს იმაში, რომ უნდა გამომუშავებულ იქნას საცხოვრებელ სახლის ერთიანი ტიპი. ამ ტიპის მიხედვით უნდა შენდებოდეს ყველა სახლები.

თუ რამდენიმე ხელსაყრელია ასეთი წესი საბინაო აღმშენებლობის, ეს ჩვენ ვიცით ამერიკის მაგალითით, სადაც საბინაო მშენებლობა სტანდარტიზაცია ქმნილია და, სადაც აღმშენებლობა უაღრესად იაფი ჯდება. ჩვენც უთუოდ უნდა შევქმნათ ჩვენი პირობების შესაფერისი სახლის ტიპი და, რათაც არ უნდა დაგვიჯდეს, გავაიაფოთ საბინაო აღმშენებლობა.

სას.-სამ. კოოპერაციის გაჯანსაღება

საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიამ გამოიმუშავა ღონისძიებები სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიულ ამხანაგობათა გასაჯანსაღებლად.

საგეგმო კომისიის დასკვნით, აღნიშნული ამხანაგობების გაჯანსაღების ერთ-ერთ საშუალებათაგანს წარმოადგენს შესანახი ოპერაციების განვითარება. როგორც გამორკვეულიდან სჩანს სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობებში შესატანი ოპერაციების ნაკლულევანებას აქვს ამჟამად ადგილი. შეტანილი შესანახი თანხა ჩვენს ამხანაგობებში მთელი ბალანსის 11,5 პროცენტს შეადგენს. ფულადი რაოდენობით იგი 62,679 მანეთში გამოიხატება, ასე რომ თვითეულ ამხანაგობებში საშუალოთ შეტანილი თანხის რაოდენობა აღწევს 518 მანეთს. ამას გარდა ამ თანხებში გათვალისწინებულია აგრეთვე სხვადასხვა ორგანიზაცია-დაწესებულებების მიერ შეტანილი შესანახი თანხებიც. შესანახ თანხების ნაკლულოვანებას ჩვენს ამხანაგობებში ხელს უწყობს აგრეთვე ის გარემოება, რომ ჩვენი გლეხობა არ ეკიდება საკმაო ნდობით აღნიშნულ ამხანაგობებს. ამის მიზეზი ის არის, რომ გლეხობა დაშინებულია მეფის დროს შესანახად შეტანილ თანხების გაბათილებით. საგეგმო კომისიის დასკვნით, საჭიროა დიდი შთამგონებელი მუშაობის წარმოება ამ მხრივ და გლეხების დარწმუნებაში, რომ მათი შესანახად შეტანილი თანხები სრულიად ხელუხლებელია და ყოველგვარ მოსალოდნელ შემთხვევებისაგან უზრუნველყოფილია.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიულმა ამხანაგობებმა განსაზღვრულ ფარგლებში უნდა აწარმოონ საიჯარო ოპერაციები თავის ხარჯზე და აკრძალონ სესხის გაცემა იმ პირებზე, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ მას მუდმივ საიჯარო მიზნებისათვის იყენებენ. გარდა ამისა უნდა გაძლიერდეს სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობების ძირითადი კაპიტალი. ამ მიზნით უნდა გადაეცეს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკს გრძელვადიან სესხათ 775.000 მანეთი, რომელიც უკანასკნელის მიერ განაწილებული იქნება სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობებზე. ამ თანხიდან თვითეულ ამხანაგობას დაახლოვებით 5.000 მანეთი მიეცემა. ეს კი საგრძნობლად გააძლიერებს მის ძირითად კაპიტალს. საგეგმო კომისიის აზრით, 1926—27 წელში ამ თანხიდან ბანკს აუცილებლად უნდა მიეცეს ზემოაღნიშნული სესხის ნახევარი ნაწილი მაინც. მეორეს მხრივ უნდა გადიდდეს ამხანაგობაში შეტანილ შესანახ თანხის სარგებელი და საგრძნობლად დონეზე დადგეს თვით ამხანაგობის ავტორიტეტი, საქმიან გამგეობების შერჩევის გზით. ამასთანავე უნდა მოხდეს სასოფლო-სამეურნეო იდეების ფართო პოპულარიზაცია.

საგეგმო კომისიის ღონისძიებებში გათვალისწინებულია აგრეთვე ღარიბი და საშუალო შეძლების გლეხობის ჩაბმა სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობებში. ამ მიზნით, უნდა გადაიდოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან საჭირო თანხები სპეციალურ ფონდის შესაქმნელად, რომელიც მოხმარდება ღარიბ გლეხობის აუცილებელ საკრედიტო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას. ამას გარდა სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობებთან უნდა შეიქმნას სპეციალური ფონდიც, რომელიც შეამსუბუქებს ღარიბი გლეხობის ამხანაგობაში წევრად შესვლის საქმეს. ამასთანავე დიდი შეღავათი მიეცემა ღარიბ გლეხობას ამხანაგობაში შესვლის დროს იმ მხრივ, რომ გადიდდება მათ შესვლის და საპაიო გადასახადების გადახდის ვადა თითქმის 2 წლამდე.

საგეგმო კომისიის ღონისძიებები სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობათა გასაჯანსაღებლად წარდგენილია დასამტკიცებლად საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოში.

მეოჯახეობის და მასახლოების შესწავლა

ცნობილია, რომ ჩვენი ქვეყნის არსებობის უმთავრეს წყაროს წარმოადგენს სოფლის მეურნეობა. ამიტომ მთელი ყურადღება იქითკენ უნდა იყოს მიქცეული, რომ სოფლის მოსახლეობაში მოვსპოთ აგრონომიული უცოდინარობა, ხელი შევუწყოთ სასოფლო-სამეურნეო გაუმჯობესებული ტეხნიკის გავრცელებას და ამით მისი მუშა გამოვიყვანოთ მეურნეობის იმ მდგომარეობიდან, რომელშიც ის დღეის იმყოფება. სოფლის მეურნის დაწინაურების და გათვითცნობიერების საქმეს ემსახურება სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტი, საშუალო ტიპის რაოდენიმე სასოფლო-სამეურნეო ტეხნიკუმები და აგრეთვე დაბალი ტიპის სამეურნეო სასწავლებლები; ამავე საქმეს ემსახურებიან აგრონომიული ორგანიზაციები ადგილობრივ აღმასკომებთან არსებული და ცენტრიდან. თვით სოფლის მეურნეობის ტეხნიკურ საკითხების გასაშუქებლად და გადასაჭრელად მოწოდებულია რესპუბლიკაში არსებული საცდელი მინდვრები, სადგურები და ბოტანიკური ბაღები თავის განყოფილებებით. ყველა ამ დაწესებულებებს და ორგანიზაციებს მიზნად აქვთ იმ იარაღის—ცოდნის გამოჭედვა, რომლის საშუალებით ჩვენი ქვეყნის მეურნე გზას გაიკაფავს უკეთესი მომავლისაკენ...

ჩვენ აქ გვინდა შევეხოთ, ჩვენის აზრით, ერთ ფრიად დროულ საკითხს; საქმე იმაშია, რომ დღემდი და დღესაც აგრონომიულ მუშაობის დროს უმთავრესად ყურადღება ექცევა მამაკაცს; სრულიად ან უმნიშვნელო ყურადღება ექცევა დედაკაცს. ზევით დასახელებულ სასწავლებლების პროგრამაში შეტანილი არ არის მეოჯახეობის ან მასახლოების სწავლება და არც ერთი სპეციალური სასწავლებელი ამ მიზნით არ არსებობს. ვფიქრობ, არავისათვის სადაო არ იქნება ის, რომ მეოჯახე ქალის უნარიანობაზე და ცოდნაზე ბევრადაა დამოკიდებული თვით ოჯახის კეთილდღეობა და უკეთესი მომავალიც. ბაღ-ბოსტან-მინდვრის მოსავლის ოჯახში გონივრულად გამოყენებაზე დამოკიდებულია საგრძნობლად ამ ოჯახის წევრთა ჯანმრთელობა, მოზარდი თაობის სისაღე და გამძლეობა. ყველამ ვიცით, რომ ზაფხულში ჩვენი მეურნის ოჯახში ბოსტნეულის, ხილის და სხვა პირნახულის ისეთი დიდი რაოდენობა იყრის თავს, რომ დღიურ მოთხოვნილებას გაცილებით სჭარბობს და პირნახულის საგრძნობი ნაწილი ხშირად უსარგებლოდ ილუპება ხოლმე; მაგრამ ნახეთ ზამთარში თუ უმეტესობას რაიმე მარაგი ექნეს? ერთი სიტყვით, ჩვენი გლეხი საერთოდ ძლიერ ცუდად იკვებება და თანაც არა თანაბრად—ზაფხულში მოსარჩენიც აქვს ხილი, ბოსტნეული და სხვა, ზამთარში კი ხშირად მარტო მჭადზე ან პურზე გადადის ხოლმე. აი, სწორეთ ამ მხრივ ბევრის გაკეთება შეუძლია მცოდნე დიასახლისს—გლეხის ქალს; ჩვენც უნდა შევუდგეთ ამ საკითხის მოგვარებას და ამით შევავსოთ ის დეფექტი, რომელიც გვაქვს მეოჯახე გლეხის ქალის გათვითცნობიერების საქმეში.

დაკვირვებული გერმანელები და განსაკუთრებით კი ამერიკელები დიდ ყურადღებას აქცევენ დიასახლისის მომზადებას; ამ მიზნით გამართული აქვთ შესაფერი სკოლები და აგრეთვე დაქირავებული ჰყავთ სოფლებში მოსიარულე მომზადებულნი პირნი, რომლებიც აწვდიან მეოჯახე ქალებს საჭირო ცნობებს ამა თუ იმ საოჯახო საკითხის შესახებ. ჩვენც უნდა შევასწავლოთ გლეხ-ქალებს სხვადასხვა სანოვაგის დამზადება, ე. ი. ბოსტნეულის და ხილის გაშრობა, ყოველგვარი ძეხვების, მურაბების, სამწნილეების და სხვა დამზადება, ხორცის წესიერად დამარილება, ბოლის მიცემა, ფრინველის მოშენება, ბოსტნეულის და ხილის მოყვანა და სხვა; უნდა შევასწავლოთ აგრეთვე საჭმლის გონივრულად მომზადება, ჯერის სწორად შედგენა და მოზარდი ბავშვების წესიერად კვება.

როგორ უნდა მოეწყოს გლეხ-ქალთა გათვითცნობიერების ეს საქმე?—ჩვენ ვფიქრობთ, რომ საჭიროა გამართოს 1 წლიანი სპეციალური კურსები გლეხ-ქალთა შორის სამუშაოთ ინსტრუქტორ-ქალების მოსამზადებლად; ამ კურსებზე დაშვებულ უნდა იყვნენ მხოლოდ აგრონომ-ქალები, რომელთაც უკვე საკმაო ცოდნა ექნებათ სოფლის-მეურნეობის შესახებ. პირველ ხანებში ისიც საკმაო იქნება, თუ ასეთი ქალი-ინსტრუქტორი მაზრაში ერთი მაინც იქნება; ამ ინსტრუქტორების მუშაობა-საქმიანობა უნდა შეფარდებულ იქნას ადგილობრივ აგრონომიულ ორგანიზაციების მუშაობასთან და უნდა შევიდეს აგრო-დახმარების სისტემაში. ვფიქრობთ, ამ საკითხის პრაქტიკულად მოგვარება არ გაუძნელდება მიწათ-მოქმედების, განათლების კომისარიატების და ცეკასთან არსებულ ქალთა განყოფილების შეერთებულ ძალებს, რომლებიც უთუოდ დაინტერესებული არიან ამ საქმეში.

აგრ. ნ. ნუცუბიძე.

საქართველოს ჩაი

საქჩაი საზოგადოებამ „საქართველოს ჩაი“-მ წარადგინა საქართველოს საგეგმო კომისიაში დასამტკიცებლად 1926 და 1927 წლების ხარჯთ-აღრიცხვა. ამ ხარჯთ-აღრიცხვით საზოგადოება მოითხოვს:

კაპიტალურ ხარჯების დასაფარავათ 483.963 მან. (1926 წ.) და 196.900 მან. (1927 წ.). ეს თანხები უნდა იქნენ გაღებული როგორც გრძელვადიანი უპროცენტო კრედიტი.

საოპერაციო ხარჯებისათვის — 382.075 მ. 29 კ. (1926 წ.) და 40.113 მ. 45 კ. (1927 წ.) ეს თანხები უნდა იქნენ გაღებული, მოკლევადიანი კრედიტის სახით.

აგროკულტურულ ღონისძიებების ჩასატარებლათ საზოგადოება მოითხოვს 234.234 მ. 86 კ. (1926 წ.) და 460.898 მ. 60 კ. (1927 წ.).

გარდა ამისა 1926 წლისათვის „საქართველოს ჩაი“ თხოულობს 10.000 მან. გლეხების პლანტაციების გასაშენებლათ და 1927 წლისათვის (იმავე მიზნისათვის) —100.000 მანეთს.

სულ ხარჯთ-აღრიცხვის მიხედვით საზოგადოებას უნდა მიეცეს 1926 წ.— 1.110.278 მ.—15 კ. და 1927 წ.— 798.002 მ. 30 კ.

საგეგმო კომისიამ მიიღო რა მხედველობაში, რომ აღნიშნული ხარჯები გამოწვეულია აუცილებელ საჭიროებით და რომ ჩაის კულტურის და მრეწველობის განვითარება მოითხოვს საზოგადოების მიერ დასახულ ღონისძიებათა მთლიან რეალიზაციას. უცვლელათ დაამტკიცა წარმოდგენილი ხარჯთ-აღრიცხვა.

„ბაღ-ბოსტან კავშირში“

მეხილე-მებოსტნეთა კოოპერატიული კავშირი „ბაღ-ბოსტანკავშირი“ თავის ქსელში აერთიანებს 14 კოოპერატიულ ამხანაგობას, მათგან ოთხს დასავლეთ საქართველოში, ხუთს გორის მაზრაში, ორს ახალციხის მაზრაში და თითოს თბილისში, ბორჩალოში და კახეთში.

ყველა ამ ორგანიზაციებში წევრთა რიცხვი თანდათან იზრდება.

„ბაღ-ბოსტანკავშირს“ განზრახული აქვს დაამზადოს წელს 200.000 ფ. ხილი, 100.000 ფ. კარტოფილი, 50.000 ფ. ხახვი, 100.000 ფ. კომბოსტო და 10.000 ფ. ჩირი სხვადასხვა ხილეულისა. ამ რაოდენობის ხილისა და ბოსტნეულის დამზადება სავსებით დამოკიდებულია კრედიტის მიღებაზე, რადგან ორგანიზაციას ჯერ საკმაო საკუთარი თანხები არ გააჩნია.

კავშირს დადებული აქვს ხელშეკრულება მოსკოვის მომხმარებელ საზოგადოებასთან და მოსკოვის კომუნალურ ბანკთან, რომლის თანახმად თვითეულ მათგანს უნდა დაუმზადოს ორმოც-ორმოცი ათასი ფუთი ხილი.

ხილისა და ბოსტნეულის მოსავალი ჩვენში წელს საშუალოზე უკეთესია, მაგრამ სეტყვისაგან და ჭიისაგან 50 პროცენტი დაზიანებულია. ორგანიზაციის ფინანსიურად გაჯანსაღების საქმე დამოკიდებულია ხილის დამუშავების წარმოებაზე; ამ მხრივ არის გადადგმული ნაბიჯები, ხოლო უმაღლესი ეკონომიური საბჭოს დადგენილებით უნდა მოეწყოს ორი საკონსერვო ქარხანა ოთხი ხილის საშრობი პუნქტი და ორი საწყობი ხილის შესანახად.

სას. სამ. მანქანები

საბჭოთა კავშირის შრომისა და თავდაცვის საბჭომ მიმართა ყველა საკავშირო რესპუბლიკების დაინტერესებულ ორგანიზაციებს და მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატებს წარმოადგინონ თავიანთი ტეხნიკური მოსაზრებები სასოფლო-სამეურნეო მანქანების გასაუმჯობესებლად ადგილობრივ საჭიროების მიხედვით. ასეთი მანქანა-იარაღების დამზადება იწარმოებს უმთავრესად ჩვენს წარმოებებში. მანქანა-იარაღების დამზადება ტეხნიკურის მხრივ იწარმოებს ისეთი სახით, როგორც იგი შეეფერება საბჭოთა კავშირის თვითეული კუთხის მეურნე გლეხობის მოთხოვნილებებს.

დაინტერესებულ ორგანიზაციების ტეხნიკური მოსაზრებანი უნდა იქნეს წარდგენილი საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიაში.

საქართველოს მიწ.-მოქმედების სახალხო კომისარიატი შეუდგა ჩვენი ქვეყნის მეურნეობისათვის საჭირო იარაღებზე ტეხნიკურ გასაუმჯობესებელ მოსაზრებების დამუშავებას.

დახმარება გლეხებს

გლეხთა სახლის გამგეობამ დაადგინა დაარსოს საკონსულტაციო ბიურო, რომლის მიზანიც იქნება გაუწიოს იურიდიული დახმარება სოფლის მცხოვრებთ.

დღემდე ხშირი იყო შემთხვევა, რომ გლეხს თუ რაიმე საქმე ჰქონდა მთავრობის ცენტრალურ დაწესებულებებში, მოდიოდა თბილისში. ეწეოდა დიდ ხარჯებს და ხშირად უწევდა აქ დიდხანს დარჩენა.

გლეხთა სახლთან დაარსებულ საკონსულტაციო ბიუროს დაევალება ყოველგვარი საქმეები მთავრობის ცენტრ. დაწესებულებებში გაუკეთონ გლეხებს მათ თბილისში ჩამოსასვლელათ.

ამისათვის საჭირო იქნება გლეხმა დასწეროს, როგორც შეუძლია ისე და რაზედაც ესაჭიროება წერილი, თავისი მისამართის აღნიშვნით გამოგზავნოს თბილისში გლეხთა სახლის საკონსულტაციო ბიუროში. ბიურო დასწერს შესაფერის განცხადებებს და თვალყურს ადევნებს თუ რაგვარ გადაწყვეტილებას ან პასუხს გამოიტანს აღნიშნული საკითხის შესახებ ესა თუ ის ორგანო. შემდეგ ბიურო აცნობებს პასუხს დაინტერესებულ გლეხს.

ყოველგვარი მიმართვები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: თბილისი. გლეხთა სახლში, საკონსულტაციო ბიუროს.

მუშათა ცხოვრება

კულტმუშაკთა კონფერენცია.

6 სექტემბერს მუშათა ცენტრალურ კლუბში პროფკავშირთა საბჭოს ინიციატივით შესდგა თბილისის ყველა კლუბების დრამატიული, მუსიკალური და ცოცხალი გაზეთების ხელმძღვანელთა და მამასახლისთა კონფერენცია. კონფერენციას დაესწრო 50 კულტმუშაკი.

დღის წესრიგში იდგა მხოლოდ ერთი საკითხი—წინა კონფერენციაზე არჩეულ კომისიის მუშაობის შედეგების შესახებ.

ამ საკითხის ირგვლივ მოხსენება გააკეთა პროფკავშირთა საბჭოს კულტგანათლების წარმომადგენელმა ამხ. მხიტარიშმა.

როგორც მან აღნიშნა, წრეების შეჯიბრება დაიწყება 2 ან 3 ოქტომბერს, მონაწილეობას მიიღებენ 40-მდე წრე. შეჯიბრება გაგრძელდება 4 დღის განმავლობაში. ერთ კლუბში მოხდება ქართული წრეების შეჯიბრება, მეორეში—რუსულის და ასე სხვებისაც.

ცოცხალი გაზეთების წრეები, რიცხვით 15, გამოვლენ საკონკურსოდ მუშათა ცენტრალურ კლუბში. მუსიკალური და მომღერალთა გუნდები. მუშათა ახალ კლუბში დადგმული იქნება 3 პიესა.

დრამწრეები მოანდომებენ, თანახმად კომისიის დადგენილებისა, 40 წუთს პიესის მსვლელობას და 10 წუთს ანტრაქტს, მუსიკალური წრეები—15 წუთს და ცოცხალი გაზეთები—20 წუთს.

მოხსენების ირგვლივ გამართა კამათი; კამათში მონაწილეობა მიიღო 5 კაცმა—ამხ. ნინიძემ, მ. ლითანიშვილმა, ნაზარიანმა, ჭ. კალანდაძემ, ბადრიძემ და პასტუხოვმა, რომლებმაც აღნიშნეს შეჯიბრების ჩატარების სხვადასხვა ტეხნიკური დაბრკოლებანი.

კამათში მონაწილე ამხანაგები აღნიშნავდნენ, რომ განსაზღვრული დროის განმავლობაში (ე. ი. 15 წუთში) წრეების შეჯიბრების ჩატარება შეუძლებელიაო.

აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ კონფერენცია ადგენს, რომ თვითეული წრე გამოვიდეს თავისუფლად და დროც საკმარისი ჰქონდეს. მაგალითად, დრამატიულ წრეებს 1 საათი, ცოცხალი გაზეთების წრეებს—25 წუთი და მუსიკალურ წრეებს—15 წუთი.

კონფერენციამ აირჩია 3 კაცის შემადგენლობით კომისია, რომელსაც დაევალება ტეხნიკური პირობების მოწყობა და შეჯიბრების საქმიანობის თავის დონეზე დაყენება. კომისიაში არჩეულ იქნენ შემდეგი ამხანაგები: **ვ. ნინიძე, ს. ბებურიშვილი** და **ვ. ნაზარიანი.**

აღნიშნულ შეჯიბრებას ხელოვნების დარგში დიდი მნიშვნელობა ექნება. ამით ყველა კლუბებთან არსებული წრეებიც წახალისდებიან და მუშათა მასაც დაინტერესდება.

საჭიროა პროფკავშირთა საბჭომ დაწყებული საქმე დაამთავროს რიგიანად და ჩამოაყალიბოს მუშათა კლუბებთან არსებული სამხატვრო წრეები.

წრეების კონკურსის სისწორით და მიუდგომლად ჩატარება დიდი მიღწევა იქნება ჩვენს კულტმუშაობაში.

მუშკორი ი. ჯაჯანიშვილი.

სალი სიცილის სალამო ორჯონიკიძის სახ. კლუბში.

ადგილობრივ ქართულ დრამწრის მიერ ვ. ნინიძის რეჟისორობით და მონაწილეობით დადგმულ იქნა ორი ერთ-ერთი მოქმედებიანი ვოდევილები: „არივ-დარია“ და „სიმართლე“. წარმოდგენას დაესწრენ ბევრი მუშა და მათი ოჯახის წევრები. შემსრულებლები ერთი-მეორეზე უკეთესად მომზადებული იყვნენ. თვითონ ვ. ნინიძე ძალზე კარგად ჩაატარა თავისი კომიკური როლი. მშრომელი მასა შეიპყრო სალმა სიცილმა და მთელი სალამო სიცილ-ხარხარში იყვნენ მაყურებლები და დაიშალენ სრულიად კმაყოფილნი.

აქ უნდა აღვნიშნოთ ერთი გარემოება, რამაც მიიღო ქრონიკული ხასიათი ორჯონიკიძის სახელობის კლუბში. ეს არის სწორედ ის დაგვიანებები, რომლებიც ეწინააღმდეგებიან აფიშებზე ნაჩვენებ ცნობებს. სალამო თითქოს უნდა დაიწყოს 8 ნახ. საათზე, ნამდვილად კი იწყება 10 საათზე, რაც ძალიან ცუდათ მოქმედებს მაყურებლებზე. მშრომელი ხალხი მოდის 7—8 საათზე, რომ ადგილი დაიკავოს, რადგანაც დასაჯდომი სკამები უნომრო არის, ცდა კი უხდებათ ზედმეტი 2—3 საათი, ვინაიდან აქ მოდიან მხოლოდ და მხოლოდ მუშა-მოსამსახურეები და მათი ოჯახები, რომლებსაც ესაჭიროებათ დროზე მოსვლები, რადგანაც ისინი მიდიან სამუშაოზე 5 ნახ.—6 საათზე დილით. ამისათვის აუცილებლად საჭიროა დაიწყოს წარმოდგენა არა უგვიანეს 8 საათისა და უნდა თავდებოდეს 11 საათზე.

თორემ წარმოდგენის ბევრ სიამოვნებას, თან უსიამოვნება არ უნდა მოსდევდეს!

მუშკორი ძია ლევან.

არა გვაქვს კლუბი

სახალხო კვების კავშირს არა აქვს თავისი საკუთარი კლუბი, რის გამო წევრები დიდ უკმაყოფილებას გამოსთქვამენ. წევრების რაოდენობა კავშირში დიდია და აქვთ დაარსებული სხვადასხვა წრეები. მაგრამ კლუბის უქონლობის გამო მუშაობას ვერ ახერხებს ჩვენი ახალგაზრდობა. სახალხო კვების კომუჯრედის წევრები ძალიან მონდომებული არიან კლუბში მუშაობა გაჩაღონ, მაგრამ კლუბის უქონლობის გამო ფერხდება საქმე.

აღმასკომო, დაგვეხმარე ამ საქმეში და გამოაფხიზლე ჩვენი კავშირის მდივანი!

მუშა-ქალი კომკავშირელი.

საკლუბო დრამწრე უნდა მუშაობდეს უსასყიდლოთ

პლეხანოვის სახელობის კლუბთან არსებული დრამწრე ერთ-ერთი სიამაყე იყო რკინისგზელთა მუშებისათვის.

მან თავისი მუშაობის ხანაში მოიპოვა სათანადო ნდობა მუშებში. მაგრამ დრამწრემ მოითხოვა ფული, გამოეკიდა რაღაც წვრილმან საკითხებს და ამ ნიადაგზე დრამწრე დაიშალა.

ფულის (ე. ი. ჯამაგირის) გაცემა კლუბმა ვერ შესძლო. არც უბნის პროფკავშირი დაეთანხმა.

საერთოდ საკლუბო მუშაობაში ეს არ არის სწორი მიდგომა, რადგანაც კლუბის წრეებში მუშაობა უნდა იყოს უფასოდ.

ვსთქვათ, გამგეობამ დაუნიშნა ჯამაგირი ყველას! მაშინ ცხადია, რომ სხვა კლუბების დრამწრეებიც მოითხოვენ და ამით დაეცემა საერთოდ მუშათა კლუბების პოპულარობა მუშებში, რადგან ისინი უნდა გავხადოთ ფასიანი. ამ მხრივ ძალიან შეცდომაში შესულა პლეხანოვის კლუბთან არსებული ქართული დრამწრე.

საჭიროა აღადგინოს კლუბის გამგეობამ ძველი დრამწრე და გამონახოს რაიმე გამოსავალი აქედან.

მუშკორი ი. განყენებული.

მუშათა ქრონიკა

— **სადუქნო-საკ. კომისიის შემადგენლობა.** სადგურ თბილისის მოძრაობის დარგის სადუქნო-საკონტროლო კომისიაში არჩეულია შემდეგი ამხანაგები: ამაშუკელი, ხელაია, ტუღუში, ნემსაწვერიძე, მუხაშვილი, პაიჭაძე და გეორხაძე.

— **უნდა აილაგმონ.** ამას წინათ ამხ. ს. ორჯონიკიძის სახელობის კლუბში ადგილობრივი დრამწრის წევრებმა სცემეს აქ მომუშავე დარაჯს. დამნაშავენი პასუხისგებაში არიან მიცემული.

— **2 პროც. ანარიცხი.** სადგურ თბილისის მოძრაობის დარგის ადგილკომში თებერვალში 2 პროცენტის ანარიცხის სახით შემოვიდა 1.274 მანეთი და 55 კაპ.

— **ლამაზად ჩატარდა.** 4 სექტემბერს ამხ. ს. ორჯონიკიძის სახელობის კლუბში ახალგაზრდათა მე-12 საერთაშორისო დღე ჩატარდა ლამაზად; გაკეთდა მოხსენებები და დაიდგა წარმოდგენები.

— **ინტერნატი.** თბილისის საუბნო დაზღვევის სალაროს თავმჯდომარის ამხ. ლაშქარაშვილის ცნობით, ახლო ხანში გაიხსნება ინტერნატი ავადმყოფთათვის.

— **გამოცდები.** რკინისგზის მეოთხე შრომის სკოლაში მერვე ჯგუფში მისაღები გამოცდები დაიწყო 8 სექტემბრიდან.

— **6 თვის** განმავლობაში სადგურ თბილისის მოძრაობის დარგის პლენუმის სხდომა ჰქონდა 7, გაირჩა 38 საკითხი.

— **კლუბის წევრებად.** სადგურ თბილისის მოძრაობის დარგის 156 მუშა-მოსამსახურე ჩაწერილია მუშათა კლუბების წევრებად: 108—პლეხანოვის და 48—ამხ. ს. ორჯონიკიძის სახელობის კლუბში.

— **ახალი დეკორაციები.** ამხ. ს. ორჯონიკიძის სახელობის მუშათა კლუბის გამგეობას განზრახული აქვს მომავალ ზამთრისათვის ახალი დეკორაციების დამზადება.

— **5 სხდომა.** სადგურ თბილისის მოძრაობის დარგის საორგანიზაციო საგანმანათლებლო კომისიას ჰქონდა 5 სხდომა და გაარჩია 18 საკითხი.

— **ცნობათ.** სადგურ თბილისის მოძრაობის დარგის სადელეგატო კრებამ ურთიერთ დამხმარე სალაროს მოხსენება მიიღო ცნობათ.

— **ლოთობის წინააღმდეგ.** სადგურ თბილისის მოძრაობის დარგის საწარმოო კომისიამ საჭიროდ სცნო მიღებულ იქნეს სადგურში ლოთობის წინააღმდეგ სასტიკი ზომები.

— **დამაკმაყოფილებლად.** სადგურ თბილისის მოძრაობის დარგის ადგილკომის სადელეგატო სხდომამ სადუქნო-საკონტროლო კომისიის მუშაობა დამაკმაყოფილებლად ჩასთვალა.

მოსახლეობის მომავალი აღწერისათვის

თბილისის აღმასკომთან არსებულ საორგანიზაციო კომისიის მოწოდება

მიმდინარე 1926 წლის დეკემბერში, საკავშირო მთავრობის დადგენილებით, საბჭოთა კავშირში უნდა მოხდეს მოსახლეობის აღწერა. ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ ეს იქნება მთელი კავშირის მასშტაბით მოსახლეობის პირველი საყოველთაო აღწერა.

აღწერის მიზანია გამოარკვიოს საბჭოთა კავშირის მოსახლეობის საერთო რიცხვი, მისი სქესობრივი, ასაკობრივი, ეროვნული, მოქალაქეობრივი, სოციალურ-პროფესიონალური შემადგენლობა და სხვა. აღწერა საშუალებას მოგვცემს გამოვარკვიოთ ის ცვლილებები, რომლებიც მოხდა მოსახლეობის შემადგენლობაში წინა აღწერებთან შედარებით.

აღწერას აქვს არა მარტო პრაქტიკული, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა, არამედ მეცნიერულიც. ამან გამოიწვია ის უდიდესი ყურადღება, რომლითაც საბჭოთა ხელისუფლება ეპყრობა მომავალ აღწერას. აღწერის წარმატებით ჩატარებისათვის საკმარისი არ არის მარტო მთავრობისა და მისი ადგილობრივ ორგანოების ღონისძიებანი. მთავრობა უძლური იქნება, თუ მოსახლეობამ ამ მძიმე ამოცანის შესრულებაში სათანადო დახმარება არ გაუწია. მოსახლეობის მიერ თავისი მოქალაქეობრივი მოვალეობის შეგნება უდიდესი ფაქტორია აღწერის წარმატებით ჩატარებისათვის. ყოველ მოქალაქეს მტკიცედ უნდა ჰქონდეს შეგნებული აღწერის მნიშვნელობა, იგი მთავრობას მხარში უნდა ამოუდგეს და ყოველ მხრივ ხელი შეუწყოს აღწერის საქმის დაგვირგვინებას, რაც საშუალებას მისცემს ხელისუფლებას სისწორით გაატაროს ცხოვრებაში მოსახლეობის სოციალური და ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის საჭირო ზომები.

აღწერის კარგად მოწყობის ერთი მთავარი პირობაა წინასწარი მოსამზადებელი მუშაობის კარგად ჩატარება. იქ, სადაც ეს წინასწარი მუშაობა ცუდად იქნება ჩატარებული, უდავოა აღწერაც ცუდად ჩაივლის.

თბილისის აღმასკომმა მიიღო სათანადო ზომები, რომ ქალაქ თბილისში და თბილისის მაზრაში აღწერა უნაკლოდ ჩატარდეს. პრეზიდიუმის ქვემოდ მოთავსებული დადგენილება ერთ-ერთი ზომაა ამ მიზნის მისაღწევათ. დარწმუნებული ვართ, რომ სახლის პატრონები, მმართველები და თვით მოსახლეობაც დიდი ყურადღებით მოეპყრობიან ამ დადგენილებას და იქ გათვალისწინებულ ზომებს პირნათლად შეასრულებენ.

სახლის პატრონნი და მმართველები ვალდებულნი არიან უპირველესად ყოვლისა მოაწესრიგონ საბინაო დავთრები. საბინაო დავთრებში შეტანილი უნდა იქნეს სახლის ყველა მცხოვრები, ეს საშუალებას მისცემს აღმწერელს აღწერის დროს არავინ გამორჩეს.

ბინების დანომვრის დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ბინის არხიტექტურული წყობა. ბინა გაგებული უნდა იქნეს იმ მნიშვნელობით რა მნიშვნელობითაც იგი ესმოდათ ომამდე. სასურველია ყველა დანომრილ ბინასა და ოთახს გაუკეთდეს თეთრი თუნუქის ფირფიტა წითელი ნომრით. ბინის ფირფიტა მიკრულ უნდა იქნეს ბინაში შესასვლელ კარის თავზე, ხოლო ოთახის ფირფიტა ოთახის კარზე 2 ნახევ. არშინის სიმაღლეზე. სასურველია ბინის ფირფიტა უფრო ფართო იყოს, ვიდრე ოთახის ფირფიტა. ოთახების დანომვრა იწყება ქვედა სართულიდან (სადაც საცხოვრებელი ბინებია მოთავსებული) ბინების და ოთახების თანმიმდევრობით. ქვედა სართულში ბინებისა და ოთახების დანომვრის დამთავრების შემდეგ თანმიმდევრობა ქვედა სართულის და ოთახის უკანასკნელ ნუმერაციიდან უნდა გაგრძელდეს მეორე და შემდეგ სართულებში.

ბინების და ოთახების დანომვრა გაადვილებს მათში მცხოვრებ მოსახლეობის აღწერას და აღმწერელს მაშინ აღარავინ გამორჩება.

დაუნომრავ სახლმფლობელობის დანომვრასაც უდიდესი მნიშვნელობა ექნება, ის საშუალებას მისცემს გეგმით აღჭურვილ აღმწერელს კარგად იცოდეს, თუ რომელ მფლობელობიდან უნდა დაიწყოს აღწერა და რომლით უნდა დაამთავროს.

სახლმფლობელობის, ბინების და ოთახების დანომვრა საჭიროა არა მარტო აღწერისათვის, არამედ სახელმწიფო და ადგილობრივი ორგანოების სხვა მრავალ საჭიროებისათვის, ამიტომ ეხლა დასმული ნომრები მომავლისათვისაც გამოსადეგი იქნება.

თბილისის აღმასკომთან არსებული აღწერის საორგანიზაციო კომისია იმედს გამოსთქვამს, რომ ზემოთ მოთავსებული სავალდებულო დადგენილება სისწორით და სავსებით იქნება ცხოვრებაში გატარებული.

დადგენილებით გამოწვეული ყოველგვარი გაუგებრობის განმარტების მიღება შეიძლება თბილისის აღმასკომთან არსებულ აღწერის საორგანიზაციო კომისიაში. კომისიის მისამართი: თბილისის აღმასკომი ოთახი № 245, მეორე სართული, შესასვლელი აკაკი წერეთლის (ყოფილი ბარიის) ქუჩიდან.

აღწერის საორგანიზაციო კომისია

თბილისის აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის სავალდებულო

დადგენილება

№ 103

სახლმფლობელობების, ბინების და ოთახების დანომვრის შესახებ

1926 წ. 8 სექტემბერი, ქ. თბილისი.

1926—27 წ.წ. საკავშირო აღწერებთან დაკავშირებით, ქალაქ თბილისის მოსახლეობის აღწერის წარმატებით ჩასატარებლად და ა.-კ. სახალხო კომისართა საბჭოს ამა წლის 5 აგვისტოს № 81 დადგენილების თანახმად (იხ. „ზარია ვოსტოკა“, ა. წ. 15 აგვისტოდან), თბილისის აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1) ყოველ სახლმფლობელობის პასუხისმგებელ პირს ევალება დღიდან ამა სავალდებულო დადგენილების გამოქვეყნებისა ორი კვირის განმავლობაში გაატაროს ცხოვრებაში შემდეგი ღონისძიებანი:

ა) მოაწესრიგოს საბინაო დავთრები იმ სახით, რომ ხსენებული დავთრები წარმოადგენდეს მოხულ-წასული მოსახლეობის რეალურ სურათს.

ბ) დაინიშნოს სახლმფლობელობაში ყველა ბინა რომაული ციფრებით (ბინათ იგულისხმება არქიტექტურული ბინა, ომამდე დროის დახასიათებით); ბინების დანომვრა იწყება ქვედა სართულიდან და თავდება ზედა სართულით. უკეთუ სახლმფლობელობა რამდენიმე შენობას წარმოადგენს, დანომვრა დაიწყოს მთავარი კორპუსიდან.

გ) დაინომროს სახლმფლობელობაში ყველა ოთახი არაბული ციფრებით; ოთახების დანომვრა უნდა მოხდეს იმავე წესით, როგორც ბინებისა, მხოლოდ ამ დანომვრის დროს სასტიკად უნდა იქნას დაცული ბინათა თანამიმდევრობა. მაგ., ბინა I-ლი, ოთახი: 1, 2, 3, 4; ბინა მე-II-ე, ოთახი: 5, 6, 7; ბინა მე-III-ე, ოთახი: 8, 9, 10 და ასე შემდეგ.

2) კეთილმომწყობ ქვეგანყოფილებას ევალება დანომროს ნომრის არმქონე სახლმფლობელობანი.

3) სანომრო ფირფიტის ხაფასურს იხდის სახლმფლობელი.

4) სახლმფლობელობების, ბინების და ოთახების დანომვრის დამთავრების შემდეგ შესდგეს სათანადო აქტი, რომელსაც ხელს მოაწერს სახლმფლობელი და სახლის მომუშავე (მეეზოვე) და წარედგინოს ადმინისტრატიულ განყოფილების სამისამართო მაგიდას.

5) ამ სავალდებულო დადგენილების დამრღვევნი დაისჯებიან ადმინისტრატიულ წესით დაპატიმრებით ორ თვემდე, ან დაჯარიმებით 100 მანეთამდე.

6) ამ სავალდებულო დადგენილების ცხოვრებაში გატარება ევალება თბილისის აღმასკომის ადმინისტრატიულ განყოფილებას.

7) დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

თბილისის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე სუხიშვილი.
სტატისტიკური განყოფილების გამგის მოადგილე ჯანდიერი.
მდივანი ცქიტიშვილი.

ნ. 1752

რკინისგზა კავთისხევში

კავთის-ხევში ცემენტის ქარხნის შენებასთან დაკავშირებით, რკ. გზის უწყების მიერ ადგილობრივ გაიგზავნა საგზაო ინჟინერთა კომისია, რომელშიაც შედიოდა აგრეთვე ს. მ. უ. ს. წარმომადგენელიც.

კომისიის მიერ წინასწარი გადაწყვეტილებებით საჭიროთაა ცნობილი ქარხანა გაშენდეს სად. კასპსა და კავთის-ხევს შორის შუა ადგილას. ქარხნიდან გაყვანილ იქნება რკ. გზის შტო სად. კავთისხევამდე, რადგანაც კასპისაკენ გზის გაყვანა უფრო ძვირი დაჯდება.

ამასთანავე შეუძლებლათ იქნა ცნობილი მოხდეს რკ. გზის მთავარი ლიანდაგის (მაგისტრალის) მიწევა ქარხნის ადგილისაკენ.

ახალი გზა სამი ვერსის სიგრძე იქნება.

საქონლის ექიმობა

საქართველოს მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატმა დაამტკიცა რესპუბლიკის ახალი სავეტერინარო უბნებათ დანაწილების პროექტი. დანაწილებას საფუძვლად უდევს, როგორც საქონლის საერთო რაოდენობა, ისე უბნების რელიეფობა და ტერიტორიული მოსაზრებები.

მიმდინარე საანგარიშო წელში 58 სავეტერინარო რაიონი არსებობს საქართველოში; ამათგან 18 უბანი უექიმოთაა.

1926—27 წელში განზრახულია ყველა უბნებში დაარსდეს საექიმო პუნქტები და დაემატოს კიდევ 42 საექიმო პუნქტი; ასე რომ მომავალ წელში ჩვენში 100 სავეტერინარო პუნქტი იარსებებს.

1927—28 წელში სავეტერინარო პუნქტთა რაოდენობა გადიდდება 50 პუნქტით, ხოლო 1928—29 წელში—კიდევ 50 პუნქტით.

პუნქტების გადიდებასთან ერთად იწარმოებს საექიმო პერსონალთა კვალიფიციურ მუშაკების მომზადება.

მუშკოოპში

მანუფაქტურა

თბილისის მუშკოოპმა შეიძინა და ამ დღეებში ბაზარზე გამოუშვებს უცხოეთის ფართლეულობას, როგორც მაგ. შევიოტი, კოვერკოტი და სხვა.

ფართლეულობა პირველ რიგში დაურიგდებათ მუშათა უბნების კოოპერატივებს.

გარდა ამისა მიღებულია აგრეთვე დიდძალი გალანტერეიო საქონელი, როგორც—წინდები, ყელსახვევები, ქუდები და სხვა.

ახალი მანქანა

მუშკოოპის გამგეობის დადგენილებით, საზღვარგარეთ შეძენილ იქნა ქაღალდის ტოპრაკების საკეთებელი მანქანა.

მანქანის საშუალებით ყოველდღიურათ შეიძლება დამზადდეს თბილისის ბაზრისათვის საკმარისი ტოპრაკების რიცხვი.

ასეთი მანქანა პირველია ამიერ-კავკასიაში.

სანიტარია

საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექცია გაეცნო თბილისის ალმასკომის კომუნალურ განყოფილების მუშაობას ქალაქის სანიტარულ კეთილმოწყობის მიმართულებით გამოირკვა, რომ ცუდათ არის დაყენებული ეზოების, ქუჩების და გარეუბნების ნაგვისაგან გაწმენდის საქმე. ეს გაწმენდა ხდება უაღრესად პრიმიტიული წესით.

მთელი ნაგავი გროვდება ქალაქ გარეთ გარკვეულ პუნქტებში და შემდეგ იყრება მტკვარში. ერთის მხრივ იწამლება ჰაერი სანაგვეების ახლო-მახლოს, მეორეს მხრივ იწამლება მტკვრის წყალი. საჭიროთ იქნა ცნობილი ნაგვის დასაწვავ ღუმელების მოწყობა.

კანალიზაციის და წყალსადენის მხრივ მდგომარეობა დამაკმაყოფილებლად არის ცნობილი, რადგან ერთიც და მეორეც გაყვანილია ქალაქის ყველა რაიონებში.

კურსები ტრესტებთან

ს. მ. უ. ს. დადგენილებით, გადაწყვეტილია ტრესტებთან გაიხსნას მოკლევადიანი პროფტექნიკური კურსები.

კურსების გახსნის მიზანია გამოცდილ პროფესიონალურ ტეხნიკოსთა მომზადება, რაშიაც დიდი ნაკლებობაა ჩვენს ტრესტებში და რაც იწვევს საქმიანობის სუსტ მიმდინარეობას.

კურსების ხარჯთ-აღრიცხვას და სამოსწავლო გეგმას დაამტკიცებს ს. მ. უ. საბჭო უახლოეს ხანში.

ეპიზოოტიასთან ბრძოლა

ტაბახმელის საშრატე სადგურის მიერ აგვისტოს განმავლობაში დამზადებულია საქონლის ჭირის საწინააღმდეგო შრატი 1510 ლიტრის რაოდენობით.

იმავე თვის განმავლობაში საბეითლო ბაქტერიოლოგიურმა ლაბორატორიამ დაამზადა ციმბირის წყლულის საწინააღმდეგო ვაქცინები და წყლულის საწინააღმდეგო შრატი.

მიწების გადაცემა

მიწათ-მოქმედებისა და ფინანსთა კომისარიატებს შორის მოხდა შეთანხმება სპეციალურ დანიშნულებისა და სახელმწიფოებრივათ საჭირო მიწების სხვა დასხვა უწყებისათვის გადაცემის შესახებ.

აღნიშნული მიწები ჩარიცხულია საადგილ-მამულო ფონდებში; მიწსახკომის ცირკულიარით გათვალისწინებულია თუ რა წესით და როგორ უნდა მოხდეს მიწების გამოყოფა და გადაცემა. აღნიშნული ცირკულიარი დაეგზავნა ყველა სამაზრო ალმასკომებს და ავტონომიურ ერთეულებს.

5000 მანეთის მანუფაქტურის მითვისება

ვლადიმერ ყარამანის-ძე გვათუა 1924 წლიდან მსახურებდა თბილისის ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველოში დამტარებლის თანამდებობაზე.

ამა დღის 28 აგვისტოს, გვათუამ მიიღო ფოსტიდან სასწრაფო პაკეტი ვინმე რახიმოვის სახელზე. ამ პაკეტით „ცნობის მოყვარე“ გვათუა დაინტერესდა; წაიღო პაკეტი თავის ბინაზე, (პლეხანოვის პროსპ., № 17) გახსნა და ნახა, რომ პაკეტში არის რკინის-გზის დუბლიკატი დაახლოებით 23 ფუთი მანუფაქტურის შესახებ. ეს დუბლიკატი მან აჩვენა თბილისის რკინის-გზაში მოსამსახურეს მის ბიძაშვილს ფილარეტა გვათუას. ამ უკანასკნელმა მას „ურჩია“ ამ დუბლიკატის საშუალებით—გაეყოთ ეს „ნადავლი“; შეუდგენ საჭირო მუშაობას. მიუხედავათ იმისა, რომ მათ დიდი სურვილი ჰქონდათ 23 ფუთი მანუფაქტურის მიღებისა, მაინც ვერ გადასდგეს შესაფერი ნაბიჯი დამოუკიდებლათ და დახმარებისათვის მიმართეს მათ მეგობარს საუწყებო მილიციის უმცროს თანამშრომელს მიხა ლვამბერიას.

უკანასკნელმა პირველად უარი უთხრა მათ „თბილ კამპანიაში“ მონაწილეობის მიღებაზე.

მეორე დღეს, 29 აგვისტოს, დაახლოებით დღის 12 საათზე, გვათუებმა გადასწყვიტეს რკინის-გზიდან საქონლის გამოტანა. მანუფაქტურის მოყვარულნმა მაინც ვერ გაბედეს საქონლის მთლიანად გამოტანა.

საბარგო სადგურში წარადგინეს დუბლიკატი და წამოიღეს მხოლოდ 2½ ფუთი მანუფაქტურა. ნაქურდალი საქონელი შესანახათ წაიღეს ფილარეტა გვათუას ბინაზე (არხიპოვის ჩიხი, № 4).

გვათუები მაინც ვერ ისვენებდენ, მათ აწუხებდათ ის გარემოება, რომ 4 შეკვრა მანუფაქტურა 5.000 მანეთის ღირებულების მათ სრულ მფლობელობაში არ იმყოფებოდა. ამის გამო 29 აგვისტოს, ნაშუადღევის 4 საათზე, წავიდნენ მილიციელ ლვამბერიასთან, რომელიც იმ დროს საგუშაგოზე იდგა. აუხსნეს მას საქმის ვითარება და დასძინეს, რომ ნადავლს თანასწორათ გაუყოფდენ იმ შემთხვევაში, თუ ლვამბერია შესძლებდა ამ საქმის მოგვარებას.

ლვამბერია დასთანხმდა.

29 აგვისტოს, საღამოს 8 საათზე ლვამბერია მიდის საბარგო სადგურში და გვათუას მიერ გადაცემული დუბლიკატით ვამოაქვს 5.000 მანეთის ღირებული მანუფაქტურა.

ლვამბერიას და გვათუას გამოტანილი საქონელი მიჰქონდათ ნავთლუღის მიმართულებით, მაგრამ სისხლის სამართლის მილიციის თანამშრომლების მიერ მიღებული ზომებით, ეს ბოროტმოქმედება შემჩნეული იქნა. 21 ფუთი მანუფაქტურა დაკავებული იქნა მეშვიდე რაიონის ფარგლებში, ხოლო ბრალდებულები კი მიიმალენ.

30 აგვისტოს, ვლადიმერ და ფილარეტა გვათუა ხაშურის რაიონულ მილიციის უფროსის მიერ დაპატიმრებული იქნენ სურამში და გადაგზავნილი თბილისის სისხლის სამართლის მილიციაში. დაპატიმრებულებს თან აღმოაჩნდათ ნაწილი გატაცებული მანუფაქტურისა.

მეორე დღეს, თბილისში დაპატიმრებული იქნა აგრეთვე მესამე ბოროტმოქმედი ლვამბერია.

ს. ს. მილიციაში ბოროტმოქმედნი გამოტყდენ დანაშაულში.

ქრონიკა

თბილისის ალმასკომში

— **მუშათა მთლიან კოოპერატივს** გადაეცა პირაგოვის ქ. № - და კირკის ქ. № 7 მდებარე სახლი.

— **ქუჩებში მოძრაობის წესების საჩვენებელ** პლაკატების თვალსაჩინო ადგილებზე გასაკრავათ გადაიდო 2.500 მან.

— **ღარიბ მოქალაქეთათვის ერთდროული და** ხმარების დროგამოშვებით დასარიგებლად გადადებულია 5.000 მან.

— **თვალსაჩინო ინსტიტუტების საჭიროებისა**თვის წარდგენილი ხარჯ-აღრიცხვა 40.000 მან. რაოდენობით დამტკიცებული იქნა.

— **ქალაქის ხელახალი აღწერის ჩასატარებ**ლად გადაიდო 3.000 მანეთი.

— **ამხ. ძერჟინსკის სახელი ეწოდა** მე-114 შრომის სკოლას.

— **ტრამვაის რონოდების გასაჩერებელ ად**გილებზე საცა მოსახერხებელი იქნება გაკეთდება რონოდებში შესასვლელი საფეხურები.

სას.-სამ. ბანკში

— **საგადასახო კამპანია.** ა.-კ. სასოფლო-სამეურნეო ბანკმა დაიწყო სასოფლო-სამეურნეო გადასახადების კამპანიის ჩატარება.

— **სესხი.** ქუთაისის მაზრაში არსებულ საკრედიტო ამხანაგობას დაევალა შეუდგენ გასესხებულ თანხების შეგროვებას.

— **კრედიტი.** ა.-კ. სასოფლო-სამეურნეო ბანკმა აზერბეიჯანის სას.-სამ. ბანკს კრედიტის სახით მისცა 51.850 მან. გლეხებზე სესხად დასარიგებლად მუშა-საქონლის შეძენის მიზნით.

— **აბრეშუმის თესლი.** სას.-სამ. ბანკმა სომხეთში დაამზადა 60.000 კოლოფი აბრეშუმის თესლი პირველი ხარისხის.

სახალხო განათლება

— **სახელმწიფო უნივერსიტეტში** საექიმო და აგრონომიულ ფაკულტეტებზე კურსიდან კურსზე გადასასვლელი გამოცდები იწყება 10 სექტემბერს, გამოცდები გაგრძელდება 10 ოქტომბრამდე. დანარჩენ ფაკულტეტებზე—20 სექტემბრიდან 20 ოქტომბრამდე.

— **სტუდენტების სასადილო** (რუსთაველის პრ. № 10) მუშაობას დაიწყებს 10 სექტემბრიდან.

— **პროლეტარული სტუდენტების** ბიურო სტუდენტთა მეორე სასადილოს ხსნის ოლღას ქ. № 29.

— **პროფმუშაკთა გადასამზადებელი** კურსები დაამთვრა 80 კაცმა.

— **უპატრონო ბავშთა თავშესაფარში** კოჯორში ამჟამად არის 86 უპატრონო ბავში.

— **შესასვლელ განცხადებების მიღება.** რკინისგზის მუშფაკში შესვლის მსურველთა განცხადებების მიღება იწარმოებს 14 სექტემბრამდე. შესასვლელი გამოცდები დაიწყება 15 სექტემბრიდან.

სხვადასხვა.

— **განათლების მუშაკთა სახლში** ლუნაჩარსკის სახელობის მოსკოვის საც.-საჩვენებელი შრომის სკოლის გამგე ამხ. სოლოვიოვი წაიკითხავს ორ ლექციას ხუთშაბათს 9 სექტემბერს და პარასკევს 10 სექტემბერს: 1ტეხნიკური შეჩვევების დაკავშირება კომპლექსებთან და მე-2 „გეგმიანობა“ დასაწყისი 7 ნახ. საათზე.

ჩაუბარებელი დეპეშები

ნუხიდან—კარაგიოზოვს, აბასთუმანი—კალნიცკის, ეჩმიაძინიდან—ვართანოვს, ბაქოდან—ტეიმურ-აგიევს, ერევნიდან—კაჩაროვს, ხანზიდან—კუხალეიშვილს, ქობულეთიდან—დავიდოვსკის, კიევიდან—ბელოზეროვას, ანაპიდან—კუდირევს, აბაშიდან—მიხაილოვს, ნოვოროსიისკიდან—დევდარიანს, დრანდიდან—კურგაიას, ნორაშენიდან—სტეფანიანცს, ლენინგრადიდან—თვალავაძეს.

შემთხვევები

ძმის მკვლელი

3 სექტემბერს, სოფ. პატარა დურნუკში (ასურეთის თემი) მოკლულ იქნა მოქ. კარაპეტ ოგანიანცი.

ასურეთის მილიციის მიერ მიღებული ენერგიული ზომებით, ბოროტმოქმედი გიურქა ოგანიანცი (მოკლულის ძმა) დაპატიმრებულ იქნა.

მკვლელობის მიზეზი გამოურკვეველია.

ყაჩაღების დაპატიმრება

7 სექტემბერს, ღამით სოფ. ხან-ახმეტში (ზემო წალკის თემი) მეძროხეებს თავს დაესხა სამი შეიარაღებული ბოროტმოქმედი, რომლებმაც გაიტაცეს საქონელი. გაძარცული გლეხები—**პარასკევოვი, ფილავოვი, მიხეილოვი და სხვები** გამოცხადდენ წალკის თემის მილიციაში და განაცხადეს ამის შესახებ.

წალკის თემის მილიციის მიერ ყველა ბოროტმოქმედნი დაპატიმრებული იქნენ. ესენი აღმოჩნდენ ცნობილი ყაჩაღები: **შამილ ახკარ-ოღლი, ბილალი ალი-ოღლი და საფარ ამიტ-ოღლი** მცხოვრებნი ბაშკიჩეთის რაიონში (ბორჩალოს მაზრა).

გაძარცულმა გლეხებმა მილიციაში დაპატიმრებულნი ბოროტმოქმედნი იცნეს.

რეციდივისტის შეპყრობა

გუშინ სისხლის სამართლის მილიციამ შეიპყრო რეციდივისტი პეტრე **სახლაწოვი.**

გამფლანგველ აგაიანის დაპატიმრება

გუშინ სისხლის სამართლის მილიციის თანამშრომლებმა დააპატიმრეს გამფლანგველი **ხერან აგაიანი.**

აგაიანს გაფლანგვის 5 რეგისტრაცია აქვს.

უკანასკნელად აგაიანი მსახურებდა ცეკას გამომცემლობაში განცხადებათა შემკრებ აგენტის თანამდებობაზე. აგენტათ ყოფნის დროს აგაიანმა მიითვისა და გაფლანგა 1000 მანეთი სახაზინო ფული.

ნოხი

სისხლის სამართლის მილიციის მიერ აღმოჩენილია ნაქურდალი ნოხი. პატრონი უნდა გამოცხადდეს სს. სამ. მილიციაში. ოთახი № 7.

მკვლელობა

6 სექტემბერს, ღამით სოფ. წინწყაროში (ალბულაღის თემი) **სტეფანე და თედორე კონოსავებმა** ხანჯლით მოჰკლეს მოქ. აგაფაგენ მოსიევი.

უბედური შემთხვევა

6 სექტემბერს, სოფ. სამშვილდაში (აღბულაღის თემი) მუშაობის დროს გალუსტ არუთინოვს დაეცა გადაჭრილი ხე და სასიკვდილოთ დაშავდა.

აფერისტი ოვანიანი.

ამ დღეებში ადგილობრივ პრესაში გამოქვეყნებული იყო ცნობა იმის შესახებ, რომ მოქ. კარაპეტ **ბადალიანმა** მოტყუილების საშუალებით მიითვისა მოქ. ვაგრან **ოვანიანის** 6.400 მანეთის პაპიროსის ქაღალდი. ეს ცნობა დამყარებული იყო ოვანიანის იმ განცხადებაზე, რომელიც მან სისხლის სამართლის მილიციაში შეიტანა.

სის. სამ. მილიციამ ოვანიანს მოსთხოვა სათანადო საბუთების წარდგენა. ოვანიანმა არა თუ წარადგინა საბუთები მილიციაში, არამედ ამის შემდეგ მიიმალა.

გამოირკვა, რომ ბადალიანი და ოვანიანი წინეთ ერთად სავაჭრო საქმეებს აწარმოებდენ და ამ ნიადაგზე ბადალიანს მართებს უკანასკნელის მხოლოდ 25 მანეთი.

გამოირკვა აგრეთვე, რომ ოვანიანი ცდილობდა ასეთი ხრიკებით ბადალიანისაგან რამოდენიმე ათასი მანეთის მიღებას.

აფერისტი ოვანიანი დაპატიმრებულია.

სასამართლო

გამფლანგველის დახვრეტა

დიმიტრი შელიამ, რომელსაც სასამართლოს მიერ 28 ათასი მანეთის გაფლანგვისათვის დახვრეტა ჰქონდა მისჯილი — ცაკში თხოვნა შეიტანა პატიების შესახებ.

გუშინ ცაკის პრეზიდიუმმა უარი უთხრა შელიას თხოვნაზე.

სასამართლოს დადგენილება მოყვანილ იქნა სისრულეში.

ფულარიას საქმე

გუშინ ქართული დივიზიების სამხედრო ტრიბუნალში ამხ. **გაბუნიას** თავმჯდომარეობით გაირჩა მოქ. **ფულარიას საქმე.**

ფულარიას ბრალდებოდა დეზერტირობა, სამსახურისადმი გულგრილად მოპყრობა და სახაზინო ქონების გაფლანგვა.

1925—26 წ. ბრალდებული ფულარია ირიცხებოდა № ლეგიონის ასეულის უფროსად. თელავში სამსახურის დროს ბრალდებულმა თავისი ნებით მიატოვა სამსახური და რამოდენიმე ხნის განმავლობაში იმალებოდა. ბრალდებულმა მიითვისა აგრეთვე სახაზინო ფულები.

ტრიბუნალმა წაყენებულ ბრალდებებში ფულარია დამნაშავეთ სცნო და მიუსაჯა მას 5 წლით თავისუფლების აღკვეთა. ამნისტიის ძალით სასჯელი ერთი მესამედით გაუნახევრა.

„თბილი კამპანია“

გუშინ აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში ამხ. გლადკოვის თავმჯდომარეობით გაირჩა ალექსანდრე **ანდრეევის**, ვასილ **ქავთარაძის**, თამარა **მგალობლიშვილის**, გიორგი **იობაშვილის** და ერვან **ქიტესოვის** საქმე.

1926 წ. იანვრის თვეში თბილისის ბაზარზე ასაღებდენ ყალბ ფოსტის მარკებს. გამოირკვა, რომ მარკების დამზადება ხდებოდა ქიმიური საშუალებებით. არ გასულა დიდი ხანი, რომ ყველა ბოროტმოქმედნი დაპატიმრებული იქნენ.

ბრალს სდებდა პროკურორი ბარამიძე, ბრალდებულებს იცავდენ დამცველთა კოლეგიის წევრები: **ლვამიჩავა, ქავთარაძე, ბარათაშვილი და შოშიაშვილი.**

სასამართლოში ბრალდებულებმა თავი არ სცნეს დამნაშავეთ.

სასამართლომ იობაშვილი, ქიტესოვი და ანდრეევი სცნო დამნაშავეთ საფოსტო ყალბი მარკების დამზადებაში და მიუსაჯა მათ თითო წლით თავისუფლების აღკვეთა არა სასტიკი იზოლაციით, ხოლო მგალობლიშვილი და ქავთარაძე კი სცნო უდანაშაულოდ და გაამართლა.

იურიდიული რჩევა-დახმარება

რძალს კომლის ქონებიდან რაიმე წილი ეკუთვნის თუ არა?

კითხვა

1924 წ. მსოფლიო ომის დროს სამხედრო სამსახურში გაიწვიეს ჩემი ძმა და გააგზავნეს ავსტრიის ფრონტზე. რადგანაც იგი დღემდე არ დაბრუნებულა, უთუოდ მკვდარია. ძმის ცოლი (ე. ი. ჩემი რძალი) მეტის მეტად ნერვიულობს ოჯახში თავს იწუხებს და ჩვენც გვაწუხებს. მას ჰყავს ერთი ქალიშვილი.

გთხოვთ განმიმარტოთ, როგორ უნდა მოვიქცე, რომ ეს რძალი ჩამოვიშორო, რომ გავიყაროთ, ქონების რა წილს წაიღებს და სხვა.

ბ. ქ.

პასუხი

თანახმად მიწის კოდექსის მუხ. 40-ის შენიშვნისა პირადათ თქვენ რძალს აქვს მიწისა და ქონების სარგებლობის ყველა ის უფლებები, რაც გაქვთ თქვენ, როგორც კომლის ძირითად წევრს. თქვენი რძალი და მისი ბავში, (ქალიშვილი) საერთო მიწიდან და ქონებიდან მიიღებენ ისეთ წილს, როგორც თქვენ, (თანაბრად). რძალს თქვენ ისე ადვილად ვერ მოიშორებთ, როგორც ეს გგონიათ. თქვენ შეგიძლიათ მხოლოდ დააყენოთ საკითხი კანონიერი გაყრის შესახებ, (თანახმად მიწის კოდექსის მუხ. 47 ნნ-ის)

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

ცირკულიარი № 10

ყველა მაზრის საადგილ მამულო ორგანოებს

მიწების ყიდვა - გაყიდვის და გაცვლა - გამოცვლის წინააღმდეგ ზომების მიღების შესახებ

მიწსახკომის მიერ მიღებულ ცნობების თანახმად, მიწის ყიდვა-გაყიდვამ ჩვენს სოფლებში სხვადასხვა სახისა და მოხერხებით მიიღო ბოლო ხანებში ეპიდემიური ხასიათი. სამაზრო საადგილ-მამულო ორგანოს არ შეუძლია აიცილოს თავიდან ის საყვედურები, რომელიც მას ხდვება ამის გამო, რადგან არაფრიდან არ სჩანს, რომ ის ებრძოდეს ამ მოვლენას და ინფორმაციულ ცნობებსაც-კი არ აწვდის ამ მოვლენის შესახებ მიწსახკომს, მიუხედავათ არა ერთი **მოთხოვნისა და გაფრთხილებისა, თითქოს** ეს საქმე საადგილმამულო ორგანოებს სრულიად არ ეხებოდეს. აშკარაა, ან საადგილმამულო ორგანოებმა არ იციან რა ხდება მიწის სარგებლობის სფეროში მათ რაიონებში, ან თუ იციან, გვერდს უვლიან ამ მოვლენას.

მიწსახკომი უკანასკნელად აფრთხილებს საადგილ-მამულო ორგანოებს, რომ ასეთი უყურადღებობა ამ მოვლენისადმი მათის მხრივ არავითარ შემთხვევაში არ იქნება მომავალში პატიებული და მთელი პასუხისმგებლობა მიწის ყიდვა-გაყიდვის ვაკხანალიის საქმეში მათ დააწვება.

ამისათვის მიწსახკომი წინადადებას გაძლევთ:

1. დაუყოვნებლივ მიიღოთ ყოველგვარი ზომები, რათა არც ერთი შემთხვევა მიწების იჯარით გაცემისა არ იქნეს დაშვებული თემალმასკომის მიერ თქვენი უშუალო ნებართვის გარეშე სათანადო კანონის შეცვლამდე;
2. არ იქნეს დაშვებული მიწების გაცვლა-გამოცვლა, გარდა მიწის კოდექსის 118 და 147 მუხლებში ნაჩვენებ საფუძვლისა და ფორმისა;
3. არავითარ შემთხვევაში არ იქნეს დაშვებული სოფლად სახლების ან რაიმე შენობების გაყიდვა მიწიანათ, რა ზომისაც არ უნდა იყოს ეს მიწა.
4. ეხლავე იქნეს გამორკვეული რამდენი იყო დღემდე შემთხვევა მიწის ყიდვა-გაყიდვისა, აქედან რამდენი საქმე შევიდა სასამართლოში და ამ საქმეებიდან რამდენია დღემდე გადაწყვეტილი და რით გათავდა საქმე;
5. აუცილებლად უნდა იქნეს გამორკვეული რაოდენობა გაყიდულ მიწისა.

გევალებათ, რაც შეიძლება მოკლე დროში და არა უგვიანეს ორი კვირისა დღიდან ამ მომართვის მიღებისა გამოგზავნოთ მიწსახკომში საჭირო პასუხები.

მიწათმოქმედების სახალხო კომისარი
ა. გეგეჭკორი.
საქმეთა მმართველი ზირაქაშვილი.
2 სექტემბერი, 1926 წ.

დადგენილება № 57

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა

მიწის კოდექსის იმ ცვლილებისა და დამატების დამტკიცების შესახებ, რაც მიღებულ იქნა სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების სესიებს შუა

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი **ადგენს:**

დამტკიცებულ იქნეს შემდეგი დადგენილებანი მიწის კოდექსის ცვლილებისა და დამატების, შესახებ, რაც, სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-II მოწვევის ცენტრ. აღმ. კომ. მე-2 სესიის მიერ კოდექსებში ცვლილებათა შეტანის წესის თაობაზე 1924 წ. მარტის 10-ის თარიღით და 77 ნომრით გამოცემული დადგენილების მე-2 მუხლისამებრ, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმმა და საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭომ მიიღეს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სესიების შუა:

1) [illegible] წ. აპრილის 15 თარიღისა და მე-17 №-რისა მე-19, 67, 96 და 161 მუხლის შეცვლის შესახებ (კან. კრ. 1925 წ. № 2, მუხ. 29), გარდა დადგენილების იმ ნაწილისა, რაც შეეხებოდა 161 მუხლს;

2) 1925 წ. ივლისის 16-ის თარიღისა და 37 №-რისა—94 მუხლის შეცვლის შესახებ (კან. კრ. 1925 წ. № 3, მუხ. 60);

3) 1925 წ. სექტემბრის 21-ის თარიღისა და 42 №-რისა მე-9 მუხლის შეცვლის შესახებ (კან. კრ. 1925 წ. № 3, მუხ. 65);

4) 1925 წ. ნოემბრის 3-ის თარიღისა და 59 №-რისა მე-9, 23, 26 და 37 მუხლის შეცვლისა და დამატების შესახებ (კან. კრ. 1925 წ. № 3, მუხ. 82);

5) 1925 წ. ნოემბრის 15-ის თარიღისა და 63 №-რისა მე-40 მუხლის და მისი შენიშვნის ქართული რედაქციის შეცვლის შესახებ (კან. კრ. 1925 წ. № 3, მუხ. 86);

6) 19925 წ. დეკემბრის 18-ის თარიღისა და 66 №-რისა მე-9 მუხლის შევსების შესახებ, რითაც მშრომელ უცხოელთ მიენიჭათ შრომის საფუძველზე მიწის სარგებლობის უფლება (კან. კრ. 1925 წ. № 3, მუხ. 89);

7) 1925 წ. დეკემბრის 25-ის თარიღისა და 68 №-რისა ქ. ქუთაისისათვის მიწის ნორმის შეცვლის შესახებ (კან. კრ. 1925 წ. № 3, მუხ. 91) და

8) 1926 წ. თებერვლის 10-ის თარიღისა და მე-10 №-რისა 127 მუხლისათვის შენიშვნის დამატების შესახებ (კან. კრ. 1926 წ. № 1, მუხ. 10).

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე შ. მახარაძე.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ს. თოდრია.

1926 წ. აგვისტოს 10.
თბილისი—სასახლე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარასკევს, 10 სექტემბერს, დილით 8 საათზე თბილისის კომიტეტის მდივნის ამხ. **ახრიბეკოვის** კაბინეტში შესდგება თათბირი, „აიარტუნის“ და მუშათა თეატრის სომხური სექციის შესახებ.

სავალდებულოთ დასწრება: ამხ. ამხ. ხანოიანის, ვართანიანის, კანდელაკის მელიქიანის, მხითაროვის, ადამიანის, ერზიკიანის, ტერ-გოვანდიანის, სატუხალოვის, გედევანიშვილის.

საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის ორგანიზაციის **ქალაქის რაიკომის** მიერ პარასკევს 10 სექტემბერს, ქალაქის რაიონში დახურულ პარტიულ კრებების ჩასატარებლად დაწესებულია შემდეგი წეს-რიგი:

1) № 1, 2, 9, 11, 13 უჯრედებისთვის—საღამოს 7 საათზე სამხედრო კომისარიატის სტამბის შენობაში, მომხსენებელი ამხ. **ახრიბეკოვი.**

2) № 3, 52, 60 უჯრედებისათვის—საღამოს 6 საათზე პირველი სტამბის შენობაში მომხსენებელი—**კალატოზოვი.**

3) № 10, 12, 17, 55, 57, 58 უჯრედ.—საღამოს 6 საათზე, ცხაკაიას სახელობის კლუბში—მომხსენებელი ამხ. **სნეგირიოვი.**

4) № 5, 6, 4, 16, 67, 66 უჯრედ.—საღამოს 6 საათზე მესანგრეთა ბატალიონის კლუბში, მომხსენებელი ამხ. **ელიავა.**

5) № 14, 25, 31, 33, 35, 37, 43 უჯრედ.—საღამოს 6 საათზე მუშათა ახალი კლუბის შენობაში, მომხსენებელი ამხ. **კარკლინი.**

6) № 15,—მეხანძრეთა კოლექტივის უჯრედის, 24, 25 უჯრედ.—საღამოს 7 საათზე, კლუბ „კატირ“-ში—მომხსენებელი ამხ. **სტელმახი.**

7) № 22, 41—ბებუთოვის და 14 [illegible].—საღამოს 6 საათზე, მომხსენებელი **პიახეცკი.**

8) № 36, 29, 32, 45 უჯრედ.—საღამოს 6 საათზე, ქალაქის ალმასკომის დარბაზში, მომხსენებელი **სუხიშვილი.**

9) № 30, 28, 59, 68 უჯრედ.—საღამოს “ საათზე, სახელმწიფო ოპერაში, მომხს. **ოსიარანი.**

10) № 27, 40, 50, 46 უჯრ.—საღ. 6 საათზე, სოლოლაკის 8, ამიერ-კავკასიის სახელმწიფო დაზღვევის სამმართ.—მომხსენ. **მელნიკოვი.**

11) № 39, 47, 44, 34, 63 უჯრ.—საღ. 6 საათზე, იუსტიციის სახალხო კომისარიატში—მომხსენებელი **ქაცარავა.**

12) № 23, უჯრედი—საღამოს 6 საათზე, მომხსენებელი **მახარაძე.**

13) № 42, 54, 56, 21, 8, 61 უჯრ.—საღამოს 6 საათზე—პროკავშირების მცირე დარბაზში, მომხსენ. **გობეჩია.**

14) № 7 უჯრედი—საღამოს 6 საათზე, ლენინის სახელობის ფაბრიკაში, მომხსენ. ამხ. **ალავერდოვი.**

15) № 1, 3, 17, 6, 33, 26, 22, 36, 50, 47, 23, 24 და 7 უჯრედების მდივნებს წინადადება ეძლევათ დღეს, 9 სექტემბერს შემოიარონ რაიკომის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში.

ს. კ. პ. ლენრაიკომი აცნობებს შემდეგ ამხანაგებს, რომ პარასკევს, ერთიან პარტდღეს მათ ევალებათ დაამუშაონ ს. კ. პ. ს. ს. კ. გაერთიანებული პლენუმის რეზოლიუცია საბჭოების გადარჩევის შედეგებზე შემდეგი განაწესრიგებით:

ამწყობი და საქვაბო საამქროებში ქართველიშვილი, სარონოდო და სადურგლო—მათიკაშვილი, სახარატო და სამჭედლო—კახიანი, სალითონო და სამღებრო—ივანოვი, თბილისის საყუდი და სარონოდო ფარეხი—ჟირაპი, საქონლის სადგური—ჟუღელი, მოძრაობის დარგი—იმედაძე, სალიანდაგო სამსახ. [illegible] ძე ვ., „ზაკტპო“—აკიმოვი, [illegible] კურ. კავშ.—ესაკია, სატელეგრაფო [illegible] —აკოპჯანოვი, მო/2—გაბისკირია, რკ. გზის დამცველი და შეიარ. რაზმ.—კალანდია, სამმართველო, „პ“ და „ხ“ გარაჟი შავი ზღვის სამმართველო—ქავთარაძე გ., სატრან-საგანგებო კომისია—შაროვი, საშემოსავლო ნაწილი—ზუბოვი, რკ. გზის სტამბა—გუმედინი, რკ. გზის საავადმყოფო—ლანდო.

გულითადი მწუხარებით აუწყებს სოლომონ დონდუა ნაცნობ-მეგობრებს

ალექსანდრე კოსტანტინეს ძე მონიავას
(ალიოშა ნატაშვილი)

უდროოდ დაღუპვას. დასაფლავების დრო და რიცხვი ცალკე იქნება გამოცხადებული. დიდუბე. ქუთაისის ქუჩა № 21. 3573

საქ. ს. მ. უ. ს. სახელმწიფო სათბობის ტყიბულის ქვანახშირის მაღაროების სამმართველოს თანამშრომლები გულითადი მწუხარებით აუწყებენ, რომ 5 ამა სექტემბერს ტრაღიკულად გარდაიცვალა სახელმწიფოს სათბობის ტყიბულის ქვა-ნახშირის მაღაროების თავდადებული მუშაკი ინჟინერი

კირილე იოსების-ძე ბოჭორიშვილი

გამოსვენება—ქ. ქუთაისში. ბინიდან აზერბეიჯანის ქუჩა, პირველი შესახვევი № 6, პარასკევს სექტემბრის 10, ნაშუადღევის 3 საათზე. დასაფლავება საფირჩხიის სასაფლაოზე. ნ. 1754

საქ. ს.მ.უ.ს. სახელმწიფო სათბობი ღრმა მწუხარებით აუწყებს, რომ 5 ამა სექტემბერს ტრაღიკულად გარდაიცვალა სახელმწიფო სათბობის ტყიბულის ქვა-ნახშირის მაღაროების შეუდარებელი მუშაკი ინჟინერი

კირილე იოსების-ძე ბოჭორიშვილი

გამოსვენება ქ. ქუთაისში, ბინიდან აზერბეიჯანის ქუჩა პირველი შესახვევი № 6, პარასკევს სექტემბრის 10, ნაშუადღევის 3 საათზე. დასაფლავება საფირჩხიის სასაფლაოზე. ნ. 1754

საქ. სა თა-მადნო კავშირთან არსებულ ტყიბულის ინჟენერ ტეხნიკოსთა სექცია ღრმა მწუხარებით აუწყებს, რომ 5 ამა სექტემბერს ტრაღიკულად გარდაიცვალა ძვირფასი და დაუვიწყარი ამხანაგი სახელმწიფო სათბობის ტყიბულის ქვა-ნახშირის მაღაროების ინჟენერი

კირილე იოსების-ძე ბოჭორიშვილი

გამოსვენება ქ. ქუთაისში. ბინიდან აზერბეიჯანის ქუჩა, პირველი შესახვევი № 6, პარასკევს სექტემბრის 10, ნაშუადღევის 3 საათზე. დასაფლავება საფირჩხიის სასაფლაოზე. ნ. 1754

საქ. ს.მ.უ.ს. სახელმწიფო სათბობის ტყიბულის ქვა-ნახშირის მაღაროების სამმართველო ღრმა მწუხარებით აუწყებს, რომ 5 სექტემბერს ტრაღიკულად გარდაიცვალა მაღაროების ინჟენერი

კირილე იოსების-ძე ბოჭორიშვილი

გამოსვენება ქ. ქუთაისში. ბინიდან აზერბეიჯანის ქუჩა, პირველი შესახვევი № 6, პარასკევს სექტემბრის 10, ნაშუადღევის 3 საათზე. დასაფლავება საფირჩხიის სასაფლაოზე. ნ. 1754

ღრმად დამწუხრებული: მეუღლე შუშანა სოლომონის ასული, შვილები სერგო და ლენა, ძმები: თედორე და შალიკო, დები: ანეტა, მარიამი, პისტი, ვასასი, აღათი, სიძები: ბიქტორ მარუაშვილი, ბეგლარ არსენიძე, თადეოზ ბერიძე, ნიკიფორე გოლაძე და ბარნაბა მაწკეპლაძე, ნათლია სერგო კაკაბაძე მეუღლითურთ და დედით ვერა და ელისაბედით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ-მეგობართ, რომ 5 სექტემბერს ტყიბულის ქვანახშირის მაღაროებში ტრაღიკულად გარდაიცვალა მათთვის ძვირფას უსაყვარლესი და დაუვიწყარი, ტყიბულის ქვანახშირის წარმოების ინჟენერი

კირილე იოსების-ძე ბოჭორიშვილი

პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6 საათზე. დაკრძალვა ქ. ქუთაისში კვირას 12 სექტემბერს აზერბეიჯანის ქ. 1-ლი შესახვევი № 6 საკ. ბინა. ჩ. 1753

ღრმად დამწუხრებული დები ნადია და კატუშა, ბიცოლა ევსევი, ბიძაშვილები პარმენი, ლიდა, მარო და ელენა მიხეილის ასული ლორთქიფანიძეები აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს მათთვის დაუვიწყარ

შალიკო იასონის-ძე ლორთქიფანიძის

გარდაცვალებას. დასაფლავება მოხდება ს. დიდი ჯიხაიში ქაშვეთის სასაფლაოზე, პარასკევს 10 სექტემბერს. ლ.

საზაფხულო
აპოლო
(ბაღი „არტო“, პლეხ. № 105).

ამერიკულ სურათების პრემიერა
„სიყვარულის გამარჯვება“
(დრო ფულია)
კინოს ბილეთის მყიდველი, ბაღში შესვლისთვის არ იხდის.

პირველათ ეკრანზე ამერიკ. წარმოების ახალი სურათი
„ცხოვრების შესახვედრათ“
(პოლიციის კლანჭებში)
ბეტტი კომპსონის და მეი მაკის (ცნობილ სურათის „მისი რეპუტაცია“-ს გმირი ქალის) მონაწილეობით.

საზაფხულო
ეთერი
(სახელმწ. ოპერის ბაღში)
ნ. 1745 0—6

2 ოთახი
სასახლის ქუჩაზე, (160 კვ. არ.) მოხერხებულია კერძო ბინისათვის და დაწესებულებებისათვის—მინდა
გადავცვალო
2 ოთახზე 1-ლ ან მე-2 რაიონში. იკითხეთ „კომუნისტის“ კანტორაში, რუსთაველის 34.
3549 3—2 ზ. ბ—ასთან.

ექიმი
მეგრაბიანცი
ფილტვების, ჰლექის და გულის სნეულებანი
ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით რენტგენის სამკურნალო კაბინეტში
სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა. მიღება ყოველდღე დილ. 9—1 და საღ. 6—8 საათ.
ენგელსის ქ. № 23. ყოფ. ბებუთოვის ქუჩ., № 23,
25—1

თორტიზის კოოპერატივის სალიკვიდაციო კომისია

ამით აცხადებს, რომ თორტიზის კოოპერატივის მთელი უძრავ-მოძრავი ქონების

საჯარო შეჯიბრებით

გაყიდვა დანიშნულია:

1) სოფ. თორტიზაში და რეხაში გაიყიდება სხვადასხვა შენობები, 2 ცხენები „ლინეიკით“ და წვრიმალი ქონება—შაბათს 11 ამა სექტემბერს შუადღის სრულ 12 საათზე და 2) სოფ. ზეღდულეთში გაიყიდება წისქვილი, შენობა და სხვადასხვა წვრიმალი ქონება—კვირას 12 ამა სექტემბერს შუადღის სრულ 12 საათზე.

შეჯიბრება დაიწყება შეძლეულ ფასიდან.

3572 2—1. სალიკვ. კომისია

ექიმი **მ. ო. ზანდუკელი**
დაბრუნდა და განაახლა მიღება შინაგან და ნერვიულ ავადმყოფობის, ელექტრონით და სხივებით მკურნალობა.
ავადმყ. მიღება საღ. 6—7 საათამდე
ლენინის ქ. (ოლღის) № 49.
ტელეფ. № 4—82.
3574

ექიმი
ბ-ტ ი. მირიანაშვილი
შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი.
მიღება დილ. 8—10 საათამდე. საღ. 7—8 საათამდე.
ორჯონიკიძის ქ. (ყ. ანდრეევის), 74 ე-6 საბჭოთა (ყ. ვაგზლისა) აფთიაქის ახლოს. 25—1

ექიმი **ჯალალოვი**
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა.
ავადმყოფ. მიღება დილ. 6 ნახ.—7 ნახ. საათ., საღამოს 5-დან—8 საათამდე. ქალების მიღება 12—2 საათ. აისამართი: კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 25—16

თბ. მე-5 უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი

ი. გეგელაშვილი

აცხადებს, რომ ის 13 სექტემბერს 1926 წ. დილის 11 საათზე ნორიოს აღმართზე სახ. № 4, თბილისის მე-9 მილიციის უბანში, მეორე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ანდრია სიმონისძე კოლესნიკოვის ერთ სართულიან სახლს, რომელიც შესდგება 6 ოთახიდან, 2 სამზარეულოდან და სარდაფით, კანალიზაცია და წყალსადენი არა აქვს, შეფასებულია 700 მან. დასაკმაყოფილებლად ვალისა საქართველოს პასუხისმგებელ შრომის არტელის, თანახმად თბილისის მე-5 უბნის სასამართლოს აღმასრულებელ ფურცლისა № 1482. ვაჭრობა დაიწყება თავისუფალ ფასიდან და მოხდება დაცვით 301,310,311,312,313, და 314 მუხ. სამოქ. სასამართ. პროც. კოდექ.

3583

ა. ვ. მიქაბერიძე
პარიზში 1923 წელს დაამთავრა
„სილამაზის ინსტიტუტი“
მასაჟი სახის, კისრის, ხელების და სხვ ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.
ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 მიღება დილით 10-დან 2-დე და საღამოს 5—8-დე. შესასვლელი შესახვევიდან. 25—1

სათვალეების მორგება
უფასოდ
ექიმ სპეციალისტის მიერ „სახმედვაჭრობის“ ოპტიკურ განყოფილებაში დღის 1—4-დე. პლეხანოვის გამზირი № 106 (ყოფ. მიხეილის პროსპექტი) ტელ. 31—63. 25—1

ექიმი **შ უ ხ მ ა ნ ი**
სიფილისი, ვენერიული სნეულებანი და მათი შედეგები.
მიღება დილის 7—8 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. ქ. ცეტკინის (ყოფ. ელისაბედის) ქ.№ 89 25—

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიულ და კანის სნეულება.
მიღება 9—11 დილ. 6—8 საღამ. პლეხანოვის პრ. № 116.
სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ.
348 25—1

„კომუნისტი“-ს მთავარ კანტორისაგან

„კომუნისტ“-ზე და „ახალ სოფელ“-ზე პროვინციაში ხელისმოწერა მიიღება

შემდეგ გაერთიანებულ განყოფილებებში:

1. **ხაშურში**—განყ. გამგე **მათე გოგუაძესთან**—მთელი გორის მაზრისთვის.
2. **ჭიათურაში**—განყ. გამგე **გ. გოგელიასთან**—მთელი შორაპნის მაზრისთვის.
3. **ქუთაისში**—განყ. გამგე **მ. ტყაბლაძესთან**—ქუთაისის და ახლო მდებარე რაიონებ.
4. **ხონში**—განყ. გამგე **ჩემიასთან**—ქ. ხონი და ახლო მდებარე რაიონებისათვის.
5. **სამტრედიაში**—განყ. გამგე **ლ. გოგელიასთან**—სამტრედია და ახლო მდებ. რაიონ.
6. **სენაკში**—განყ. გამგე **ესებუასთან**—ქ. სენაკი და ახლო მდებარე რაიონებისათვის.
7. **აბაშაში**—განყ. გამგე **მიქაძესთან**—დ. აბაშა და ახლო მდებარე რაიონისათვის.
8. **ფოთში**—განყ. გამგე **მგალობლიშვილთან**—ქ. ფოთი და ახლო მდებ. რაიონისათ.
9. **ბათომში**—„კომუნისტი“-ს კანტორაში **გოგეშვილთან**—მთელი აჭარისტანისთვის.
10. **ოზურგეთში**—განყ. გამგე **ეპიფ. ციცხლაძესთან**—მთელი ოზურგეთის მაზრისათ.
11. **თელავში**—განყ. გამგე **რევაზოვთან**—მთელი თელავის მაზრისათვის.
12. **სიღნაღში**—განყ. გამგე **ა. მდივანოვთან**—სიღნაღის მაზრისათვის.
13. **ზუგდიდში**—**კილასონიასთან.**
14. **სოხუმში**—„კომუნისტი“-ს კანტორაში **ცხაკაიასთან**—მთელი აფხაზეთისათვის.
15. **ველისციხის და გურჯაანის რაიონში**—განყ. გამგე **ესტატე შიშნიაშვილთან.**

0—1 „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა

კონტრაგენტების საყურადღებოდ
გაზ. „კომუნისტი“-ს
მთავარი კანტორა
აცხადებს ყველა კონტრაგენტების საყურადღებოდ, რომ 15 სექტემბრისათვის აუცილებლივ უნდა დაბრუნებულ იყოს დარჩენილი, გაუყიდავი სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთები და წიგნები, ჩვენ მიერ გასასყიდათ გადაგზავნილი.
თუ აღნიშნულ ვადამდე გადმოგზავნილი არ იქნება გაუყიდავი ლიტერატურა იგი ჩაითვლება გაყიდულათ და, შემდეგ უკან აღარ მიიღება კანტორის მიერ.
7—1 უფ. გაზ. „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა

მოწაფეთა საყურადღებოთ
გამოვიდა და იყიდება
ფ. ი. მიხალევსკის
„პოლიტიკური ეკონომიის დაწყებითი კურსი“
(ქართულ ენაზე)
მისამართი: გაზ. „კომუნისტის“-ს მთავარი კანტორა, რუსთაველის პროსპექტი № 34
0—1

ექიმი **ა. ს. ფონ-ირტელი**
ხიმილის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად, ყოფ. „ბო-მონდი“).
გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი. ავადმყოფობის მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე.

წყლებით სამკურნალო
(ხაზინის ქ. № 1)
ახლად შეკეთებულია და მუშაობს ყოველდღე, დილის 6 საათიდან საღამოს 7 საათამდი.
წყლის მკურნალობის ყველა მეთოდები ტარდება გამოცდილი ექიმი-სპეციალისტის ხელმძღვანელობით'
ავადმყოფობანი: ნივთიერებათა გაცვლა-გამოცვლის მოშლა, ნიკრისის ქარები, რევმატიზმი, ნევრასტენია, ნევრალგია, ნევრიტები, გულის და სახსრების ავადმყოფობა
პირველად მოსულ ავადმყოფთა მიღება დილის 8—10 საათამდე.
25—3 ნ. 1650

ექიმი **ი. ი. ბერიშვილი**
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი, № 8. 25—1

ექიმი **მ. ა. ლუკოვეცკი**
სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.
ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან—7 საათამდე, ქალების მიღება 11 საათიდან 12 საათამდე. 2 საპიორის ქუჩა, № 35 ყოფილი კადეტ. კორპ. უკან. 25—

დავკარგე უნივერსიტეტის წიგნაკი № 3272 სოც-ეკონ. ფაკულტეტის ეკონომიური დარგის სტუდ. ეკატერინე გიორგის ასული სოხაძეს სახელზე, ჩ. გ. 3591

დავკარგე კიწიის თემ-ალმასკომის გაცემული მეტრიკული ამონაწერი № 12 პარმენი გრიგოლისძე შამათავას სახელზე, ჩ. გ. 3580

დავკარგე შვიდწლედის სასწავლებლის დამთავრების მოწმობა ვასილ შენგელიას სახელზე, ჩ. გ. 3586

დავკარგე პირადობის მოწმობა სურათით ელისაბედი შულლაძის სახელზე. ჩ. გ. 3582

დავკარგე კიწიის შვიდწლედის კურს დამთავრების მოწმობა № 101 პარმენი გრიგოლისძე შამათავას სახელზე, ჩ. გ, 3580

დავკარგე პირადობის ნუსხა მოცემული ახალ ხიბულის სამხედრო მაგიდის გამგისაგან № 47 ლაზარე ქვარცხავას სახელზე, ჩ. გ. 3580

დავკარგე მოწმობა მიღებული ჩოჩხათის თემ-ალმასკომის მიერ № 941 მელიტონ გძელიძეს სახელზე, ჩ. გ. 3-8

დავკარგე კავშირის წიგნაკი № 6497 სამხედრო აღრიცხვის ბარათი და რკინის გზის სამსახურის მოწმობა № 3332 დათიკო მეთოდესძე ჩხეიძის სახელზე, ჩ. გ. 3588

დავკარგე საბჭოთა სავაჭრო მუშაკების კავშირის წიგნაკი № 1432 პორფილე ერმინესძე სირაძის სახელზე, ჩ. გ. 3589

დავკარგე ავლევის ქ. № 30-ის სახლის დავთარი სოლომანი და ივანე ჩაჩანიძეების სახელზე, ჩ. გ. 3585

დავკარგე პირადობის მოწმობა მოცემული ოზურგეთის სამაზ. ალმ. მიერ ალექსანდრე ივანესძე მჟავანაძეს სახელზე, ჩ. გ. 1753

დავკარგე პირადობის მოწმობა № 11049 დოლაიძე დომენტის სახელზე. ჩ. გ. 1753

დავკარგე აქციის დროებითი მოწმობა № 661 გიორგი ზაქარიასძე ჯოჯიშვილის სახელზე, ჩ. გ. უ.

დავკარგე მეტრიკული მოწმობა № 3592 ტიგრან ნიკასძე ტერგაბრიელოვის სახელზე, ჩ. გ. 3590

დავკარგე მეტრიკული ამონაწერი № 2042 ვართანუშ არუთინოვის სახელზე, ჩ. გ. 3590

დავკარგე კოოპერაციის წიგნაკი № 155 ნესტორ პავლესძე ძნელაძის სახელზე, ჩ. გ. 1753

დავკარგე განაწესი № 35621. სამოსამსახურო ტვირთის გადაზიდვის რკ. გზებზე 1 უბნის სამასალო სამსახურის უფროსის. ჩ. გ. 1753

დავკარგე სალექტრო კავშირის წიგნაკი, ხეჩო სეროფიანცის სახელზე, ჩ. გ. 1753

დავკარგე დამზღვევ სალაროს წიგნაკი ნიკოლოზ ხერედინოვის სახელზე, ჩ. გ. 3592

დავკარგე მეტრიკული მოწმობა № 488 | 1918 თამარა და ქეთევანა ნიკოლოზის ასული მახვილაძეების სახელზე, ჩ. გ. 3587

სტამბა „კომუნისტი“, კამოს ქ. 68